

**სისსლის სეპარტლის ზოგადი  
და კეკო ნანილაბი  
სისსლის სეპარტლის პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2016, №1-3

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2016, №1-3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №1-3

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2016, №1-3

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## **ზოგადი ნაწილი**

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების შესახამისობაში მოყვანა მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან**

### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№394აპ-15

30 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**მ. ოშხარელი,**  
**ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განაჩენით კ. ხ-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების დღიდან – 2014 წლის 8 ივლისიდან.

კ. ხ-ს 10 წლით ჩამოერთვა საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული სხვა უფლებები.

განაჩენით კ. ხ-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა-შენახვაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ხ-მა.

კასატორმა საჩივრით ითხოვა ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. მან აღნიშნა, რომ სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. შპრიცი, რომელიც პოლიციელებმა მიიტანეს, მისი არ იყო. მას იგი არ შეუძენია. ასევე გაყალბებულია მისი ჩვენება და ხელმოწერა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, კ. ხ-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: სამართალდამცავების – გ. ხ-ის, ი. ა-ისა და გ. ქ-ას ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, კ. ხ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რასაც პალატაც ეთანხმება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

2015 წლის 8 ივლისის კანონის საფუძველზე, სსკ-ის 260-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის განაჩენი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ: კ. ხ-ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების (0,00009 გრ. „დეზომორფინის“) დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა-შენახვა), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც წარმოადგენს მძიმე დანაშაულის კატეგორიას. აღნიშნული გარემოება კი მიუთითებს იმაზე, რომ ახალი კანონი ამსუბუქებს მსჯავრდებულის მდგომარეობას.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. ხ-ის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ძველი რედაქცია), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) და სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ კ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

დეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. ხ-ის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ძველი რედაქცია), შესაბამისობაში მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაულის რეციდივის დადგენისას თვრამეტ  
წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის  
ნასამართლოვის მხედველობაში მიღების  
დაუშვებლობა**

**განაჩენი**

**საქართველოს სასხლით**

№431აპ-15

29 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განაჩენით შ. დ-ე, – ნასამართლევნი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (3 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა გამოძალვა, ე.ი. ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ

ძალადობის გამოყენების მუქარა. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2. 2014 წლის 21 ივლისს, დაალოებით 11.40 საათზე, ბათუმში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურ „...“ ტერიტორიაზე, შ. დ-მ ბ. შ-საგან ძალადობის გამოყენების მუქარით მოითხოვა და დაეუფლა 200 ლარს.

3. 2014 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 17.30 საათზე, ბათუმში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, შ. დ-მ ბ. შ-საგან ძალადობის გამოყენების მუქარით მოითხოვა და დაეუფლა 1400 ლარს.

4. 2014 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 21.35 საათზე, ბათუმში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, შ. დ-ე ა. ბ-საგან ძალადობის გამოყენების მუქარით მოითხოვა ფულად თანხას – 300 ლარის ოდენობით.

5. აღნიშნული ქმედებისათვის შ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2014 წლის 21 ივლისის 11.40 საათისა და 21.35 საათის ეპიზოდები) მიესაჯა 3-3 წლით, ხოლო 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2014 წლის 21 ივლისის 17.30 საათის ეპიზოდი) – 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერთობლიობით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით განესაზღვრა 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და შ. დ-ს საბოლოოდ მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2014 წლის 4 აგვისტოდან.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ხ-მ, მსჯავრდებულმა შ. დ-მ და მისმა ადვოკატმა ე. მ-მ.

7. პროკურორმა ითხოვა შ. დ-სათვის სამივე ეპიზოდისათვის მაქსიმალური სასჯელის განსაზღვრა და წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის სრულად დამატება, ხოლო მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა – გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და შ. დ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განა-

ჩენი დარჩა უცვლელად.

9. კასატორი – მსჯავრდებული შ. დ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა შ. დ-ს ბრალეულობაში; უკვე ნასამართლევია შ. დ-ს გამოძალვით მსჯავრდებით მარტივად დაიფარა ბ. შ-ს ბრალეული ქმედება – მის მფლობელობაში არსებული „...“ კუთვნილი ფულის მითვისება-გაფლანგვა.

10. კასატორის აზრით, მონმეები – თ. ქ-ე, ე. ა-ე, ა. ფ-ე, ბ. ა-ე და თ. შ-ე სამართალდამცავი ორგანოს მუშაკები არიან და მათი ჩვენებები ეხება საგამოძიებო მოქმედებებს, ხოლო დანარჩენი მონმეები ბ. შ-ს ახლობლები არიან და მათი ჩვენებები ბ. შ-ს სასარგებლოა.

11. რაც შეეხება მონმე მ. ფ-ს, მისი ჩვენებები ირიბია; მონმეების – ვ. ფ-ს, მ. თ-სა და მ. შ-ს ჩვენებები არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას გამოძალვის ფაქტებზე, ხოლო ვ. თ-ე ატყუებს მართლმსაჯულებას, ა. ბ-ს ჩვენებაში კი არ იკვეთება შ. დ-ს მხრიდან ძალადობის მუქარა, რაც თან ერთვის თანხის მოთხოვნას; შ. დ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარსულში მკვლელობის მცდელობისათვისაა ნასამართლევია და არ არსებობდა ბ. შ-ს ქმედების კანონიერად შეფასების მიზანი.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული შ. დ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ივნისის განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს შ. დ-ს მიერ გამოძალვის ჩადენის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის – დაზარალებულების – ბ. შ-სა და ა. ბ-ს ჩვენებებით, მონმეების – ვ. ფ-ს, მ. თ-ს, ვ. თ-ს ჩვენებებითა და ამოღებული ვიდეოჩანაწერებით – გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება შ. დ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა.



3. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული განაჩენის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრას, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში პირს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრისას უნდა დაენიშნოს, სულ მცირე, სანქციის მინიმუმით გათვალისწინებული ერთი წლით მეტი.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს: საქმის მასალებით ირკვევა, რომ შ. დ-ს წინა განაჩენით (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განაჩენი) ბრალად შერაცხული ქმედება ჩადენილი აქვს 2012 წლის 7 იანვარს, რა დროსაც იგი იყო არასრულწლოვანი.

5. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის. შესაბამისად, შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლზე მითითება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება შ. დ-სთვის სასჯელის საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის გათვალისწინებით დანიშვნის თაობაზე.

7. ამასთანავე, საკასაციო პალატას, შ. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ქმედების განხორციელების სახისა და შედეგის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება შ. დ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესის მხედველობაში მიღების თაობაზე.

4. შ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2014 წლის 21 ივლისის 11.40 საათისა და 21.35 საათის ეპიზოდები) მიესაჯოს 2-2 წლითა და 6-6 თვით, ხოლო 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2014 წლის 21 ივლისის 17.30 საათის ეპიზოდი) – 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა – 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და შ. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახით განესაზღვროს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დაემატოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით განახევრებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და საბოლოოდ შ. დ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2014 წლის 4 აგვისტოდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას  
სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლის  
საფუძვლები**

**ბანაჩენი  
საქართველოს სახელით**

№ 197აპ-15

15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ რ. ტ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ო. შ-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup>,120-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 27 მაისს, დაახლოებით 6.30 საათზე, ბათუმში, ... ქ. №...ში მდებარე კაფე-ბარში ო. შ-მა ოჯახის წევრს, ყოფილ მეუღლეს – ი. ბ-ს მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ო. შ-ს საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup>,120-ე მუხლით მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 თვე უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 თვე – ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 31 აგვისტოდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რ. ტ-მ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ო. შ-სათვის სამართლიანი სასჯელის გან-

საზღვრა.

5. მსჯავრდებულ ო. შ-ს ადვოკატმა ნ. დ-მ შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – პროკურორი რ. ტ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნებს, რადგან მსჯავრდებულს წაასწრეს დანაშაულის ჩადენის დროს; ამასთან, იგი თავს არიდებდა სამართალწარმოების ორგანოში გამოცხადებას; ო. შ-სათვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი რ. ტ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას და ო. შ-სათვის სასჯელის გამკაცრებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორი რ. ტ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულ ო. შ-ს მიმართ სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

3. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის – პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან.

4. საქმეში არსებული და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით, მოწმეების – უბნის ინსპექტორ-გამომძიებლების – ჯ. მ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებით

დადგენილია, რომ 2014 წლის 27 მაისს, დაახლოებით 06:30 საათზე, მიიღეს შეტყობინება, რომ ქ. ბათუმში, ... ქუჩის №...ში მდებარე ბარში, სავარაუდოდ, დაჭრილი იყო ი. ბ-ა. დაახლოებით ერთ წუთში ისინი შევიდნენ ბარში, სადაც დაინახეს, რომ თურქი ეროვნების მამაკაცი სცემდა ქალს, კერძოდ, მას ხელეები ჰქონდა ი-სთვის ყელზე მოკიდებული და თავი მიატყმევინა კედელზე, რა დროსაც ი. ძირს დაეცა. ო. შ-მა თავი დაანება ქალის ცემას მათი ხმამალალი შეძახილის გამო.

5. ამრიგად, საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ო. შ-ს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, რაც გამორიცხავს მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლას.

6. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, თითქოს სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, გაეუარესებინა მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა (გაეუქმებინა განაჩენი ო. შ-სთვის სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლის ნაწილში) იმ მოტივით, რომ პროკურორი სააპელაციო საჩივრით ამას არ ითხოვდა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბრალმძებელი სააპელაციო საჩივარში (ისევე, როგორც საკასაციო საჩივარში) მკაფიოდ უთითებს იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რის გამოც განაჩენი უკანონოა. აქედან გამომდინარე, პროკურორის მოთხოვნა ო. შ-სთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრის შესახებ (საჩივრის შინაარსიდან და მოტივებიდან გამომდინარე) არ ზღუდავდა სააპელაციო პალატას, ემსჯელა ხსენებულ საკითხზეც.

7. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულისთვის სასჯელის გამკაცრების თაობაზე, აღნიშნულს პალატა არ იზიარებს და მიაჩნია, რომ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შესაბამეა ო. შ-ს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ რ. ტ-ს

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ო. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-11', 120-ე მუხლით და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. მსჯავრდებულ ო. შ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 31 აგვისტოდან 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გამოსაცემლ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო პირობითი მსჯავრის გაუქმება**

### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№203აპ-15

13 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ძ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განაჩენით გ. გ-ე, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა

მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად, რაც გა-  
მოიხატა შემდეგში:

2. 2013 წლის 6 მარტს, დაახლოებით 1.00 საათზე, ტყიბულ-  
ში, ვ-ს ქუჩის №...ში მდებარე №... საჯარო სკოლის მიმდებარე  
ტერიტორიაზე, გ. გ-მ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ვ. და ვ. კ-  
ბის მიერ კომპიუტერული ტექნიკის მართლსაწინააღმდეგოდ  
დაუფლების შესახებ, მაინც მოათავსა აღნიშნული ტექნიკა თა-  
ვის „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში და გადააჰქონდა თბი-  
ლისში, რა დროსაც იგი დააკავეს.

3. აღნიშნული ქმედებისათვის გ. გ-ს განუსაზღვრეს ჯარიმა  
– 5000 ლარი, რაც, 2013 წლის 6 მარტიდან იმავე წლის 20 მარ-  
ტამდე პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმ-  
ცირდა 1000 ლარით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 4000  
ლარის ოდენობით. გაუქმდა გ. გ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის  
ლონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით გ. გ-  
ს, გ. გ-ს, მ. გ-სა და მ. გ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონე-  
ბის (მდებარე ზესტაფონის რაიონის სოფელ ...ში, საკადასტრო  
კოდი – ...) 2000 ლარის ღირებულების წილს მოეხსნა ყადაღა.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის რაიონ-  
ული პროკურატურის პროკურორმა მ. ჩ-მ. მან ითხოვა განა-  
ჩენში ცვლილების შეტანა, გ. გ-სათვის უფრო მკაცრი სასჯე-  
ლის დანიშვნა, ასევე – პირობითი მსჯავრის გაუქმება და საბო-  
ლოო სასჯელის განსაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თე-  
ბერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და  
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის გა-  
ნაჩენში შევიდა ცვლილება: გ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 375-ე  
მუხლით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რა-  
საც დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29  
თებერვლის განაჩენითა და 2013 წლის 1 მარტის განჩინებით  
დანიშნული 3 წლით პირობითი მსჯავრის ნაწილი – 1 წელი და  
საბოლოოდ მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის  
მოხდა დაენყო 2015 წლის 24 თებერვლიდან; მასვე სასჯელის  
ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფ-  
ნის დრო – 2013 წლის 6 მარტიდან იმავე წლის 20 მარტის ჩათ-  
ვლით. გაუქმდა გ. გ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიე-  
ბა – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით გ. გ-ს, გ. გ-ს, მ.  
გ-სა და მ. გ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე  
ზესტაფონის რაიონის სოფელ ...ში, საკადასტრო კოდი – ...) 2000  
ლარის ღირებულების წილს მოეხსნა ყადაღა.

6. კასატორები – მსჯავრდებული გ. გ-ე და ადვოკატი გ. ძ-ი

საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 259-ე, 269-ე, 273-ე მუხლების უხეში დარღვევით; სასამართლომ არ გაითვალისწინა გ. გ-ს მიერ ბრალის აღიარება და ძირითადი აქცენტი გადაიტანა მის ნასამართლობაზე; აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულს პირობითი სასჯელის გამოსაცდელი ვადა ამოენურა 2014 წლის 3 ოქტომბერს, ანუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე; იგი სრული მოცულობით ასრულებდა პირობითი მსჯავრის ფარგლებში მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მას ორჯერ მოუწევს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

7. კასატორთა აზრით, როდესაც სახელმწიფო აუქმებს პირობით მსჯავრს იმ პირის მიმართ, რომელმაც, მართალია, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის დამთავრებამდე, თუმცა მის წინააღმდეგ ჯერ არ დამდგარა გამამტყუნებელი განაჩენი, ეს წარმოადგენს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას; მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას პირის დანაშაულებად ცნობის შესახებ, იწყება სასჯელის განსაზღვრა და მსჯელობა მის მიმართ სასჯელის დაწესებაზე, მათ შორის – წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის გაუქმების თაობაზეც, თუკი, რა თქმა უნდა, ახალი განაჩენის გამოტანამდე უკვე ამონურული არ იყო გამოსაცდელი ვადა. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენად უნდა ჩაითვალოს არა ქმედების ფაქტობრივად ჩადენის მომენტი, არამედ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენი, ვინაიდან ამის გათვალისწინების გარეშე ილახება პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

8. გარდა აღნიშნულისა, კასატორებს მიაჩნიათ, რომ გ. გ-ს არ უნდა დამძიმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი, რადგან, მართალია, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლი განაჩენთა ერთობლიობით ითხოვს სასჯელის დანიშვნას, მაგრამ იმპერატიულად არ არის დაწესებული, რომ ასეთ დროს ახალი დანაშაულისათვის სასჯელის სახედ აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს თავისუფლების აღ-



კვეთა, მით უფრო, რომ იმ დანაშაულის საქმეზე, რომლის შე-  
უტყობინებლობისათვისაა მსჯავრდებული გ. გ-ე, სასამართლომ  
2013 წლის 2 სექტემბრის განაჩენით ბრალდებულებს დაუმტკი-  
ცა საპროცესო შეთანხმება და თითოეულ მათგანს სასჯელად  
განუსაზღვრა 3000 ლარი ჯარიმა და პირობითი მსჯავრი შესა-  
ბამისი გამოსაცდელი ვადით; არათანაბარ პირობებში გ. გ-ს უა-  
რი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და დაენიშ-  
ნა ბევრად უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე იმ ბრალდებულებს,  
რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული; ამასთან, სასამარ-  
თლოს უნდა გაეთვალისწინებინა გ. გ-ს პიროვნება, მისი ოჯა-  
ხური და ეკონომიკური მდგომარეობა, ის, რომ ჰყავს მშობლები  
და მისი ოჯახი აღრიცხულია სოციალურად დაუცველთა ბაზა-  
ში.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის  
განაჩენის შეცვლას, გ. გ-სათვის წინა განაჩენით დანიშნული  
პირობითი მსჯავრის მოხდილად ჩათვლას, ხოლო ახალი დანა-  
შაულისათვის სასჯელის სახედ ჯარიმის განსაზღვრას; იმ შემ-  
თხვევაში კი, თუ ასეთი გადანყვეტილების მიღება შეუძლებე-  
ლი იქნება, ითხოვენ განაჩენთა ერთობლიობით, 1 წლით თავი-  
სუფლების აღკვეთასთან ერთად, ჯარიმის განსაზღვრას,  
მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ოჯახური და ეკონომიკური  
მდგომარეობის გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანა-  
ლიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა  
იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილ-  
დეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევი-  
დეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკემარისი და უტ-  
ყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა  
დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა გ. გ-მ ნამდვილად ჩაიდი-  
ნა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული  
ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორთა პოზიციას იმის  
შესახებ, რომ, ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს  
მიერ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მისთვის წინა განა-  
ჩენით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადა გასული იყო, მის მი-  
მართ დადგენილი პირობითი მსჯავრის გაუქმება არ შეესაბამე-  
ბა კანონის მოთხოვნებს და მიუთითებს, რომ საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი და-ნაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმის გამო, რომ გ. გ-მ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში, სასამართლო, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებულია, გააუქმოს მის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სასჯელი განუსაზღვროს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს გ. გ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მის პიროვნებას, ოჯახურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ძ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენითა და 2013 წლის 1 მარტის განჩინებით განსაზღვრული 3 წლით პირობითი მსჯავრის ნაწილი – 3 თვე და საბოლოოდ გ. გ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 24 თებერვლიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკა-

ვებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 6 მარტიდან იმავე წლის 20 მარტის ჩათვლით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
განჩინების საფუძველზე პირადი მოხმარების  
მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შიქანა-  
შენახვისათვის დანიშნული სასჯელის მოხდინაზე  
გათავისუფლება**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№525აპ-15

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**ზ. მეიშვილი,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საქმის მასალების მიხედვით, გ. ა-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ასევე უკანონოდ ინახავდა 12,48 გრამ ნარკოტიკულ საშუალება მარიხუანას, რაც 2014 წლის 8 ოქტომბერს ქ. ს-ი, თ-ს ქუჩაზე არსებულ ბენზინგასამართ სადგურ „რომპეტროლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენით გ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამარ-

თლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

3. უნდა გაუქმდეს გ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით გ. ა-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – (მდებარე ქ. ს-ი, ა-ს ქუჩის №..-ში (საკადასტრო კოდით №...) 10000 ლარის ეკვივალენტურ ნაწილს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მოეხსნას სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დადებული ყადაღა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის განაჩენით გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის გამამართლებელი განაჩენი გ. ა-ს მიმართ.

5. გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გ. ა-ს მიმართ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განაჩენებით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განაჩენებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ა-ს სასჯელის მოხდა უნდა დაენდოს დაპატიმრების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 8 ოქტომბრიდან იმავე წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მასვე „ნარკოტიკული საშუალების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შე-

ნახვისა და ტარების უფლებები.

7. გ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გი-რაო გაუქმებულია. საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მოიხსნას გ. ა-ს საკუთრებაში არსებული, ქ. ს-ი, ა-ს ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №...) 10000 ლარის ოდენობის ეკვივალენტურ ნაწილზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დადებული ყადაღა.

8. მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და გ. ა-ს გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. ა-ს მიერ 12,48 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“ უკანონოდ შექმნა-შენახვის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება გ. ა-ს ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. მოწმის სახით დაკითხული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, მ. დ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 ოქტომბერს, დაახლოებით 18:00 საათზე, სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქ. ს-ი, თ-ს ქუჩაზე, „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობდა გ. ა-ი, რომელსაც თან ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება „მარისუანა“. ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი მისი, ო. თ-ს და გ. ლ-ს შემადგენლობით, რომლებიც „შკოდას“ მარკის სამსახურებრივი ავტომანქანით გავიდნენ მითითებულ მისამართზე. ბენზინგასამართი სადგურის უკან, სარკინიგზო გადასასვლელთან, მათ დაინახეს ფეხით მიმავალი გ. ა-ი, რის გამოც გააჩერეს ავტომანქანა და სამივენი ჩავიდნენ.

მათ დანახვაზე იგი შეეცადა გაქცევას, მაგრამ ო. თ-მ და გ. ლ-ა დააკავეს. გ. ა-ს მან განუმარტა უფლებები და წინადადება მისცა ნებაყოფლობით წარმოედგინა ნარკოტიკული საშუალება, რაზეც უარი განაცხადა და თქვა, რომ ასეთი არ ჰქონდა. იგი მათ მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი, აყენებდათ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ეძახდა ძაღლებს. გ. ა-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც გ. ლ-ა მას ლურჯი ფერის ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოუღო ქალაქში შესხვეული მომწვანო-მორუხო ფერის მასა, რომელიც მის წინ დადო მიწაზე. მისივე ქურთუკის მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ორი მობილური ტელეფონი, ხოლო ჯინსის შარვლის ჯიბიდან – ფულადი თანხა, რის შემდეგაც, ვინაიდან იგი აგრძელებდა მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, იქნევდა ხელებს და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში უშლიდათ ხელს, მან გამოიძახა დამხმარე ჯგუფი. გამოძახებიდან დაახლოებით 5 წუთში ადგილზე მივიდნენ ვ. ხ-ე, ს. კ-ი და მ. ნ-ე. თვითონ ადგენდა ოქმს და მათ რაიმე საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების დალუქვისა და ოქმის შედგენის შემდეგ გ. ა-ი გადაიყვანეს სამმართველოს შენობაში. მოწმე მ. დ-ს განმარტებით, შემთხვევის ადგილზე მოქალაქეები არ იმყოფებოდნენ.

4. მოწმის სახით დაკითხული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, გ. ლ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 ოქტომბერს, სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გ. ა-ს ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება. ამის საფუძველზე შედგა ოპერატიული ჯგუფი და ის, მ. დ-ი და ო. თ-ე „შკოდას“ მარკის სამსახურებრივი ატომანქანით გავიდნენ თ-ს ქუჩაზე, „რომპეტროლის“ ბენზინგასამართ სადგურთან. ადგილზე მისულებმა დაინახეს, რომ მითითებული სადგურის უკანა მხარეს მიდიოდა გ. ა-ი, რომელსაც მოუწოდეს შეჩერებულიყო, რაზედაც ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა გაუწიათ, რის გამოც მან და ო. თ-მ ხელი ჩაავლეს და დააკავეს. იგი კვლავ წინააღმდეგობას უწევდათ, უწმანური სიტყვებით მიმართავდა და ეძახდა ძაღლებს, თან ყვიროდა – მიდებენ, მიშველეთო. ამ დროს იმ ტერიტორიაზე მათ გარდა არავინ იყო, ხოლო მოშორებით 4-5 ხნიერი ადამიანი იმყოფებოდა. გ. ა-ს მ. დ-ა განუმარტა, რომ მას უნდა ჩატარებოდა ჩხრეკა და თან მოუწოდა დამშვიდებულიყო, მაგრამ იგი პირიქით, უფრო აგრესიული გახდა. გ. ა-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი მომწვანო ფერის ქურთუკის მარცხენა ჯიბიდან მან

ამოიღო მობილური ტელეფონი, სანთებელა და სიგარეტი, ხოლო მარჯვენა ჯიბიდან – რალაც შეხვეული ნივთიერება, რაზეც გ. ა-ა ყვირილი დაიწყო – ნარკოტიკი ჩამიდეთო. მან ამოღებული ნივთი იმნამსვე იქვე, წინ დააგდო, რასაც გ. ა-ი ცდილობდა ფეხით მისწვდომოდა. ვინაიდან იგი აგრძელებდა წინააღმდეგობის განევას, გამოიძახეს დამხმარე ჯგუფი. დაახლოებით 5 წუთში მივიდნენ ვ. ხ-ე, ს. კ-ი და მ. ნ-ე. ამ დროს დაკავებული ყვიროდა, უძალიანდებოდათ და არ ემორჩილებოდათ. ჩხრეკის დასრულების შემდეგ მან, ო. თ-მ და მ. დ-ა გ. ა-ი გადაიყვანეს სამმართველოში, შემდეგ კი – ქ. ქ-ი, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, სადაც დაუდგინდა მარიხუანის მოხმარების ფაქტი. მოწმე გ. ლ-ს განმარტებით, გ. ა-ს დაკავებისას სახეზე აღენიშნებოდა ნაკანრები, რაზედაც განაცხადა, რომ აღნიშნული დაზიანება მიიღო ოჯახში მუშაობის დროს.

5. მოწმის სახით დაკითხული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, ო. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 ოქტომბერს სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ გ. ა-ი იყო ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და ქალაქში მოძრაობდა ნარკოტიკული საშუალებით. აღნიშნულის საფუძველზე ხელმძღვანელობის დავალებით შედგა ოპერატიული ჯგუფი მისი, მ. დ-ა და გ. ლ-ს შემადგენლობით. ისინი „შკოდას“ მარკის სამსახურებრივი ავტომანქანით გავიდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც გ. ა-ი უნდა ყოფილიყო. იგი შენიშნეს თ-ს ქუჩაზე მდებარე „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურის უკან, რკინიგზის გადასასვლელთან, რა დროსაც მას ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა. მანქანის გაჩერებისთანავე ის და გ. ლ-ი გადავიდნენ ავტომანქანიდან. მათ დანახვაზე გ. ა-ი შეცბა და დააპირა გაქცევა, მაგრამ დააკავეს. მ. დ-ა მას განუმარტა უფლებები და შესთავაზა დამსწრეების მოწვევა, რაზეც უარი განაცხადა და თქვა, რომ არაფერი ჰქონდა. იგი უწევდათ წინააღმდეგობას და აგრესიულად იქცეოდა, რის გამოც ის და ო. თ-ე ხელით აკავებდნენ. მას სახეზე ჰქონდა მცირე ზომის ნაკანრები, რომლებიც, მისივე განმარტებით, სახლში შემის ჩეხვის დროს მიიღო. გ. ა-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც გ. ლ-ა მუქი ლურჯი ფერის სპორტული ქურთუკის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღო ქალაქში გახვეული საგანი და იქვე მიწაზე დადო, რაზედაც მან დაიწყო ყვირილი – ძალებმა წამალი ჩამიდეს, მიშველეთო და ამოღებულ ნივთზე ფეხის დარტყმას ცდილობდა, რისი საშუალებაც არ მისცეს. ამ დროს იქვე, მათ სიახლოვეს არავინ იმყოფებოდა,

ხალხი მოშორებით, რკინიგზის გადასასვლელთან იყო. ამოღებული ნივთიერება დალუქა მ. დ-ა და ოქმის შედგენა დაიწყო. ვინაიდან გ. ა-ი აგრესიულად იქცეოდა და უძალიანდებოდათ, მ. დ-ა გამოიძახა დამხმარე ჯგუფი. დაახლოებით 5 წუთში მოვიდნენ ვ. ხ-ე, ს. კ-ი და მ. ნ-ე, რა დროსაც ჩხრეკა უკვე დამთავრებული იყო. გ. ა-ი პოლიციის მუშაკებს არ უცემიათ და მის მიმართ სხვა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენიათ. იგი დამხმარე ჯგუფის დახმარებით ჩასვეს სამსახურებრივ ავტომანქანაში და მან, მ. დ-ა და გ. ლ-ა გადაიყვანეს სამმართველოში, შემდეგ კი – ქ. ქ-ი, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, სადაც დაუდგინდა მარიხუანის მოხმარების ფაქტი.

6. მოწმის სახით დაკითხული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის, ვ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 ოქტომბერს სამმართველოში შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ნარკოტიკების აქტიურ მომხმარებელ გ. ა-ს ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება, რის შესახებაც აცნობა დეტექტივების განყოფილებას. ინფორმაციის გადასაწონმებლად გავიდა ოპერატიული ჯგუფი მ. დ-ს, გ. ლ-ა და ო. თ-ს შემადგენლობით. თვითონ სამსახურებრივი ავტომანქანით გავიდა ქალაქში შემოვლაზე, მას ახლდნენ პოლიციის თანამშრომლები – ს. კ-ი და მ. ნ-ე. 18-დან 19 საათამდე პერიოდში დაურეკა მ. დ-ა, რომ დაკავებული უწევდათ წინააღმდეგობას და ითხოვა დახმარება. დაახლოებით 5 წუთში მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, „რომპეტროლის“ ბენზინგასამართ სადგურთან, რა დროსაც მოქალაქეები იქ არ დაუნახავს. გამოძიებელი მ. დ-ი ატარებდა საგამოძიებო მოქმედებას. მანქანის ე.წ. კაპოტზე ელაგა ამოღებული ნარკოტიკი და ორი ტელეფონი. ამის შემდეგ გ. ა-ი ჩასვეს მანქანაში და გადაიყვანეს სამმართველოში.

7. მოწმე ს. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონულ სამმართველოში უზნის ინსპექტორ-გამომძიებლად. 2014 წლის 8 ოქტომბერს იმყოფებოდა სამსახურში. დაახლოებით 18 საათისთვის ვ. ხ-ა და მ. ნ-ნ ერთად გავიდა ქალაქის ცენტრში შემოვლაზე. ცოტა ხანში ვ. ხ-ს დაურეკეს ტელეფონზე. როგორც მან საუბრის დასრულების შემდეგ უთხრათ, პოლიციის თანამშრომლებს დაკავებული ჰყოლიათ გ. ა-ი, რომელიც უწევდათ წინააღმდეგობას და უნდა დახმარებოდნენ მათ. შესაბამისად, ისინიც მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადურის უკან, სადაც დაკავებული ჰყავდათ გ. ა-ი. მათი მისვლისას ნარკოტიკი ამოღებული იყო და მოთავსე-



ბული ჰქონდათ პოლიეთილენის პაკეტი. თავად საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ის და მ. ნ-ე დაეხმარნენ გ. ა-ს მანქანაში ჩასმაში. მისივე განმარტებით, შემთხვევის ადგილზე მოქალაქეები არ იყვნენ, მხოლოდ გადასასვლელთან შენიშნა სამი ადამიანი.

8. მოწმე მ. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2014 წლის 8 ოქტომბერს ს. კ-ნ ერთად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და ისინი პერიოდულად გადიოდნენ ქალაქის ტერიტორიაზე პრევენციის მიზნით. დაახლოებით 18 საათისთვის ვ. ხ-ნ ერთად ისევ გავიდნენ სამმართველოს შენობიდან ქალაქში შემოვლაზე. ქალაქის ტერიტორიაზე მოძრაობისას ვ. ხ-ს დაურეკეს ტელეფონზე. საუბრის დასრულების შემდეგ მან თქვა, რომ პოლიციის თანამშრომლებს დაკავებული ჰყავდათ გ. ა-ი და თვითონაც მივიდნენ დაკავების ადგილზე – „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურის უკან. ამ დროს მ. დ-ი ავსებდა ოქმს, ხოლო გ. ლ-ა და ო. თ-ს დაკავებული ჰყავდათ გ. ა-ი. იგი წინააღმდეგობას უწევდა პოლიციის თანამშრომლებს. თვითონ, ს. კ-ი და ვ. ხ-ე დაეხმარნენ მათ გ. ა-ს მანქანში ჩასმას და პოლიციის შენობაში გადაყვანაში. მისივე განმარტებით, დაკავების ადგილას სხვა არავინ იყო, ხოლო მოცილებით მოძრაობდა 2-3 ადამიანი.

9. მოწმის სახით დაკითხული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, დ. ფ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 8 ოქტომბერს სამმართველოში შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გ. ა-ი უნდა ყოფილიყო ქ.ს-ი, თ-ს ქუჩაზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე და უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება, რის საფუძველზეც შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი ვ. ხ-ს ხელმძღვანელობით. შემთხვევასთან დაკავშირებით გავიდნენ ვ. ხ-ე, გ. ლ-ი, მ. დ-ი, მ. ნ-ე, ს. კ-ი და ო. თ-ე. მათ გ. ა-ი მიიყვანეს პოლიციის სამმართველოში, რა დროსაც იგი ივინებოდა უმეერი სიტყვებით და ჰქონდა პრეტენზია, რომ ნარკოტიკი პოლიციელებმა ჩაუდეს. მასვე სახის მარცხენა მხარეს აღენიშნებოდა ფუფხით დაფარული ნაკანრები. ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმების შედეგად გ. ა-ს დაუდგინდა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი.

10. სამტრედიის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ მ. დ-ს მიერ შედგენილი დაკავებისა

და პირადი ჩხრეკის ოქმით დასტურდება, რომ გ. ა-ი დააკავეს 2014 წლის 8 ოქტომბერს, 18 საათსა და 50 წუთზე, ქ. ს-ი, თ-ს ქუჩაზე, „რომპეტროლის“ ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად მისი ნაჭრის ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს წარწერებიან ქალაქში გახვეული მომწვანო-მორუხო ფერის მასა, ჯინსის შარვლის უკანა ჯიბიდან – სამი ცალი ერთდოლარიანი, ერთი ცალი ოცლარიანი და ორი ცალი ხუთლარიანი კუპონური, ხოლო ქურთუკის წინა ჯიბიდან – „სამსუნგის“ და „სონის“ ფირმის მობილური ტელეფონები.

11. მონმის სახით დაკითხული ექსპერტის, მ. ჭ-ს ჩვენებითა და მის მიერ გაცემული №460/სქ სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. ა-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული მომწვანო-მოყავისფრო, სპეციფიკური სუნის მქონე დაქუცმაცებული მცენარეული მასა, მშრალ მდგომარეობაში, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება გამომშრალ „მარიხუანას“, წონით 12,48 გრამს.

12. მონმის სახით დაკითხული ექსპერტის, გ. ფ-ს ჩვენებითა და მის მიერ გაცემული ნარკოლოგიური ექსპერტიზის №8015903 დასკვნით დასტურდება, რომ დაკავების დღეს – 2014 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად, გ. ა-ს დაუდგინდა სწორედ იმ სახეობის ნარკოტიკული საშუალების – „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანას“) მოხმარება, რომელიც ამოღებული იქნა მისი პირადი ჩხრეკის დროს.

13. მონმის სახით დაკითხული შპს „ჯ-ს“ ექიმ-რეანიმატოლოგ ე. ს-ს ჩვენებით დასტურდება, რომ იგი 2014 წლის 9 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე იყო მორიგე. ამ პერიოდში საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პოლიციელების თანხლებით მიიყვანა პაციენტი გ. ა-ი, რომელიც უჩიოდა ტკივილს თავის, მკერდისა და მუცლის არეში. მასვე სახის არეში ეტყობოდა ფუფხით დაფარული ექსკორიაციები. პაციენტი იყო გაღიზიანებული და აგრესიული. მას ჩაუტარდა გამოკვლევა ნევროლოგის და ქირურგის მიერ, ასევე თავის ტვინის კომპიუტერული კვლევა, რის შედეგადაც მწვავე დაზიანებები და ნევროლოგიური პათოლოგიები გამოირიცხა, გაუკეთდა გამაყუჩებელი და ვინაიდან, მისი სტაციონარში დატოვების აუცილებლობა არ იყო, გაიწერა საავადმყოფოდან. ანალოგიური შინაარსის ინფორმაციას შეიცავს შპს „ჯ-ს“ მიერ გაცემული ცნობა გ. ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა გ. ა-ა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

15. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რასაც პალატაც ეთანხმება.

16. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო.

17. გასაჩივრებული განაჩენით გ. ა-ს მსჯავრი დაედო 12,48 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ შეძენა-შენახვაში.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ვინაიდან დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, სსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის სანქცია კი, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული გ. ა-ი უნდა გათავისუფლდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. გ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯოს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 26 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების საფუძველზე გ. ა-ი გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს გ. ა-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

5. გ. ა-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 3 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 8 ოქტომბრიდან იმავე წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მასვე „ნარკოტიკული საშუალების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 10 (ათი) წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 (ხუთი) წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. საქართვე-

ლოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მოიხსნას გ. ა-ს საკუთრებაში არსებული, ქ. ს-ი, ა-ს ქუჩის №...-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №...) 10000 ლარის ოდენობის ეკვივალენტურ ნაწილზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დადებული ყადაღა.

8. გ. ა-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარისუანა“, წონით 12,48 გრამი, რომელიც ინახება შს სამტრედიის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურების მიზნით უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, ხოლო მისი ჯინსის შარვლის უკანა ჯიბიდან ამოღებული სამი ერთდოლარიანი კუპიურა, ერთი ოცლარიანი კუპიურა და ორი ხუთლარიანი კუპიურა, ასევე ქურთუკის ჯიბიდან ამოღებული „სამსუნგის“ და „სონის“ ფირმის მობილური ტელეფონები, რომლებიც ინახება სამტრედიის შს რაიონულ სამმართველოში უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ გ. ა-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ეკიმიის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული  
საშუალების („მარისუანა“) უკანონოდ  
მოხმარებისათვის სასჯელის განსაზღვრის წესის  
თაობაზე**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№494აპ-15

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ი-ს საკა-  
საცუო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემ-  
ბრის განაჩენით:

2. გ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-  
ლოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლე-  
ბის აღკვეთა, 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლა-  
რი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაც-  
რმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას  
სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა. ვ. ი-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 23 დეკემბრიდან.

3. ვ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-  
ლოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლე-  
ბის აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა, 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენო-  
ბით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაც-  
რმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას  
სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა. ვ. ი-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2013 წლის 23 დეკემბრიდან.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის  
შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლით ჩამოერ-  
თვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარ-

მაცვეტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

5. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ვ. ი-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 1000 ლარი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. დ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ზ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათის ვადით. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

7. დ. ზ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

8. განაჩენით მსჯავრდებულების – ვ. ი-ს, გ. ი-ა და დ. ზ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 22 დეკემბერს ვ. ი-ა, გ. ი-ა და დ. ზ-ა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გ. ჩ-ს, რის შედეგადაც მან მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად და განიცადა ფიზიკური ტკივილი. იმავე დღეს ვ. და გ. ი-ა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მათი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს და ემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით.

9. 2013 წლის 26 აგვისტოს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის ვ. ი-ს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.

10. 2013 წლის 5 ნოემბერს ქ. გ-ი ვ. ი-ს დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

11. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

12. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ ბოლო – გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 იანვრის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ მიემატა წინა – გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან (3 წელი, 2 თვე და 21 დღე) – 2 წელი, 8 თვე და 21 დღე და საბოლოოდ მას განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით, 2 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა. გ. ი-ს სასჯელის მოხდა დაეწყო განჩინების მიღების დღიდან – 2015 წლის 2 ოქტომბრიდან. გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 იანვრის განაჩენი და გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

13. მსჯავრდებული ვ. ი-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – გამართლებას, ხოლო სხვა ნაწილში – სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც უდავოდ დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ვ. ი-ა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.



3. რაც შეეხება ვ. ი-ს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მათი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობის მუქართა და ძალადობის გამოყენებით, ჯგუფის მიერ) მსჯავრდებას, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ვ. ი-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის თაობაზე და მიაჩნია, რომ აღნიშნული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტითაა დადასტურებული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, უტყუარი, ურთიერთშეჯერებული და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – გ. ჩ-ს, ა. ე-ს, ტ. ქ-ს, გ. ს-ს, გ. მ-ს, დ. ჭ-ს, ზ. დ-ს, თ. კ-ს, გ. ნ-ს, ვ. ც-ა და სხვათა ჩვენებებით, სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, ტრასოლოგიური, სასაქონლო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რასაც პალატაც ეთანხმება.

5. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ი-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. ნ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარისუანის“ შექმნა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიასისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ მოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

8. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

9. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

10. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება

აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

11. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და მიაჩნია, რომ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო აღტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

12. ამდენად, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებად, აგრეთვე დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ვ. ი-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

13. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

## დაადგინა:

1. მსჯავრდებულ ვ. ი-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებული ვ. ი-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. ი-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2013 წლის 23 დეკემბრიდან.

5. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლება.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ვ. ი-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს სახით გადახდილი თანხა – 1000 ლარი გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

7. საქმეზე დართული საგნები და ნივთები: შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული სისხლის ლაქები (1 პაკეტი), გ. ჩ-ს, ა. ე-ს, ტ. ქ-ს, ვ. ი-ა და გ. ი-ს სისხლის ნიმუშები განადგურდეს; გ. ი-ა და ვ. ი-ნ ამოღებული ტანსაცმელი (2 პაკეტი), ტ. ქ-ა და ა. ე-ნ ამოღებული პოლიციელის ფორმის ქურთუკები (2 პაკეტი) დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქვიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული  
საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის  
ნასამართლავი პირის მიმართ სასჯელის  
ბანსაზღვრის წესის თაობაზე**

**ბანაჩენი  
საქართველოს სახელით**

№420აპ-15

22 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**ზ. მეიშვილი,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ა-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 მარტის განაჩენით ნ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ა-ს სასჯელის მოხდა დაენცი 2014 წლის 14 სექტემბრიდან.

2. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება – 5 წლით, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 15 წლით, საადვოკატო საქმიანობის, კუადროგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საჯარო ხელი-

სუფლებების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 10 წლით.

3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთმტკიცება – ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც ინახება ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის მე-9 განყოფილებაში უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

4. განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 11 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით ნ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2005 წლის 13 თებერვლიდან. სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა კალენდარულად – 2008 წლის 12 თებერვალს.

5. ნ. ა-ა დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. 2014 წლის 14 სექტემბერს, 19.10 საათისათვის, ქ. თ-ი, სოფელ ფ-ი, ა-ს ქუჩისა და რ-ს ქუჩის პირველი ჩიხის კვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. ა-ი თან უკანონოდ ინახავდა მის მიერ უკანონოდ შექენილ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ – 0,3135 გრამ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ წონაა 0,1034 გრამი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილებით ნ. ა-ი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

7. 2014 წლის 14 სექტემბერს ქ. თ-ი ნ. ა-ს ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად კვლავ დაუდგინდა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი მაშინ, როდესაც უკვე იყო ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირი.

8. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

9. მსჯავრდებული ნ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-

თა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

10. მსჯავრდებულ ნ. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ი-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნ. ა-ს გამართლებას ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდების ნაწილში, ხოლო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ბრალდების ნაწილში – სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, ნ. ა-ს დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მონმეების – გ. გ-ს, ვ. ნ-ს, გ. ტ-ს, ბ. ბ-ს ჩვენებებით, ბრალდებულ ნ. ა-ს ჩვენებებით, პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებით, ამოღებული ნარკოტიკული საშუალებით, ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები დადასტურებულია.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რასაც პალატაც ეთანხმება.

4. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 8 ივლისის კანონის საფუძველზე, სსკ-ის 260-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, შემსუბუქდა აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის გათვალისწინებული სასჯელი, საკასაციო პალატა ახალი ცვლილების ფარგლებში მსჯელობს მსჯავრდებულ ნ. ა-ს მიმართ სასჯელის დანიშვნაზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ: ნ. ა-ს დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ჩადენილი არაერთგზის), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც წარმოადგენს მძიმე დანაშაულის კატეგორიას.

5. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

6. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ა-ს დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ძველი რედაქცია), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტთან (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

7. საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. წ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმარ-



თებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

10. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

11. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავეის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრე-

ტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

12. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

13. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშულ მსჯელობას და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ნ. ა-ი წარსულში ნასამართლევა, მიაჩნია, რომ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

14. ამდენად, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებად, აგრეთვე დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ნ. ა-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის, ჩადენილი არაერთგზის, დანიშნული სასჯელი – 8 წელი უნდა მოექცეს მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სან-

ქციის ფარგლებში და განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

15. ნ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

16. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ნ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. მსჯავრდებულ ნ. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ძველი რედაქცია), შესაბამისობაში მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტთან (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია), რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. ა-ს მოსახდელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2014 წლის 14 სექტემბრიდან.

6. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის

უფლება – 5 წლით, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 15 წლით, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 10 წლით.

7. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთმტკიცება – ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც ინახება ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის მე-9 განყოფილებაში, განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქერქო ნანოლი

### დანაშაული ჯანმრთელოზის ნინააღმდეგ ჯანმრთელოზის განზრახ მიმეღაზინაება

#### განაჩენი საქართველოს სახელით

№508აპ-15

17 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
ზ. მეიშვილი

განიხილა აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორ ფრი-  
დონ ქარცივაძისა და მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამ-  
ცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის საა-  
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2015 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მ. ქ-ს ბრა-  
ლი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელო-  
ბა, კერძოდ: მას 2014 წლის 29 მაისს, დაახლოებით 14.00 საათ-  
ზე, ...-დან ...-ის მიმართულებით ავტობუსით გადაადგილებისას,  
ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ავტობუსში მყოფ თურქეთის  
მოქალაქე ა. ფ-სთან, რაც მათ შორის ჩხუბში გადაიზარდა, რა  
დროსაც მ. ქ-მა დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზ-  
ნით, ა. ფ-ს მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შე-  
მავალი ჭრილობა. დაჭრილი ა. ფ-ი განეული სამედიცინო დახმა-  
რების შედეგად სიკვდილს გადაარჩა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერ-  
ვლის განაჩენით მ. ქ-ისათვის ბრალად შერაცხული ქმედება სა-  
ქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა  
სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. მ. ქ-ი, – ნასამართლობის  
არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-  
ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების  
აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 29 მაისიდან.

3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში  
შესვლის შემდეგ ნივთმტკიცებად ცნობილი: მ. ქ-ის ტანსაცმე-

ლი და №... პირადობის მონმობა უნდა დაუბრუნდეს მ. ქ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს; დაზარალებულ ა. ფ-ის ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს ა. ფ-ის, ხოლო მისი სისხლის ნიმუში (გამშრალი დოლბანდით) და ორი ლილი უნდა განადგურდეს.

4. მსჯავრდებულ მ. ქ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: მ. ქ-მა 2014 წლის 29 მაისს, დაახლოებით 14.00 საათზე, ...-დან ...-ის მიმართულებით ავტობუსით გადაადგილებისას, ურთიერთშელაპარაკების დროს, რაც ჩხუბში გადაიზარდა, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ფ-ს დანის გამოყენებით, სხეულის დაზიანების მიზნით, მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი, სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორმა – ფ. ქ-მ და მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-ემ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით; ფ. ქ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

8. პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განაჩენში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილების შეტანასა და მ. ქ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-ემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ფ. ქ-მ ითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, მასში მითითებული მოტივებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-

მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორ ფ. ქ-ისა და მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებულმა მ. ქ-მა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მან უარყო დაზარალებულ ა. ფ-ის დანით დაჭრის ფაქტი და განმარტა, რომ ა-ს სხვა პირმა მიაყენა დაზიანება. მან მხოლოდ ხელში აიღო ავტობუსის იატაკზე დაგდებული დანა და მოითხოვა დამნაშავის დაკავება.

3. მოწმის სახით დაკითხულ, დაზარალებულ ა. ფ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ რამდენიმე თურქი ეროვნების მამაკაცთან, მათ შორის მ. ქ-თან ერთად, დასასვენებლად ჩამოვიდა ქ. ...-ში. ისეირნეს ქალაქის ქუჩებში, შემდეგ კი პარკში დალიეს ალკოჰოლური სასმელები, თავად – ლუდი, ხოლო დანარჩენებმა – არაყი. ავტობუსში მ. ქ-ი ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. ავტობუსში მყოფთაგან ერთ-ერთმა იყვირა, რის გამოც ა-მა შენიშვნა მისცა მ-ს და შეეცადა მის დაწყნარებას. მ. ქ-მა კი საპასუხოდ პირზე ხელი მოუჭირა. ა-მა მ-ს ხელი უბიძგა და „ალიყური“ გააწნა. ამის მერე მ-ის ხელში დაინახა დანა, რომლის პირი გახსნილი იყო. მ-ი მას თავს დაესხა და ორჯერ დაარტყა დანა. ამ დროს მათ შუაში ჩადგა მ-ა. მ. და ა. ჩაერივნენ. თვითონ კი სავარძლებს შორის ჩავარდა, რის შემდეგაც ავტობუსი გაჩერდა და გარეთ გადმოვიდნენ.

4. მოწმის სახით დაკითხული მ-ა ფ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის მაისში, შუადღის საათებში, მგზავრობდა ავტობუსით ...დან ...-ის მიმართულებით. ამავე ავტობუსით მგზავრობდა მ. ქ-იც. სანამ მიუახლოვდებოდნენ ...-ის ცენტრს, მთვრალმა მ. ქ-მა ჯიბიდან ამოიღო დაკუჭული ქალღლები და ძირს დაყარა, რაზეც ქართველმა ახალგაზრდამ შენიშვნა მისცა. მ. ქ-ი განაწყენდა და მათ შორის დაიწყო კამათი, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ახალსოფლის ცენტრთან უკვე ხელჩართული ჩხუბი მიმდინარეობდა. მ. ქ-ს სურდა დანა დაერტყა ქართველი ბიჭისთვის, რის საშუალებასაც არ აძლევდნენ და ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევდნენ მისი თანმხლები თურქი ეროვნების მამაკაცები, მათ შორის დაზარალებული – ა. ფ-იც. დაზარალებულმა სახეში ხელი გაარტყა მ-ს. ამ დროს, როდესაც მ. ქ-ი დანით ხელში მიიწვავდა ქართველი ახალგაზრდისაკენ, დანა დაარტყა ა. ფ-ის, ხოლო ქართველი ახალგაზრდა ჩავიდა გაჩერებული ავტობუსიდან და შემდეგ აღარ გამოჩენილა. თურქებიც

ჩხუბობდნენ ერთმანეთში. დაზარალებულის დაჭრამდეც და დაჭრის შემდეგაც მსჯავრდებულს ხელში ეჭირა დანა. დანის პირი მსჯავრდებულის ხელიდან დაახლოებით 5–6 სანტიმეტრზე ჩანდა, დანის მთლიანი სიგრძე არ დაუნახავს.

5. მონმე – რ. ხ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის მაისში, შუადღის საათებში, მგზავრობდა ავტობუსით. გზაში მ. ქ-მა ჯიბიდან ამოიღო ქალაღები და ძირს დაყარა, რაზეც ქართველმა ახალგაზრდამ შენიშვნა მისცა. მ. ქ-ი განაწყენდა და მათ შორის დაიწყო კამათი, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. ერთმანეთში ჩხუბი დაიწყო თურქმა მამაკაცებმაც, ისინი ცდილობდნენ მ. ქ-ის დაწყნარებასა და მისთვის დანის წართმევას, თუმცა ვერ ახერხებდნენ. მ-ის ხელში დაინახა დანა, რომლის პირი იყო დაახლოებით 5-7 სანტიმეტრი სიგრძის, თუმცა მას უშუალოდ დაზარალებულის დაჭრის მომენტი არ დაუნახავს. მხოლოდ შენიშნა, თუ როგორ წაართვეს ხელიდან დანა მ. ქ-ს.

6. ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მონმე – ჯ. ს-ემ.

7. სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებულ მონმე – ა. კ-ის მიერ მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ 2014 წლის 28 მაისს ჩამოვიდა საქართველოში ...-მის დასათვალისწინებლად თავის მეგობარ ა. ფ-სთან, ასევე – მ. ქ-თან, ი-სთან, მ-ასა და კი-დევე ერთ მ-ასთან ერთად, რომლებიც მგზავრობისას გაიცნო. დაათვალისწინებდა ქალაქი, მეორე დღეს კი გადამწყვიტეს გამგზავრება. გამგზავრებამდე ისაძლიერდა და დალიეს ლუდი, ხოლო მ. ქ-მა ლუდთან ერთად – არაყიც. მ-ი იყო ძლიერ მთვრალი. სარფამდე ავტობუსით მგზავრობისას მ. ქ-სა და ფ. ა-ს შორის წარმოიშვა უთანხმოება, კონკრეტულად რა მიზეზით, არ იცის, რადგან მათგან მოშორებით იჯდა. კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მძლოლმა ავტობუსი გააჩერა, დანარჩენი მგზავრები ჩავიდნენ ავტობუსიდან, ხოლო მ. ქ-ი და ა. ფ-ი კი განაგრძობდნენ ჩხუბს და მიუხედავად მათი ჩარევისა, მ-ი კვლავ განაგრძობდა ა-ის მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებასა და ძალადობას. დაზარალებულის დაჭრის მომენტი მას არ დაუნახავს. მოგვიანებით ა. ფ-ისაგან შეიტყო, რომ მ. ქ-მა ავტობუსში ჩხუბის დროს დაჭრა მუცლის არეში.

8. მონმე გ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს იდგა ავტომანქანით, რა დროსაც გაჩერდა ავტობუსი, საიდანაც ჩამოვიდნენ მგზავრები. ავტობუსის კიბის საფეხურზე დაინახა მ. ქ-ი. იგი იყო მთვრალი და ხელში ეჭირა დანა, უკნიდან სხვები ექაჩებოდნენ, შემდეგ კი დანა წაართვეს.

9. მონმე ე. დ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ არის ბათუმის



რესპუბლიკური – კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ქირურგი. 2014 წლის მაისში, მისი მორიგეობისას, საავადმყოფოში მიიყვანეს თურქი ეროვნების მამაკაცი, რომელსაც აღენიშნებოდა მარცხენა მხარეს ნაკვეთი ჭრილობა, შემაჯავალი პლევრისა და მუცლის ღრუში. სულ სახეზე იყო ერთი ჭრილობა, მე-8 ნეკნთა-შორის არეში, შემაჯავალი მუცლისა და პლევრის ღრუში, ანუ გულ-მკერდის არეში, სადაც განლაგებულია გული, ფილტვი და მანკისტრალური სისხლძარღვები. ჭრილობის სიგრძე იყო დაახლოებით 8–10 სმ, მიმართულებით – ზემოდან ქვემოთ.

10. მოწმის სახით დაკითხულ ექსპერტ ლ. უ-ის ჩვენებითა და მის მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2014 წლის 17 ივნისის №... დასკვნით დადგენილია, რომ ა. ფ-ის სხეულზე აღენიშნებოდა: მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემაჯავალი ჭრილობა, მარცხენამხრივი ჰემოპნევმოთორაქსი, ჰემოპერიტონიუმი, დიაფრაგმის, დიდი ბადექონის, კუჭ-კოლინჯის იოგის, წვრილი ნაწლავის ჯორჯლის დაზიანება. არსებული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. დაზიანების ხანდაზმულობა არ ენიშნა აღმდგეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

11. ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არსებული დასკვნების შეუსაბამობაზე, ერთი მხრივ, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოცემული ბრალდების ფორმულირებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კი საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, მ. ქ-ს ბრალი ედება იმაში, რომ მას 2014 წლის 29 მაისს, ავტობუსით მგზავრობისას, ურთიერთშელაპარაკება მოუხდა თურქეთის მოქალაქე ა. ფ-სთან, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს მ. ქ-მა დანის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, ა. ფ-ის მიაყენა მარცხენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემაჯავალი ჭრილობა.

12. სააპელაციო პალატამ კი, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია, რომ კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა მ. ქ-სა და ქართველ ახალგაზრდას შორის (რომელიც წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდა მსჯავრდებულს), რაც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს მ. ქ-ი იყო აგრესიული და დანით ხელში იწვედა შენიშვნის მიმცემი უცნობი პირისკენ და რომ მისი აგრესია მიმართული იყო არა ა.

ფ-ის, არამედ – ქართველი ეროვნების მამაკაცის მიმართ. საპირისპიროს განმარტავს დაზარალებული, რომლის ჩვენების თანახმად, მან შენიშვნა მისცა მ-ს და შეეცადა მის დანყნარებას. მ. ქ-მა კი საპასუხოდ პირზე ხელი მოუჭირა. მან მ-ს ხელი უზიდა და „ალიყური“ გაანწა. ამის შემდეგ მ-ის ხელში დაინახა დანა, რომლის პირი გახსნილი იყო. მ-ი მას თავს დაესხა და ორჯერ დაარტყა დანა. ის ფაქტი, რომ ავტობუსში ჩხუბი მოხდა არა მხოლოდ თურქი ეროვნების, არამედ ასევე ქართველი და თურქი ეროვნების მამაკაცებს შორისაც, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა, ასევე დადასტურებულია მოწმეების – მ. ფ-ის, რ. ხ-ის, ჯ. ს-ის, ა. კ-ის ჩვენებებით. არ არის გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რა მომენტში დაჭრა მ. ქ-მა დაზარალებული. იგი მოქმედებდა არაკონკრეტიზირებული განზრახვით და ბუნდოვანია სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით თავიდან მოეშორებინა ა. ფ-ი, რომელიც ხელს უშლიდა ქართველი მამაკაცის დაჭრაში, თუ თავად ა. ფ-ის დაჭრა უნდოდა შურისძიების მოტივით, ვინაიდან ამ უკანასკნელმა არ მისცა შენიშვნის მიმცემი ქართველი ახალგაზრდისათვის პასუხის გაცემის საშუალება. გარდა ამისა, ასევე წინააღმდეგობრივია დაზარალებულ ა. ფ-ის ჩვენება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რადგან დაზარალებული აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა მას ორჯერ დაარტყა დანა, ხოლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით კი დადგენილია, რომ ა. ფ-ის სხეულზე აღენიშნება მხოლოდ ერთი ჭრილობა.

13. როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებით, ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებით საქმის ფაქტობრივი გარემოებები არათანმიმდევრული და ბოლომდე დაუზუსტებელია, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები აშკარად მიუთითებს მ. ქ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რის გამოც ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ და ძალაში უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. არ უნდა დაკმაყოფილდეს აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორ ფრიდონ ქარცივაძის საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულისათვის მსჯავრის დამძიმების მოთხოვნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ მსჯავრდებულმა დაზარალებულს ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა გაუფრთხილებლობით, რადგან არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორ ფ. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და  
ხელუხებლობის წინააღმდეგ  
გაუპატიურების მცდელობა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№253აპ-15

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

განიხილა პროკურორ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ თ. ჯ-ს, – ნასამართლევს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურების, ე.ი. სქე-

სობრივი კავშირის მცდელობა ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 28 თებერვალს თბილისში, ... ტყეში, თ. ჯ-მა სცადა, ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი საკუთარ ბიძაშვილთან – ნ. ჯ-თან, რითიც მას მიაყენა მორალური და ფიზიკური ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განაჩენით თ. ჯ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან; მასვე განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ლ. ხ-მ. მან ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და თ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. გამართლებულ თ. ჯ-ს ადვოკატებმა – ლ. კ-მ და გ. ჩ-მ შესაგებლად ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი თ. ჯ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – პროკურორი ლ. ხ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლოს მოსაზრებები დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და თ. ჯ-ს მიმართ დადგინდეს გამამატყულებელი განაჩენი შემდეგ გარემოებათა გამო:

8. დაზარალებულ ნ. ჯ-ს ჩვენებით, რომელიც სასამართლოში დაადასტურეს მოწმეებმა: ქ. ბ-მა, გ. გ-მ, ა. ლ-მა, გ. ლ-მ, მ. ხ-მა, დ. ე-მ, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთებით დადასტურებულია თ. ჯ-ს მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენა, მაგრამ სასამართლომ ეს მტკიცებულებები არ გაიზიარა და მოსამართლემ თავისი განაჩენით ფაქტობრივად თქვა, რომ დაზარალებულმა ყველაფერი მოიგონა, თუმცა საერთოდ არ იმსჯელა მისი ასეთი ქცევის მოტივზე; სასამართლომ არ გაამხვილა ყურადღება თ. ჯ-ს მიერ გამოძიებასა და

სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებულ სხვაობაზე; მან სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევისას „აა-გო“ შემთხვევის ახალი ვერსია, რომელიც არ დასტურდება მტკიცებულებებითა და ლოგიკის კანონებით.

9. კასატორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთა შეფასების შედეგად ობიექტური პირი დარწმუნდება, რომ თ. ჯ-მა რეალურად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ლ. ხ-ე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და თ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

11. გამართლებული თ. ჯ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ე შესაგებლით ითხოვენ პროკურორ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

12. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ხ-მ ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, მასში მითითებული მოტივებით.

13. ადვოკატი გ. ჩ-ე არ დაეთანხმა კასატორის პოზიციას და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის გამამართლებელი განაჩენის ძალაში დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა პროკურორ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. როგორც დაზარალებულ ნ. ჯ-ს ჩვენებიდან ირკვევა, 2014 წლის 27 თებერვალს მის ოჯახში სტუმრად მივიდა მისი ბიძამვილი თ. ჯ-ი. საღამოს მისმა მამამ და თ-მა დალიეს ალკოჰოლური სასმელი. მეორე დღეს მამისა და თ-ს თხოვნით გაჰყვა ამ უკანასკნელს პასპორტის ასაღებად, თუმცა გზაში თ-მა შესთავაზა, ეჭმათ ხინკალი. ამ მიზნით მივიდნენ „ხინკლის სახლში“, სადაც ბრალდებულმა დალია რამდენიმე ჭიქა არაყი. სახინკლეში მისვლამდე მათ შეიარეს ასევე „ვაგზალზე“, სადაც თ-მა შეიღწა უყიდა მობილური ტელეფონი. სახინკლეში ყოფნისას მან თ-ს ტელეფონით გააცნო თავისი შეყვარებული. „ხინკლის სახლიდან“ გამოსვლის შემდეგ, თ. ჯ-ს ინიციატივით, წავიდნენ ...ის პარკში, სადაც ცოტა ხანს ისეირნეს, ხოლო შემდეგ ბრალდე-

ბულმა შესთავაზა ... ეკლესიაში შევლა. ისინი გაემართნენ კიბე-  
ებით ეკლესიის მიმართულებით, რა დროსაც ბრალდებულმა და-  
ზარალებულს შესთავაზა კიბეების გვერდის ავლით, ტყის გავე-  
ლით წასულიყვნენ, ვინაიდან ასე უფრო შეიმოკლებდნენ გზას.  
მას შემდეგ, რაც გადავიდნენ ბილიკიდან, გარკვეული მანძი-  
ლის გავლის შემდეგ, მოულოდნელად, თ-მა შეაჩერა იგი და ხე-  
ლებით დაუნყო შეხება სხეულის სხვადასხვა ადგილზე. დაზა-  
რალდებულმა სცადა თავიდან მოეშორებინა ბრალდებული, რის  
გამოც იგი ბრანდებოდა და ცდილობდა მისთვის ხელები გაეკა-  
ვებინა. ამ დროს, ვინაიდან იმყოფებოდნენ ფერდობზე, თავი  
ვერ შეიკავეს და ნაიქცნენ. ნ. ჯ-ი ზურგით იწვა მიწაზე, ხოლო  
თ. ზემოდან დაანვა და ჯერ ფეხსაცმელი გახადა ძალის გამო-  
ყენებით, შემდეგ კოლგოტიც და ცდილობდა საცვალიც გაეხა-  
და, რა დროსაც ნ. ჯ-მა იქვე დაგდებული მინის ქილა ჩაარტყა  
თავში, ასევე ურტყამდა ქვასაც. ამ დროს ბრალდებულს მარ-  
ჯვენა ხელის მტვენიდან წამოუვიდა სისხლი, რაც, ალბათ, ნამ-  
სხვრევებზე დაიზიანა. განეული წინააღმდეგობის გამო, ბრალ-  
დებულმა თავი დაანება მას და ცოტა მოშორებით დაჯდა მიწა-  
ზე, რითიც ისარგებლა დაზარალებულმა და ჩაიცვა ფეხსაცმე-  
ლი. ამ დროს ბრალდებულმა კვლავ სცადა მის მიმართ ძალადო-  
ბა, თუმცა ვერ მოახერხა, ვინაიდან ნ. ჯ-მა ქვიშა შეაყარა თვა-  
ლებში და გაიქცა. ბრალდებული უკან მიჰყვებოდა. ფერდობის  
ბოლოს ნ. ჯ-მა დაინახა საცხოვრებელი სახლი, სადაც ენთო შუ-  
ქი. იმ მიზნით, რომ საშველად ვინმესთვის მოეხმო, დაიწყო ბრა-  
ხუნი კარზე, რა დროსაც გამოხედა ქალბატონმა, რომელსაც და-  
უძახა „მიშველეთ, ამ კაცთან მარტო არ დამტოვოთ“, რის შემ-  
დეგაც ბრალდებული გაიქცა. ამის შემდეგ გამოჩნდნენ ... პარ-  
კის დაცვის თანამშრომლები და წაიყვანეს იგი მოლარე ოპერა-  
ტორის ოთახში, სადაც მოუყვა მომხდარის შესახებ მოლარე გო-  
გონასა და იმ ქალბატონს, რომელსაც პირველად სთხოვა დახ-  
მარება. დაზარალებულმა განმარტა, რომ ძალადობისას გაუფარ-  
და თ-ს მიერ ნაყიდი ტელეფონი, რომელიც მას ეჭირა ხელში.  
ასევე დაკარგა „მეტრომანი“, პირადობის მონწილეობა და საყურე.

3. მოცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით საკასაციო პალა-  
ტა აღნიშნავს შემდეგს: განსახილველი დანაშაული, თავისი ბუ-  
ნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის  
საჯარო და არ გამოირჩევა თვითმხილველ მონწილეთა სიმრავლით;  
შესაბამისად, ასეთი კატეგორიის საქმეებში განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანია დაზარალებულის ჩვენების თანმიმდევრულო-  
ბა, შესაბამისობა სხვა მტკიცებულებებთან და ისეთი მოტივის  
არარსებობა, რამაც სასამართლოს შესაძლებელია, აფიქრები-

ნოს დაზარალებულის მიკერძოებულობის შესახებ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. სწორედ ასეთ სახდოდ ჩვენებას წარმოადგენს დაზარალებულ ნ. ჯ-ს ჩვენება. ანუ, სასამართლოს აღნიშნული ჩვენება უტყუარ მტკიცებულებად მიაჩნია, ვინაიდან მის მიერ მითითებული ფაქტები დასტურდება საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით:

4. მონმე ქ. ბ-ს ჩვენებით, რომლის მიხედვითაც, მან 2014 წლის 28 თებერვალს, დაახლოებით 17:00-დან 19:00 საათამდე პერიოდში, გაიგონა ბრაზხუნი ეზოს რკინის კარზე, გავიდა გარეთ და დაინახა მისთვის უცნობი პირი, რომელმაც ჰკითხა, თუ როგორ შეიძლება ლობეზე გადმოსვლა. ამავდროულად გაიგონა გოგონას ხმა „მიშველეთ, ამ კაცთან მარტო არ დამტოვოთ“, რის გამოც ქ. ბ-ი ჩავიდა დაცვის თანამშრომლების დასაძახებლად. გ. გ-ა, გ. ლ-ე და ა. ლ-ი მივიდნენ დაზარალებულთან, გადმოიყვანეს პარკის ტერიტორიაზე და შეიყვანეს მოლარე-ოპერატორის ოთახში, სადაც ნ. ჯ-მა მას და მ. ხ-ს მოუყვა, რომ ბიძაშვილმა სცადა მისი გაუპატიურება.

5. მონმეების – ქ. ბ-ს, მ. ხ-ს, გ. გ-ს, გ. ლ-სა და ა. ლ-ს ჩვენებებით, რომელთა მიხედვითაც, ნ. ჯ-ი იყო შოკურ მდგომარეობაში, ნამტირალევი, ცახცახებდა, ფეხები დაკანრული ჰქონდა და არ ეცვა კოლგოტი, რაც მათთვის გასაკვირი იყო, ვინაიდან თებერვალს იყო და საკმაოდ ციოდა.

6. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, საიდანაც ირკვევა, რომ ...ის პარკში, ნ. ჯ-ს მიერ მითითებული ადგილიდან, ნანახი და ამოღებულ იქნა ნ. ჯ-ს კოლგოტი, რომელსაც აღენიშნებოდა დაზიანებები და სისხლის ლაქა, რომელიც ბიოლოგიური ექსპერტიზის №.../სბ დასკვნის თანხმად (რომლის სისწორეც სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ნ. ე-მა), ემთხვევა ნ. ჯ-სგან აღებული სისხლის ნიმუშის ჯგუფს; ამოღებულ იქნა ასევე ნ. ჯ-ს საყურე, „მეტრომანი“, პირადობის მონმოზა და თ. ჯ-ს მიერ ნაყიდი მობილური ტელეფონი თავისი ყუთით.

7. ტრასოლოგიური ექსპერტიზის №.../ტრ დასკვნით, რომლის სისწორეც დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე ექსპერტებმა – ს. ე-მ და ნ. კ-მ და რომლითაც დადგენილია, რომ ნ. ჯ-ს ქურთუკს, საცვალსა და კოლგოტს აღენიშნებოდა დაზიანებები (ნაკერის გარღვევისა და გახევის სახით), რომლებიც წარმოქმნილია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

8. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის სისწორეც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა ნ. ო-მ და რომლითაც დადგენილია, რომ ნ. ჯ-ს ქვედა ბოლოსა და კოლგოტზე არსებული და-

ზიანებები განვითარებულია მყარ, ხორკლიან ზედაპირთან უხე-  
ში დინამიური კონტაქტის შედეგად. ტრუსზე აღინიშნება მექა-  
ნიკური ზემოქმედების შედეგად რღვევით და ხევით განვითა-  
რებული დაზიანება.

9. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით,  
რომლის სისწორეც სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექ-  
სპერტმა ე. კ-მ, საიდანაც ირკვევა, რომ თ. ჯ-ს მარჯვენა ხე-  
ლის მტევნის ზურგზე აღენიშნებოდა დაზიანება.

10. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით,  
რომლის სისწორეც სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს ექ-  
სპერტებმა ე. ქ-მ, ე. ჩ-მა და დ. გ-მ, საიდანაც ირკვევა, რომ ნ.  
ჯ-ს აღენიშნებოდა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მუხლები-  
სა და წვივის არეში, ასევე მარცხენა და მარჯვენა ხელის მტევ-  
ნების უკანა ზედაპირზე.

11. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის  
შეფასებებს დაზარალებულის ჩვენების არასარწმუნოების თა-  
ობაზე, კერძოდ:

12. ის ფაქტი, რომ თ. ჯ-ს თავის არეში დაზიანება (რაც შე-  
საძლოა, მისდგომოდა დაზარალებულის მიერ მინის ქილის ჩარ-  
ტყმით) არ აღმოაჩნდა, თავისთავად, არ განაპირობებს დაზა-  
რალებულის ჩვენების არადამაჯერებლობას, ვინაიდან შემ-  
თხვევიდან სამედიცინო შემონიშნებამდე გასულია დაახლოებით  
თვე-ნახევარი, რის გამოც, პალატის შეფასებით, შესაძლებე-  
ლია გამქრალიყო დაზიანების კვალი. ამასთან, პალატა ყურად-  
ღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალებულის მი-  
თითებით, მან ბრალდებულს თავში ჩაარტყა მინის ქილა, თუმ-  
ცა რა ტიპის დაზიანება მიიღო მან, ან საერთოდ, მიიღო თუ არა  
– ამის შესახებ დაზარალებულს არაფერი უთქვამს.

13. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე  
ვერ იპოვეს დამსხვრეული მინის ქილა, პალატას მიაჩნია, რომ  
ასეთის არსებობა იქნებოდა კიდევ ერთი არგუმენტი თ. ჯ-ს ბრა-  
ლეულობის დასადასტურებლად, თუმცა მინის ქილის ნამსხვრე-  
ვების არარსებობა მაშინ, როცა საგამოძიებო ექსპერტიზის  
ჩატარებამდე შემთხვევიდან გასულია გარკვეული დრო (დაახ-  
ლოებით 15 საათი), არ მიუთითებს ნ. ჯ-ს არაგულწრფელობაზე.

14. საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია სააპელაციო სა-  
სამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ნ. ჯ-ს ტანსაცმელ-  
ზე თ. ჯ-ს სისხლის კვალის აღმოუჩენლობა მიუთითებს დაზა-  
რალებულის მიერ არასწორი ჩვენების მიცემაზე. პალატა აღ-  
ნიშნავს: თ. ჯ-მა დაზიანა ხელის მტევნის გარეთა მხარე. ამას-  
თან, დაზარალებულის განმარტებით, თ. ჯ-ს ხელი გაეჭრა მას



შემდეგ, რაც პირველად სცადა მასზე ძალადობა, ხოლო როდესაც უკვე მეორედ (მას შემდეგ, რაც გაიჭრა ხელი) სცადა მასზე ძალადობა – ფაქტობრივად მჭიდრო კონტაქტი აღარც ჰქონიათ, რადგან ნ. ჯ-მა ქვიშა შეეყარა თვალელებში და გაიქცა. ამიტომ, სრულიად გასაგებია, თუ რატომ შეიძლება არ აღმოჩენილიყო დაზარალებულის ტანსაცმელზე თ. ჯ-ს სისხლის კვალი.

15. რაც შეეხება ბრალდებულ თ. ჯ-ს პოზიციას, მან წარდგინებულ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ 2014 წლის 14 იანვარს ჩავიდა სოფელში, დმანისის რაიონის სოფელ ...ში, სადაც დარჩა გარკვეული დროის განმავლობაში. თანასოფელელისგან შეიტყო, რომ მისი ბიძაშვილი ნ. ჯ-ი „უნესოდ“ იქცეოდა. საუბრისას ნ. ჯ-მა არ უარყო აღნიშნული; ამასთანავე, უთხრა, რომ ჰყავდა შეყვარებული, რუსთაველი ბიჭი, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა ცოლად. ხოლო თუ გაახმაურებდა მის საქციელს, იგი თავს მოიკლავდა. თურქეთში წასვლამდე ავიდა „ლოტკინზე“, ბიძამისის ოჯახში და კიდევ ერთხელ დაელაპარაკა ნ-ს პირად ცხოვრებაზე. მას ანუხებდა ნ-ს ცუდი საქციელი, ვინაიდან იგი ბავშვობიდან მის სახლში იზრდებოდა. შემდეგ წავიდა თურქეთში, სადაც დაჰყო 1 თვე და 10 დღე. თურქეთიდან ჩამოვიდა 2014 წლის 27 თებერვალს. ტაქსით ავიდა „ლოტკინზე“ ბიძამისთან. ვინაიდან მათ სახლში არ ჰქონდათ საჭმელი, გავიდა ნ-ს ქუჩაზე და იყიდა 70 ლარის საჭმელი, არაყი და ლუდი. მან, ბიძამისმა და ბიძაშვილმა მიირთვეს საჭმელი, ასევე დალიეს რამდენიმე ჭიქა არაყი. დასაძინებლად დაწვნი დაახლოებით ღამის 4 საათზე. მას მარტო სურდა ნ-თან საუბარი, რისთვისაც დილით შესთავაზა, რომ გაჰყოლოდა „ვაგზალზე“. ასევე, სურდა შეხვედროდა ნ-ს შეყვარებულს და დალაპარაკებოდა. ის და ნ. 10 საათზე გამოვიდნენ სახლიდან, ჩავიდნენ „ვაგზალზე“, სადაც იყიდა შვილისთვის მობილური ტელეფონი. შემდეგ გააჩერა ტაქსი და წავიდნენ რუსთაველზე. „ხინკლის სახლში“ შეუკვეთა ხინკალი და ერთი ბოთლი არაყი. დალია ზუსტად ერთი ჭიქა. ნ-მა უთხრა, რომ ელაპარაკებოდა თავის შეყვარებულს და მიაწოდა მობილური, რომ დალაპარაკებოდა. თმა გამოართვა ტელეფონი, გაეცნო პიროვნებას და სთხოვა შეხვედრა, მოკიდა ხელი ნ-ს და გამოვიდნენ „ხინკლის სახლიდან“, შემდეგ ტაქსით ავიდნენ მთანმინდაზე. მას სურდა, რომ ნ-ს ის ბიჭი ამოეყვანა ...ზე, რათა დალაპარაკებოდა და თუ არ დაურეკავდა, დაემუქრა მას, რომ ყველაფერს ეტყოდა მის ოჯახს. ნ-მა ტირილი დაიწყო და უთხრა, თუ ამას გააკეთებდა, თავს მოიკლავდა. ბრალდებულმა უთხრა ნ-ს, რომ სურდა მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რა მიზანი ჰქონდა მის შეყვარებულს. ვინაიდან ნ.

იყო ძალიან აღელვებული და ტიროდა, დასვა „ემმაკის ბორბალზე“, რათა დაწყნარებულიყო. როდესაც გადმოვიდნენ „ემმაკის ბორბლიდან“, ნ-მა უთხრა, რომ მიეცა საშუალება დაწყნარებულიყო და თავად დაურეკავდა და დაითანხმებდა შეხვედრაზე შეყვარებულს. ნ. წინ წავიდა, რა დროსაც ამოიღო მობილური ტელეფონი და ლაპარაკობდა. თ. ფიქრობდა, რომ ნ. ელაპარაკებოდა შეყვარებულს შეხვედრასთან დაკავშირებით. იქვე დაჯდა და დაიწყო სიგარეტის მონევა. ამასობაში ნ. დაშორდა მას დაახლოებით 30–40 მეტრით, რესტორნის მიმართულებით. როდესაც ნ. მიუახლოვდა რესტორანთან არსებულ ჩასასვლელ ბილიკს, სირბილით გააგრძელა გზა. ბრალდებული ამ დროს იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. იგი ნ-ს უკან არ გადავებია, ვინაიდან მიხვდა, რომ მასთან ლაპარაკი უშედეგო იყო. ამ დროს თ-ს გაახსენდა ნ-ს სიტყვები, რომ თავს მოიკლავდა. თ. სწარფი ნაბიჯებით გაუყვა ბილიკს. მან ნ. ვერსად დაინახა, შემდეგ ავიდა კიბეებზე და ჩაიხედა დაბლა, რა დროსაც დაინახა, რომ ნ. იყო ძალიან დაბლა ჩასული. როდესაც მან დაინახა, რომ თ. უკან მიჰყვებოდა, გადავიდა კიბეებიდან ტყეში. თ-მაც გადაიხედა ტყის მიმართულებით, მაგრამ ნ. ვერსად დაინახა და კიბეებით ჩაიხედა დაბლა. როდესაც თითქმის მთელი კიბეები ჩაიარა, დაინახა, რომ ნ. იდგა „სეტკასთან“. იქამდე მისასვლელ გზაზე იყო ძალიან ცუდი გადასასვლელი, რის გამოც იქ გადასვლისას დაიზიანა ხელი და წამოუვიდა სისხლი. ამოიღო ცხვირსახოცი, მაგრამ ვერ შეიჩერა სისხლდენა. გაიხადა მაისური, შეიხვია ხელი და მიუახლოვდა ნ-ს და უთხრა, რომ წასულიყო სახლში და მოეხსენებინა ყველაფერი თავისი ოჯახისათვის. „სეტკის“ მეორე მხარეს ჩანდა სახლები. თ. მივიდა კარებთან და დააბრაუნა, მაგრამ არავინ არ გამოხედა. გადაწყვიტა ზემოდან გადასულიყო. კარებზე რომ ავიდა, გამოიხედა ქალბატონმა, რომელსაც უთხრა რომ იქნებ კარები გაეღო, რათა ეზოდან გზაში მოხვედრილიყვნენ, სადაც ტრანსპორტთან მივიდოდნენ. ამ დროს ნ-მა დაიძახა, მიშველეთო, ქალბატონი უცებ შეტრიალდა და სახლში შევიდა. თ-მა ჩათვალა, რომ ნ-ს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ვინაიდან ქალბატონი გამოვიდოდა და დაეხმარებოდა. ხოლო თავად, ვინაიდან ხელი ძალიან სტკიოდა და ფიქრობდა, რაიმე შარს არ გადაყროდა, გადაწყვიტა გასცლოდა იმ ადგილს და ჭრილობისთვის მიეხედა. ისევ უკან ავიდა, სწრაფი ნაბიჯებით ჩაიარა კიბეები და გააჩერა ტაქსი. შემდეგ აფთიაქში იყიდა ბინტი და შეიხვია ხელი, რის შემდეგაც გავიდა ვაგზალზე, საიდანაც წავიდა ...ში, თავის საცხოვრებელ სახლში, სადაც დაჰყო 10 დღე. შემდეგ ჩამოვიდა თბილისში, იქირავა ბინა 15 დღით, ხოლო შემდეგ

გადანყვიტა თურქეთში სამუშაოდ წასვლა. სარფის საზღვარზე რომ გადადიოდა, მესაზღვრემ უთხრა, რომ იყო შეფერხება, რის შემდეგაც მივიდნენ თანამშრომლები, დაადეს ხელბორკილი და შეიყვანეს ოთახში. დილით ჩასვეს მანქანაში და წამოიყვანეს თბილისში, სადაც გამომძიებელმა გააცნო ბრალდება, რომ ბრალი ედებოდა ბიძაშვილის გაუპატიურების მცდელობაში.

16. პალატის შეფასებით, თ. ჯ-ს ზემოაღნიშნული ჩვენება არადაამაჯერებელია, არ გამომდინარეობს გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან და შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს მტკიცებულების უტყუარობის კრიტერიუმს. პალატას მიაჩნია, რომ მისი ვერსია მოგონილია პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, შემდეგ გარემოებათა გამო: თ. ჯ-მა აღნიშნა, რომ ის აპირებდა ნ. ჯ-ს შეყვარებულთან შეხვედრას (და სწორედ ამიტომ წაიყვანა ნ. ... პარკში), თუმცა ეს ფაქტი არ დაადასტურა თავად მოწმე დ. ე-მ (ნ. ჯ-ს შეყვარებულმა), რომელმაც სასამართლოს განუმარტა, რომ იგი ნამდვილად ესაუბრა ტელეფონით თ. ჯ-ს, მაგრამ შეხვედრაზე უარი უთხრა, ვინაიდან არ ეცალა.

17. სასამართლოს ასევე არადაამაჯერებლად მიაჩნია თ. ჯ-ს განმარტება იმის თაობაზე, რომ თითქოს მას შეეშინდა, ნ-ს თავი არ მოეკლა და ამიტომ გაჰყვა უკან, ტყისკენ. თუმცა, გაუგებარი რჩება, რატომ ერთხელაც აღარ მოიკითხა თ. ჯ-მა აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ნ. მაშინ, როდესაც იგი ასეთი აღელვებული უცხო ადამიანთან (ქ. ბ-თან) დატოვა.

18. საკასაციო პალატისთვის არალოგიკური და არადაამაჯერებელია ასევე თ. ჯ-ს მითითება იმის შესახებ, თითქოს ნ. იმ მოტივით აბრალებდა ძალადობას, რომ არ გაეთქვა მისი (ნ. ჯ-ს) პირადი ცხოვრების დეტალები მაშინ, როდესაც თ. ჯ-ი თავად აცხადებს, რომ მთელმა სოფელმა იცის ნ-ს „უნესო“ საქციელის შესახებ. სასამართლოსთვის ასევე გაუგებარია, თ. ჯ-ს დაპატიმრება როგორ შეუწყობდა ხელს ნ-ს პირადი ცხოვრების დეტალების დაფარვას.

19. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება თ. ჯ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

20. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს თ. ჯ-ს პიროვნებას, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გა-

მოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას და ისე განუსაზღვრავს მას სამართლიან სასჯელს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. პროკურორ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თ. ჯ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
3. მსჯავრდებულ თ. ჯ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 11 აპრილიდან 2014 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის განაჩენი ნივთმტკიცებათა ბედის გადაწყვეტის ნაწილში დარჩეს უცვლელად.
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანახაული საკუთრების წინააღმდეგ  
ქმედების გადაკვალიფიცირება ქურდობიდან  
ქურდობის მცდელობაზე**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო  
საპროკურორის სახელით**

№366აპ-15

4 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. პ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის განაჩენით რ. პ-ა, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლითა და 252-ე მუხლის მე-4 ნაწილით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) მსჯავრდებულმა რ. პ-მ 2014 წლის 23 აგვისტოს ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ზუგდიდში, ... ქ. №...ში მდებარე დ. ჩ-ს საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე და ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ სამ ტომარა თხილს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 559,7 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

3. აღნიშნული ქმედებისათვის რ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ზუგდიდის

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 23 აგვისტოდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა რ. პ-მ და მისმა ადვოკატმა ს. ჯ-მ. აპელანტებმა ითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის განაჩენის გაუქმება და რ. პ-ს გამართლება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორები – მსჯავრდებული რ. პ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ხ. თ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განაჩენის გაუქმებას და რ. პ-ს გამართლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

7. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მტკიცებულებათა გაყალბებით და ამ გაყალბებულ მტკიცებულებათა საფუძველზე წარედგინა ბრალი რ. პ-ს; ქურდობა მას არ ჩაუდენია; პოლიციელებმა იგი დააკავეს უკანონოდ, მიაყენეს ფიზიკური დაზიანება, სცემეს უმონყალოდ, რასაც შეეწინააღმდეგა მებობლები; ჩხრეკის დროს ნაქურდალი არ ამოუღიათ; პოლიციელების – შ. კ-ს, გ. ქ-ს, ვინმე „მ-ს“ და სხვათა მხრიდან ცემისა და წამების შედეგად რ. პ-ა მოწყდა წელქვევით, დაინვალიდდა და სამუდამოდ მიეჯაჭვა სამედიცინო ეტლს; მან არაერთხელ მიმართა საჩივრით საქართველოს მთავარ პროკურატურას, მაგრამ დღემდე ამ ფაქტებზე გამოძიება არ ჩატარებულა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო იმ პოლიციელების ჩვენებებს, რომლებიც ვერ იქნებიან მიუკერძოებელი და დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, ამიტომ მათი ჩვენებები სასამართლოს მტკიცებულებად არ უნდა გამოეყენებინა; სასამართლომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად ამოიღო მოწმეთა სიიდან დაცვის მხარის მოწმე ე. ხ-ა, რომელიც დაადასტურებდა რ. პ-ს უდანაშაულობას; სააპელაციო ინსტანციის სასამართლო პირველ ინსტანციაში გამოკვლეულ მტკიცებულებებს არ იკვლევს და მათ გამოკვლევად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, მხარე ითხოვს თუ არა მათ გამოკვლევას, ამიტომ სააპელაციო ინსტანციის სასამარ-

თლო უფუნქციო რგოლია სასამართლო სისტემაში; იმის გამო, რომ რალაც ნორმა კანონში არ წერია, უდანაშაულო პირის მსჯავრდება დაუშვებელია.

9. გარდა აღნიშნულისა, აშკარა შეუსაბამობაა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმსა და მონმე – პოლიციელ გ. ქ-ს ჩვენებას შორის; ამ მონაცემების გაზიარების შემთხვევაში გამოდის, რომ პოლიცია ქურდობის ფაქტამდე იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და იქვე დააკავა ქურდი, რაც აშკარა სიყალბეა; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და ეჭვგარეშე სტანდარტით არ დაადგინა დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა; სასამართლომ ასევე არ დაკითხა დ. ნ-ა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც პოლიციის მისვლამდე იმყოფებოდნენ დაზარალებულის სახლთან და რომელთა დაკითხვაც ასევე დაადასტურებდა რ. პ-ს უდანაშაულობას; სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა დაზარალებულ დ. ჩ-ს ურთიერთსანიშნალობეგო და არადამაჯერებელი ჩვენებები, რადგან, როგორც ჩანს, მას დაემუქრნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, ამიტომ სასამართლო პროცესზე განსახვავებული პოზიცია დააფიქსირა.

10. საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ენიშნალობდეგება მონმეების – ზ. პ-სა და რ. ლ-ს ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და დ. ჩ-ს ახსნა-განმარტება; აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულის სახლის პირველ სართულზე განთავსებული ფანჯრები (ე.წ. „ფორტოჩკები“) იმდენად ვიწროა, რომ მასში ვერც ადამიანი შეძლებს გადაძრომას და ვერც თხილით სავსე ტომარა გაეტევა; სასამართლომ უარყო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, მონმეების – ნ. ო-ს, ს. ა-ს, პ. ბ-ს, ნ. ლ-ს, ნ. კ-ს ჩვენებები, რომლებითაც დადასტურდა პოლიციელთა მხრიდან რ. პ-ს ცემისა და წამების ფაქტი, თუმცა განაჩენში არ დაუსაბუთებია, რაში გამოიხატა ეს წინააღმდეგობა; სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მონმეების დამატებითი დაკითხვის შესახებ, რითაც შეუზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

11. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, საკამათო სიტყვების სტადიაზე, ტ. ყ-მ (რომელიც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულია და მოთავსებულია ქუთაისის №2 დანესტრულეაში) განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას იმის შესახებ, რომ დანაშაული მისი ჩადენილია, რ. პ-ს უკანონოდ დასდეს მსჯავრი და მოითხოვა საქმის გამოძიება და რ. პ-ს გათავისუფლება უკანონო პატიმრობი-

დან; სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ახალ გარემოებათა გამო მოწმის დაკითხვის შესახებ, ხოლო მთავარმა პროკურატურამ ტ. ყ-ს განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის დაანერა ზუგდიდის რაიონულ პროკურატურას, რომელიც ბრალმძებელია სასამართლო პროცესებზე და ლოგიკურია, რომ დარღვევებისათვის საკუთარ თავს არ დასჯის. ეს საქმე უნდა გამოიძიოს მიუკერძოებელმა და მოუკიდებელმა პროკურატურამ.

12. სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის არც ერთი კანონიერი მოთხოვნა და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, „დააკოპირა“ პირველი ინსტანციის განაჩენი და საქმის განხილვისას დაარღვია შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები; სასამართლოს რ. პ-სათვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – 5000 ლარი ჯარიმა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე უნდა მოეხსნა და არ უნდა დაემატებინა ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელისათვის.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ რ. პ-ა და ადვოკატი ხ. თ-ე ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განაჩენის გაუქმებას, რ. პ-ს გამართლებასა და უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ რ. პ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას მსჯავრდებულ რ. პ-ს უდანაშაულობის შესახებ და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება მსჯავრდებულ რ. პ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი, კერძოდ:

3. დაზარალებულ დ. ჩ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2014 წლის 22 აგვისტოს იმყოფებოდა სახლში, მუშაობდა კომპიუტერთან და გვიან დანვა დასაძინებლად. დაახლოებით 04:00 სა-



ათზე გააღვიძა ხმაურმა, მიხვდა, რომ პირველ სართულზე ვი-  
ლაც მოძრაობდა, შეეშინდა და დარეკა 112-ში, შემდეგ ფანჯრი-  
დან გადაიხედა და დაინახა მამაკაცი, რომელსაც ხელში ტომა-  
რა ეჭირა, საფრთხე იგრძნო და დაბლა მხოლოდ ძალოვანი  
სტრუქტურის წარმომადგენლების მოსვლის შემდეგ ჩავიდა.  
ესენი იყვნენ გ. ქ-ა და შ. კ-ა. მათ დ. ჩ-ს განუცხადეს, რომ დაა-  
კავეს პიროვნება რ. პ-ა. დაკავება მოხდა თხილიანად მისი საც-  
ხოვრებელი სახლის ეზოში. საცხოვრებელი სახლი არის ორსართ-  
ულიანი, ორივე სართულს იყენებს საცხოვრებლად, ფანჯრე-  
ბი აქვს ჩვეულებრივი, ადამიანს თავისუფლად შეუძლია გადას-  
ვლა. სახლიდან გატანილია 3 ტომარა თხილი, ორი ტომარა სახ-  
ლის მარჯვენა მხარეს ეწყო, მესამე კი – დაკავებულთან ნახა.

4. მოწმეების გ. ქ-სა და შ. კ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ  
2014 წლის 23 აგვისტოს ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვა-  
ლეობას ... ქუჩაზე. ამ დროს დაუკავშირდათ მორიგე, რომელ-  
მაც აცნობა, რომ ... ქ. №...ში დ. ჩ-ა ითხოვდა დახმარებას. დაახ-  
ლოებით 5 წუთში მივიდნენ ადგილზე, ეზოში ნახეს მამაკაცი,  
რომელსაც ტომარა ჰქონდა გადაკიდებული. პიროვნებამ მათი  
დანახვისას გაქცევას ცადა, მაგრამ დააკავეს და ჩაუტარეს პი-  
რანდი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს 1 ტომარა თხილი.

5. მოწმეების – პ. ჯ-სა და ე. გ-ს ჩვენებებით დადგენილია,  
რომ 2014 წლის 23 აგვისტოს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ  
სამსახურში შესული შეტყობინების საფუძველზე გავიდნენ შემ-  
თხვევის ადგილზე ... ქუჩაზე, დაათვალიერეს ეზო, ორსართუ-  
ლიანი სახლის მარცხენა მხარეს, კედელთან, ნახეს ორი პოლი-  
ეთილენის ტომარა თხილით, რომელსაც გადაუღეს ფოტო, შე-  
ფუთეს და დალუქეს.

6. მოწმე გ. ხ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული სასაქონლო  
ექსპერტიზის №... დასკვნის სისწორე, რომლის თანახმადაც, ექ-  
სპერტიზაზე წარდგენილი თხილის ღირებულება შესაძლოა, გა-  
ნისაზღვროს 559,7 ლარით.

7. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად,  
საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია რ. პ-ს მიერ  
ქურდობის ჩადენის ფაქტი, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც  
მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამასთან, საკასაციო პალატა  
არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას რ. პ-ს მი-  
ერ ქურდობის არაერთგზის ჩადენის თაობაზე შემდეგ გარემო-  
ებათა გამო:

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხ-  
ლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაერთგზისი დანაშაული ნიშ-  
ნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხ-

ლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ სსკ-ის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არერთგზისად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. მსჯავრდებული რ. პ-ა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 11 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით და, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული წესით არ არის დადგენილი საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია) შესაბამისობა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლთან, მსჯავრდებულ რ. პ-სთვის აღნიშნული მკვალიფიცირებული გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

9. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე გასაჩივრებულ განაჩენს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულ რ. პ-ს მიერ ჩადენილია დამთავრებული დანაშაული, კერძოდ: პალატა მიუთითებს, რომ ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლება სხვის ქონებას და რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიუხედავად იმისა, მოახერხა/მოახდინა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება. გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა რ. პ-მ დ. ჩ-ს საცხოვრებელი სახლიდან გამოიტანა 3 ტომარა თხილი, 2 სახლის კედელთან მიაყუდა, ხოლო ერთი მხარზე ჰქონდა გადაკიდებული; სწორედ ასეთ ვითარებაში – სხვისი ქონების ფარულად დაუფლების პროცესში – დ. ჩ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში დააკავეს იგი სამართალდამცველებმა, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ რ. პ-ს მიერ ჩადენილია დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან მან ვერ მოახერხა დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე მიყვანა.

10. მსჯავრდებულ რ. პ-ს ადვოკატის – ხ. თ-ს მოსაზრებას, რომ მსჯავრდებული რ. პ-ა შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლებმა მიათრიეს, უმოწყალოდ სცემეს და აწამეს – საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან 2014 წლის 23 აგ-

ვისტოს დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ ჩატარდა რ. პ-ს გარეგნული დათვალიერება: მას მარჯვენა ხელზე, მტევნის არეში აღენიშნებოდა ჭრილობა, მარცხენა მხარეს საფეთქლის არე ჰქონდა ჩალურჯებული და შენითლებული, მუცლის არეში – ნაკანრები, ხოლო მარცხენა ხელის ცერა თითზე – ჭრილობა, აღნიშნულზე რ. პ-მ განმარტა, რომ დაზიანებები მიიღო დაკავებამდე; კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკიდან“ 2014 წლის 25 აგვისტოს გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციით (ფორმა IV-100/ა რეგისტრაციის №...) ირკვევა, რომ რ. პ-ს ჩაუტარდა თავის ტვინის კვლევა, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება და ქალას შიდა ჰიპერტენზია არ გამოვლინდა, ქალას სარქველის დაზიანება არ აღენიშნება, მწვავე ნეიროქირურგიული პათოლოგია არ აღენიშნება, სტაციონარული მკურნალობის აუცილებლობა არ არის; კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკიდან“ 2014 წლის 25 აგვისტოს გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციით (ფორმა IV-100/ა რეგისტრაციის №...) ირკვევა, რომ რ. პ-ს დაესვა დიაგნოზი – ანაყვლეფი ჭრილობა მარჯვენა მტევნის არეში, თავის ტვინის დახურული ტრავმა, პაციენტმა სტაციონარულ მკურნალობასა და რენტგენოლოგიურ გამოკვლევაზე განაცხადა უარი. პალატა ასევე ყურადღებას მიაპყრობს მონმეების – მ. კ-ს, ვ. ჩ-ს, მ. გ-სა და ჯ. ზ-ს ჩვენებებს, რომელთა განმარტებითაც, დაკავებულ რ. პ-ს ცემის ან ცუდად მოპყრობის თაობაზე არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს.

11. რაც შეეხება კასატორის მითითებას საქმეში არსებულ საპროცესო დარღვევებზე, პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად რაიმე არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევა არ გამოვლენილა. სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მონმეების – ნ. ო-ს, ს. ა-ს, პ. ბ-ს, ნ. ლ-სა და ნ. კ-ს ჩვენებების არასარწმუნოების შესახებ, მათ შორის არსებული არსებითი ხასიათის წინააღმდეგობების გამო.

12. უსაფუძვლოა ასევე კასატორის პოზიცია, რომ სააპელაციო სასამართლოს რ. პ-სათვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – 5000 ლარი ჯარიმა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე უნდა მოეხსნა და არ უნდა დაემატებინა ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელისათვის, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-18 და მე-20 მუხლების თანახმად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასჯელის

სახით შეფარდებულ/აღსრულებულ ჯარიმაზე.

13. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუხედავად ბრალდების მოცულობის შემცირებისა, პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, შეუმსუბუქოს რ. პ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული 5 წელი, ვინაიდან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ რ. პ-ა ნასამართლევია განზრახი დანაშაულების ჩადენისთვის (სსკ-ის 118-ე, 236-ე და 353-ე მუხ.), რის გამოც საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მას სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს შესაბამისი მუხლის სანქციის მინიმალურ ზღვარზე სულ მცირე 1 წლით მეტი; აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სანქციის ქვედა ზღვარი 4 წლით თავისუფლების აღკვეთაა, რ. პ-სთვის განსაზღვრული სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის შემცირება კანონშეუსაბამო იქნება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. პ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. რ. პ-ა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.
4. რ. პ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე.
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში – მათ შორის რ. პ-სთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში – დარჩეს უცვლელად.
6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და  
ენსრიბის წინააღმდეგ**

**ქურდული სამყაროს წევრობა**

**განაჩენი  
საქართველოს სასჯელით**

№550აპ-15

17 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-ს, მსჯავრდებულ ლ. ჩ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ს, მსჯავრდებულ ა. უ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ს, მსჯავრდებულ გ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ჯ-ს, მსჯავრდებულ ვ. ბ-ს, მსჯავრდებულ თ. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ბ-ა და ლ. ხ-ს, მსჯავრდებულ გ. ქ-ს, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ს-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: თ. კ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად; გ. ქ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას მისი მიზნების განსახორციელებლად. გ. ქ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ – 0,034 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა მარცხენა ფეხზე ჩაცმულ წინდაში, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. ვ. ბ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც

აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას მისი მიზნების განსახორციელებლად. ვ. ბ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჭერიონი“ – 0,0569 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის წინა მარჯვენა ჯიბეში, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. ლ. ჩ-ი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ლ. ჩ-ა დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჭერიონი“ – 0,035 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის წინა მარჯვენა ჯიბეში და ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარიხუანა“ – 13,085 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში მდგარი სანოლის ლეიბის ქვეშ, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. გ. კ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. გ. კ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჭერიონი“ – 0,056 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის წინა მარჯვენა ჯიბეში, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. გ. ქ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. გ. ქ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული, 1974 წლის ნიმუშის, „AK-74“ მოდელის, 5,45მმ. კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი, ნომერი FF8865 და 1974 წლის ნიმუშის, 5,45მმ. კალიბრიანი 20 ცალი ვაზნა, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებულ საძინებელ ოთახში, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. გ. გ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. გ. გ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარიხუანა“ – 171,19 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში მდგარი სანოლის ბალიშის

ქვეშ და ლოგინის ქვეშ იატაკზე, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. მანვე დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა, „PFA-5“ ტიპის ხელის მსხვრევადი ყუმბარა „Y3PFM“ ტიპის ფალით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში მდგარი საწოლის ქვეშ, იატაკზე, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. გ. რ-ი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. გ. რ-ა დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარისუანა“ – 15,105 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის წინა მარცხენა ჯიბეში 2014 წლის 10 სექტემბრამდე. მანვე დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი – „B“ მოდელის, 16 მმ. კალიბრიანი ორლულიანი გლუვლულიანი სანადირო თოფისაგან თვითნაკეთი წესით დამზადებული, ნომერნაშლილი, გადაჭრილი სანადირო თოფი, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში მდგარი საწოლის ლეიბის ქვეშ, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. დ. ქ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად, იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. დ. ქ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარისუანა“ – 86,41 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბეში 2014 წლის 10 სექტემბრამდე. ა. უ-ა არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს, მოქმედებს მათ მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად და იჩენს აქტიურობას ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ა. უ-მ, დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარისუანა“ – 15,18 გრამის ოდენობით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის მარჯვენა ჯიბეში, 2014 წლის 10 სექტემბრამდე. მანვე, დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, 9 მმ. ნომინალური კალიბრიანი პისტოლეტი №44790, მოდელი „BORA“ MOD. SK 200 და ერთი ცალი 9,22 მმ. კალიბრიანი ვაზნა, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვალსა და მასზე შემორტყმულ ქამარს შორის 2014 წლის 10 სექტემბრამდე. მანვე 2014 წლის 10 მარტს მის სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის №..... ეროვნული პასპორტით გადაკვეთა ს-ო-თ-ს სახელმწიფო საზღვარი „ს-ს“ საკონტროლო-

გამტარი პუნქტის გავლით, საიდანაც იმავე წლის 21 მარტს ძმის – რ. უ-ს ს-ს მოქალაქის № პირადობის მოწმობის გამოყენებით უკანონოდ გადმოკვეთა თ-ს სახელმწიფო საზღვარი „ს-ს“ სა-კონტროლო-გამტარი პუნქტის გავლით.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის განაჩენით:

3. დ. ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

4. ა. უ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში. იგი დაუყოვნებლივ გა-თავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. გ. კ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალ-დებებში.

6. გ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემ-ბრიდან.

7. გ. ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალ-დებებში.

8. გ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემ-ბრიდან.

9. გ. რ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხ-ლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

10. გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლე-ბის აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექ-ტემბრიდან.

11. გ. გ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სა-ქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

12. გ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-



ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

13. ვ. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

14. ლ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

15. თ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 11 სექტემბრიდან.

16. გ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ქ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

17. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

18. გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის განაჩენი დ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ა. უ-ს – სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო გ. რ-ს – სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში მათი უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების ნაწილში და ამ ნაწილში მათ მიმართ დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენი, იმავე განაჩენში შევიდა სხვა ცვლილებები და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

19. დ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

20. დ. ქ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

21. დ. ქ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

22. დ. ქ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 10 სექტემბრიდან 2015 წლის 27 მაისის ჩათვლით. იგი დაპატიმრებისთანავე მოთავსებულ უნდა იქნეს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში და სასჯელის ვადის ათვლა დაეწიოს დაპატიმრების მომენტიდან.

23. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუნქციონების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

24. ა. უ-ს საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში

ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

25. ა. უ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

26. ა. უ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. უ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 10 სექტემბრიდან 2015 წლის 27 მაისის ჩათვლით. იგი დაპატიმრებისთანავე მოთავსებულ უნდა იქნეს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დანესებულებაში და სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს დაპატიმრების მომენტიდან.

27. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

28. გ. რ-ი საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

29. გ. რ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

30. გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-

ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. რ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

31. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

32. გ. კ-ა საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

33. გ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

34. გ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

35. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და

ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) და-  
წესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმი-  
ანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შე-  
ძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

36. გ. ქ-ა საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწი-  
ლით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და  
გამართლდა.

37. გ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის  
236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმე-  
დი რედაქცია) და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას  
სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

38. გ. გ-ა საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწი-  
ლით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და  
გამართლდა.

39. გ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2  
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი  
რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე  
მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 8 ივლისის  
რედაქცია).

40. გ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-  
ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015  
წლის 8 ივლისის რედაქცია) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა,  
236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმე-  
დი რედაქცია) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართვე-  
ლოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაც-  
რმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, და-  
ნაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა  
7 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწ-  
ყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

41. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარ-  
კოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა სა-  
ექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე  
აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენ-  
ლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების  
მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგან-  
მანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და  
ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) და-  
წესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმი-  
ანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შე-  
ძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

42. თ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 11 სექტემბრიდან.

43. გ. ქ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

44. გ. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ქ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან;

45. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შეახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საეჭიშო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიიქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარალის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

46. ვ. ბ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

47. ვ. ბ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და

საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

48. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საქემო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

49. ლ. რ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია).

50. ლ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. რ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

51. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვა საქემო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

52. ნივთიერი მტკიცებულებები: მსჯავრდებულების კუთვნილი მობილური ტელეფონები, სიმბარათები, კომპიუტერის პროცესორი, პორტატული კომპიუტერები (ე.წ. „ნოუტბუქები“), ID ბარათი, ID ბარათის ასლი, სასიგნალო პისტოლეტი – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მათი მესაკუთრეების ნდობით აღჭურვილ პირებს; ლაზერული, CD და DVD დისკები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, მისი საქმის შენახვის ვადით; ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები და ვაზნები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, მათი შემდგომი განკარგვის მიზნით; ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

53. მსჯავრდებული გ. გ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და გ. გ-ს გამართლებას.

54. მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. რ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და დ. ქ-ს გამართლებას.

55. მსჯავრდებული ლ. რ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ლ. რ-ს გამართლებას.

56. მსჯავრდებულ ა. უ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და ა. უ-ს გამართლებას.

57. მსჯავრდებულ გ. ქ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ს. ჯ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და გ. ქ-ს გამართლებას.

58. მსჯავრდებული ვ. ბ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.



59. მსჯავრდებულ თ. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – კ. ბ-ა და ლ. ხ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და თ. კ-ს გამართლებას.

60. მსჯავრდებული გ. ქ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

61. მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ს-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და დ. ქ-ს გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მსჯავრდებულების – თ. კ-ს, გ. ქ-ს, ვ. ბ-ა და ლ. ჩ-ს ქურდული სამყაროს წევრობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება მათ მიერ საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ:

3. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს უფროსის, ზ. ლ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი ბრალდებულებს იცნობდა სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე. მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით აღნიშნული პირები ენეოდნენ ქურდული სამყაროს მხარდაჭერას, წევრობას. მიდიოდა მოქალაქეების დატერორება და დაშანტაჟება თანხის გამოძალვის მიზნით, ს-ს რეგიონში ხდებოდა „მაყურებლების“ დანიშვნა, რომლებსაც ნიშნავდნენ კანონიერი ქურდები. იგი ოპერატიულ ინფორმაციას იღებდა არაერთი სარწმუნო წყაროდან, უშუალოდ ბრალდებულების გარემოცვიდან, პირადი კონტაქტების, კონფიდენტების საშუალებით. მიღებულ ინფორმაციებს პატაკის სახით წარუდგენდა სამმართველოს ხელმძღვანე-

ლობას. შემოსული ინფორმაციები ეხებოდა ყველა ბრალდებულს. ქურდულ სამყაროსთან მათი კავშირები დადასტურებული იყო სატელეფონო საუბრებითა და ფარული მიყურადებით. კრებსებში აშკარად იყო საუბარი ადამიანების დაშინებაზე, ფულის გამოძალვასა და სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებზე. ამ საუბრებში ქურდულ სამყაროსთან კავშირი გამოიხატებოდა საერთო ფულის შეგროვებაში, თანხის გამოძალვაში. საუბრებში სახელდებოდნენ კანონიერი ქურდები. პირველი ინფორმაცია მიიღო დაახლოებით 3-4 თვით ადრე, ვიდრე ბრალდებულებს დააკავებდნენ. ამ პერიოდში ხდებოდა ინფორმაციის გადამონმება, შესწავლა და დადგენა. გადამონმების შედეგად დამტკიცდა ის, რაც წერია პატაკში – ფულის გამოძალვის ფაქტი. თითქმის ყველა ბრალდებულზე დადასტურდა ინფორმაცია. პირადად მან კი დაადასტურა ინფორმაცია ვ. ბ-ა და თ. კ-ე. სახელდებოდა გამოძალული თანხა – 2000, 500, 600 ლარის ოდენობით, რასაც ადასტურებდნენ პიროვნებები, ვინც აწვდიდა ინფორმაციას პირადი საუბრის დროს. ბოლო პატაკში საუბარია უშუალოდ იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენასაც ბრალდებულეები აპირებდნენ მეორე დღეს და საჭიროებდა გადაუდებელ ღონისძიებებს, რის გამოც მიმართა ს-ს სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობას და დაიწყო გამოძიება. ვასტარებელი ღონისძიებები დაგეგმა უშუალოდ სამმართველოს უფროსმა.

4. მოწმე ზ. ლ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ შემოსული იყო ინფორმაცია, რომ თ. კ-ა დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა გ. ქ-ნ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ზენოლას ახდენდნენ მოქალაქეებზე, სძალავდნენ მათ ფულს და ს-ი მართავდნენ ქურდულ გარჩევებს საზღვარგარეთ მყოფი ქურდების დავალებით. მისივე განმარტებით, ყველა წყაროდან მომდინარე ინფორმაცია ერთიანდებოდა მის პატაკებში. ხელმძღვანელობისთვის მიწოდებული აქვს 5 პატაკი, რადგან ინფორმაციები შემოდოდა ეტაპობრივად. პატაკის მიწოდების შემდეგ ხელმძღვანელობიდან იღებდა დავალებას, რომ დაედგინა, შეესწავლა და შეემონმებინა ინფორმაციები. უშუალოდ მან შეამონმა ორი ინფორმაცია ვ. ბ-ა და თ. კ-ე, დანარჩენებს სხვები იკვლევდნენ. კრებსებით დადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გამოძალვას და საერთო ფულის შეგროვებას. კონფიდენტმა დაასახელა ის პირები, რომლებიც დაზარალებდნენ სავარაუდო დამნაშავეებისგან. აღნიშნული პირები სხვადასხვა რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველა მათგანმა კატეგორიული უარი განაცხადა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე.

5. მოწმე პ. ლ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ

ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მას ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქ. ს-ი მცხოვრები თ. კ-ა და გ. ქ-ა მონაწილეობდნენ ქურდულ გარჩევებში. აღნიშნული ფაქტები გადამოწმდა ოპერატიულად, სხვადასხვა წყაროს მეშვეობით, რის შედეგადაც დადასტურდა პირადი კონტაქტისგან მიღებული ინფორმაცია. მისივე განმარტებით, თ. კ-ს და გ. ქ-ს კავშირები ჰქონდათ კანონიერ ქურდ „ჭ-ნ“, რომლისგანაც იღებდნენ დავალებებს. მოწმე პ. ლ-ს ჩვენებით, 2014 წლის 11 სექტემბერს მიიღო დავალება, რომ შსს ს-ს სამხარეო მთავარ სამმართველოში ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დაეკავებინათ თ. კ-ა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამმართველოში მოეწყო ოპერატიული თათბირი და სამმართველოს უფროსის დავალებით შეიქმნა 3-კაციანი ჯგუფი – მისი, ი. გ-ს და გ. ნ-ს შემადგენლობით, რომლებიც გავიდნენ დავალების შესასრულებლად. ქ. ს-ი, ვ-ს ქუჩაზე, შენიშნეს ფეხით მიმავალი თ. კ-ა და დააკავეს იგი. გამომძიებელმა თ. კ-ს განუმარტა უფლებები, რის შემდეგაც მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ამოღებულა. საგამომძიებო მოქმედების ოქმი შეადგინა ი. გ-მ, რომელზეც თ. კ-მ ხელი არ მოაწერა.

6. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, ი. ხ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2011 წლის 8 დეკემბრიდან 2014 წლამდე მუშაობდა შსს ს-ს შს რაიონულ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. მისი სამუშაო უბანი იყო ქალაქის ცენტრი, სადაც ცხოვრობს რამდენჯერმე ნასამართლევი თ. კ-ა, რომელიც მის ხელთ არსებული ინფორმაციით, იყო ქურდული ტრადიციების მატარებელი. იგი მონაწილეობდა ქურდულ გარჩევებში და კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ და საქართველოში მცხოვრებ კანონიერ ქურდებთან. აღნიშნული ინფორმაცია მან მიიღო პირადი წყაროებიდან და შეატყობინა ხელმძღვანელობას, შეადგინა საიდუმლო პატაკი და მოახსენა ზეპირად, შემდეგ კი მისცა ჩვენება.

7. მოწმე დ. მ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელად. მის სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობდა წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი გ. ქ-ა, რომელიც არის ქურდული მენტა-

ლიტეტის მქონე პირი და მას კავშირი ჰქონდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან, რის თაობაზეც ინფორმაციას აწვდიდა საიდუმლო პირი.

8. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლის – მ. ჯ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ არსებობდა ოპერატიული ინფორმაციები გ. ქ-ს ქურდული სამყაროს წევრობის თაობაზე.

9. მოწმე დ. ო-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა შსს ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონულ სამმართველოში და იცნობდა გ. ქ-ს, იცოდა მისი ცხოვრების წესი და წარსული. შესაბამისად, მასაც ჰქონდა ინფორმაცია გ. ქ-ს ქურდული სამყაროს წევრობის თაობაზე.

10. მოწმე ი. ც-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2005 წლიდან მუშაობს ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს ჯ-ს პოლიციის განყოფილებაში და იცნობს ვ. ბ-ს, რომელიც არის ქურდული სამყაროს მიმდევარი. იგი მონაწილეობდა არაერთ ქურდულ შეკრებასა და გარჩევაში. ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, ვ. ბ-ა კანონიერი ქურდის, რ. უ-ს მითითებითა და დავალებით ახორციელებდა ქურდული სამყაროს მიმდევრობას და აწყობდა შეკრებებს, სადაც ხდებოდა ქურდული გარჩევები. მოწმის განმარტებით, ეს არ იყო ერთ პირზე დაფუძნებული ინფორმაცია, არამედ აღნიშნული ინფორმაცია მიღებული ჰქონდა მრავალი წყაროდან. ერთ-ერთი ასეთი შეკრების დროს გადაამოწმა და თვითონაც ნახა, რომ შეკრებილ პირთა შორის იყო ვ. ბ-ა. ამდენად, ოპერატიული ინფორმაცია აღმოჩნდა სწორი.

11. მოწმე მ. ქ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობდა ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს ჯ-ს პოლიციის განყოფილების უფროსად, ერთი პერიოდი იყო ოპერატიული სამსახურის უფროსი. იმ პერიოდში იყვნენ პირები, რომლებიც ოპერატიულად საინტერესო იყვნენ და მათ მიმართ ხორციელდებოდა ოპერატიული საქმიანობა. დაბა ჯ-ი ვ. ბ-ა იყო „კანონიერი ქურდის“ – რ. უ-ს მიერ დანიშნული „მაყურებელი“ და ცხოვრობდა ქურდული სამყაროს წესით. ამის თაობაზე არსებობდა ოპერატიული ინფორმაციები, რომლებიც მიეწოდებოდა ხელმძღვანელობას. მოწმე მ. ქ-ს ჩვენებით, დაახლოებით 1 წლის წინ, სოფელ ჭ-ი, რ. უ-ს სასაფლაოზე იყო გარჩევა, რომელსაც ესწრებოდა მისი კონფიდენტი. გარჩევა შეეხებოდა იმას, თუ ვისთან უნდა მისულიყვნენ და ვისთვის უნდა წაერთმიათ ე.წ. „საერთოს“ ფული. გარ-

ჩვენას ესწრებოდა დაახლოებით ათამდე პირი, ვ. ბ-ა აძლევდა დავალებებს სხვებს. ეს ყველაფერი ხდებოდა მის დაკავებამდე 5 თვით ადრე. მაყურებელი უნდა მისულიყო ერთ-ერთ სანარმოში და უნდა მოეთხოვა ფული. უნდა მისულიყვნენ ენგურ-ჰესში ღირექტორთან და საამქროებში, რომლებიც ჯ-ი ფუნქციონირებს.

12. მონმე ლ. გ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს ჯ-ს პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. მას გააჩნდა ინფორმაცია, რომ დაბა ჯ-ი მცხოვრებ ე.წ. „მაყურებელს“ – ვ. ბ-ს ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტთან, კანონიერ ქურდ რ. უ-ს და მისგან იღებდა დავალებებს. ქურდული გავლენის გაძლიერებისა და ქურდული ხაზინის შეგროვების მიზნით ის ანყობდა ქურდულ გარჩევებს. ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვ. ბ-ა ეწეოდა ქურდული სამყაროს წევრობას, 2 თვის განმავლობაში აწვდიდა კონფიდენტი, თვითონ კი ამ ინფორმაციას საიდუმლო პაატაკით აწვდიდა თავის ხელმძღვანელობას. 2014 წლის 10 სექტემბერს სამხარეო მთავარ სამმართველოში ჩატარდა თათბირი, რა დროსაც ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობდა გამოძიება ქურდული სამყაროს მიმდევრების მიმართ და ასაყვანი იყო ვ. ბ-ა. ამ მიზნით ოპერატიული ჯგუფი გაემგზავრა ქ-ს რაიონის სოფელ წ-ი, სადაც დააკავეს ვ. ბ-ა.

13. მონმის სახით დაკითხული შსს ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – ზ. ქ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ლ. ჩ-ი იყო ქურდული სამყაროს აქტიური წევრი, რომელიც ჩართული იყო ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვების საქმეში. ახალგაზრდებში ავრცელებდა ქურდული სამყაროს მიერ აღიარებულ წესებს, აქეზებდა მათ და კეთილად განაწყობდა ქურდული სამყაროს მიმართ. ახალგაზრდები მასთან იკრიბებოდნენ, აგროვებდნენ ფულს, აპირებდნენ იარაღის მობილიზებას.

14. მონმე გ. პ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ს-ს სამხარეო მთავარ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და იცნობს ლ. ჩ-ს, რომლის თაობაზეც ჰქონდა ინფორმაცია, რომ იგი იყო ქურდული სამყაროს წევრი და ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ კანონიერ ქურდებთან.

15. მონმე მ. ბ-ს მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა შსს ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ზ-ს შს

რაიონულ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, კერძოდ, ფაიფურის დასახლებლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აწარმოებდნენ უბნის მოსახლეობის აღწერას და უბნის პასპორტში შეტანას. განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავდათ ნასამართლეთა პირები და ქურდული ტრადიციის მატარებელი ხალხი. მისივე ჩვენებით, მას პირადი კონტაქტისგან, რომელიც იცნობს ლ. ჩ-ს, ჰქონდა ინფორმაცია ლ. ჩ-ს ქურდული სამყაროს წევრობის თაობაზე, რომ ის კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით, ქურდული „საერთოს“ შეგროვების მიზნით აწყობდა გარჩევებს.

16. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ თ. კ-ა გ. ქ-ს ტელეფონიდან ესაუბრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბ-ს და ეუბნება, რომ ცხოვრობს კაი ბიჭის ცხოვრებით და იდეოლოგიით, რომ თუ განირეს, სამჯერ არის ნამყოფი ციხეში და მეოთხედაც წავა, მაგრამ მაინც გამოვა იქიდან და სანამ არის, ს-ს სახე უნდა მისცეს, ს-ნ მაინც რალაცა რომ გადიოდეს. ყველა ქალაქიდან გადის „რაცხა“. აქვე თანამოსაუბრეს აწერინებს თავისი ტელეფონის ნომერს – ..... საუბარში თ. კ-ა ამბობს: „სანამ აგერ ვარ, აგერ ვარ და თუ იქანე ვიქნები, იქანე ვიქნები თქვენთან ერთად“. ბ-ს იმავე ტელეფონით ესაუბრება სხვა პირი, რომელსაც ბ-ა ავალეებს, გვერდში დაუდგეს თ-ს, ვინაიდან თ-ო მისი ძმაა. მოსაუბრე კი ეუბნება, რომ სულ თ-ა. ამის შემდეგ ბ-ა ისევ თ-ს ესაუბრება, რომელიც ეუბნება, რომ 150 ლარს გადმოქაჩავს და პირადად მას შეუზავნის ყოველ კვირაში, რაზეც ბ-ა პასუხობს, რომ განაბურად დაადგამს მაგას თავს. თ-ო ბ-ს ასევე თხოვს მისთვის მიმართულების მიცემას და ეუბნება, რომ მისი დავალებების შესასრულებლად მაქსიმალურად გამოვა კანიდან. ბ-ა დავალებას აძლევს, რომ მის გვერდში დგომაზე უარის მთქმელი პასიური ადამიანები კალაპოტში ჩასვას. თ-ო პასუხობს, რომ სანამ გარეთ არის, ყველაფერს გააკეთებს და თუ ჩაკეტავენ, კიდევ „გაიჩითება“ მისნაირი ვილაცა, თან ამატებს: „ხომ იცი, მოუშლელი ვარ, მოუშლელია ჩვენი აზროვნება“. ამის შემდეგ თ-ო მოიკითხავს ბ-ნ მყოფ მის ძმებს. ბ-ა პასუხობს, რომ მისი ძმები მასთან არიან ახლა და რომ „პალაჟენეცია“ მასთან, რის შემდეგაც თ-ო პასუხობს, რომ წამება და წვალება გადაიტანეს წარსულში ყველამ ერთად და მომავალი ანი წინ აქვთ.

17. ზემოაღნიშნულ საუბარში რომ სწორედ თ. კ-ს ხმა ფიქსირდება, ამას ადასტურებს მის მიერ დასახელებული საკუთარი მობილური ტელეფონის ნომერი, რომლიდან განხორციელე-

ბულ საუბრებშიც, ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ფიგურირებს თ. კ-ს ხმა, ასევე საუბარში მისი სახელით მოხსენიება და გ. ქ-ნ მისი ახლო ურთიერთობა, რაც დასტურდება საქმეში არსებული სხვა ფონოგრამებით და გ. ქ-ა და თ. კ-ს ჩვენებებით.

18. №... ფონოგრამაში ასახულია თ. კ-ს კუთვნილ ტელეფონის ნომერზე განხორციელებული საუბრები, რომლებიც ასევე ადასტურებს კრიმინალური ავტორიტეტის, სახელად „ჭ-ს“ დავალებით ბ-ნ გ. ი-ა და ე-ს ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე, პირდაპირ „დამტვრევის“ დავალების მიღებას და დავალების შესრულების დაპირებას, ამ მიზნით გარკვეული გეგმის შემუშავებას და აქტიური ქმედების უკვე დაწყებას, „დვიჟენის“ მოყვანას.

19. თ. კ-ს მიერ ქურდულ სამყაროში მიღებული წესების პატივისცემა იკვეთება №... ფონოგრამიდან, სადაც იგი ამბობს, რომ 34 წელია ქურდულში სისუფთავე აქვს. იმავე ფონოგრამაში აცხადებს: „ქურდული არის ერთი, სწორი და ერთი მუჭა, ყველა ერთად ჩვენ ვართ მაგრები“. იქვე ბ-ა ეკითხება თ. კ-ს, თუ შეძლებს ე-ს „დათრევას“ და უხსნის, რომ მისი დათრევა საჭიროა, რადგან „ძმისთვის“ შეუგინებია. ამის შემდეგ თ. კ-ა პასუხობს, რომ როცა შეხვდება, ის მისი ცხოვრების ბოლო დღე იქნება, მისი ცხოვრების შინაარსიდან გამომდინარე და „დაბრედავს“, რაზეც ბ-ა ეუბნება, რომ „დაბრედავს“ არ არის საჭირო, საკმარისია დაიჭიროს და მას დაურეკოს. საუბრის ბოლოს თ. კ-ა ამბობს, რომ ძველბიჭურად ცხოვრობს, რადგან ჯერ პატიმრებზე ფიქრობს, მათ უგზავნის ფულს და მერე ფიქრობს საკუთარ თავზე.

20. №... ფონოგრამაში აღბეჭდილია საუბრები ქურდულად ცხოვრებისა და „მილიციაში“ მოხვედრის განუყოფლობის შესახებ.

21. №... ფონოგრამაში დაფიქსირებულია გ. ქ-ს საუბრები, რომლებითაც დასტურდება, რომ იგი კარგად ერკვევა ქურდული სამყაროს წესებში, ქურდების ისტორიებში, ქურდულ სამყაროში არსებულ დაპირისპირებებში და მათ შიდა სამზარეულოში. იმავე ფონოგრამით დადგენილია, რომ ციხის საკანში პატიმრის დატოვების კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა გ. ქ-ს სთხოვეს პატიმრებმა და ამ მიზნით გამოიყვანეს საკანიდან. იქვეა საუბარი ციხეში გ. ქ-ა და „მაყურებელს“ შორის მომხდარი შელაპარაკების თაობაზე. ამავე ფონოგრამიდან ირკვევა, რომ გ. ქ-ა საქმის „კურსშია“ ქურდობის მსურველ რომელ ავტორიტეტზე რომელ ქურდს თუ კრიმინალურ ავტო-

რიტეტს აქვს „პრეტენზია“.

22. №... ფონოგრამა ადასტურებს გ. ქ-ა და სხვა კრიმინალური ავტორიტეტების კავშირს, რომელთა წრეშიც ის მიღებულია და მათთან ერთად სუფრასთან ზის, ესწრება მათ საუბრებს კონკრეტული თემის გარჩევაზე. მაგალითად, ის იმყოფებოდა გ. კ-ს, ე-ს და ვინმე გ-ნ ერთად სუფრასთან, სადაც საუბარი იყო ავტომანქანის დაბრუნების მოთხოვნასა და მისი წართმევის გამართლებაზე.

23. №... ფონოგრამის თანახმად, გ. ქ-ა ეუბნება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბ-ს, რომ მის გვერდშია და თ. კ-ნ ერთად გააკეთებს რაც გასაკეთებელია, იმისათვის, რომ ციხეში ს-ნ ყოველკვირა შევიდეს თანხა და ქალაქში სიტუაცია დააწყოს.

24. №... ფონოგრამის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ბ-ა დავალებას აძლევს გ. ქ-ს, ორივე პირი „დატეხონ“ ისე, რომ ფეხზე ვერ გაიარონ. ამავე საუბრიდან ირკვევა, რომ გ. ქ-ა აქტიურობას იჩენს ამ დავალების შესასრულებლად, ეძებს „დასამტვრევ“ პირებს, იღებს ინფორმაციებს მათი ადგილსამყოფლის შესახებ, მონაწილეობს იმ პირებთან შეხვედრის ორგანიზებაში, რჩევებს აძლევს შეხვედრის საღამოსთვის გადატანის თაობაზე და ბ-ს ჰპირდება, რომ საქმის კურსში ჩააყენებს მოვლენების განვითარების თაობაზე. ბ-ა გ. ქ-ს ეუბნება: „მაგი, ჩათვალე, ჩვენი ყველას მტერია, დაჟე იქამდე რომ ვერ ჩავიდეს, ისე უნდა გააკეთო, გაიგე?“ და მის დაინვალიდებას თხოვს. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ იგივე ბ-ა გ-ს და ე-ს მოძებნის, გ-ს ჯანმრთელობის დაზიანების დავალებას გასცემს გ. ქ-ს ტელეფონზე განხორციელებული სატელეფონო საუბრისას. №... ფონოგრამა ადასტურებს ასევე კრიმინალური ავტორიტეტის, სახელად „ჭ-ს“ დავალებით, ბ-ნ გ. ი-ა და ე-ს ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე, პირდაპირ „დამტვრევის“ დავალების მიღებას და დავალების შესრულების დაპირებას, ამ მიზნით გარკვეული გეგმის შემუშავებას და აქტიური ქმედების უკვე დაწყებას. აღნიშნულ საუბრებში რომ გ. ქ-ა მონაწილეობს, დასტურდება როგორც ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტების ჩვენებებით, ასევე იმით, რომ საუბრის დროს მას ბ-ა მოიხსენიებს მისი გვარის შემოკლებული ფორმით – „ქ-ი“. ამასთან, იგი კარნახობს საკუთარი ტელეფონის ნომერს – .... რომლიდან განხორციელებულ საუბრებში გ. ქ-ს ხმის არსებობა ასევე დადასტურებულია ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით.

25. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ ვ. ბ-ა ესაუბრება ლ.



ჩ-ს კუთვნილ ტელეფონის ნომერზე, რომელიც სთხოვს სასაფლაოზე მისვლას, რადგან ფულის თაობაზე აქვს საუბარი. ვ-ი პასუხობს, რომ მივიდა და სასაფლაოზეა ისიც. მოსაუბრე ტელეფონს მიღმა ამბობს: „ვ-ა ბ-ა ქურდი კაცია“. აღნიშნული ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ს სთხოვენ ქურდულ გარჩევაში მონაწილეობას.

26. №... ფონოგრამაში ვ. ბ-ა ამბობს, რომ ქურდულად არის და რომ კითხვა, თუ როგორ არის, ესეც კი უკვე პრეტენზიაა მისთვის, რაც მიუთითებს ვ. ბ-ს მიერ ქურდული სამყაროს წესების პატივისცემასა და აღიარებაზე.

27. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ თანამოსაუბრე ვ. ბ-ს სთხოვს ფულის „დვიჟენიასთან“ დაკავშირებით საქმის ქურდულ გარჩევას „ჯ-ს“ სასაფლაოზე, რაზეც ვ. ბ-ა პასუხობს: „ეხლა ვერ მივალ“, თუმცა საბოლოოდ თანხმდებიან, რომ მოახერხებენ რამეს. აქვე ვ. ბ-ა მოსაუბრეს აცნობს სხვა გარჩევის დეტალებს, რომ საერთო ნაცნობს მან დარტყმის ნება მისცა, თუმცა მან არ დაარტყა და „გაუთვალისწინა“.

28. №... ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ს ურეკავენ იმის გასარკვევად, რამდენად შეესაბამება კონკრეტული პირის ქმედება მათ მიერ აღიარებულ წესებს და ეკითხებიან რჩევას, როგორ მოექცნენ მას.

29. №... ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ს საუბარი აქვს რუსი ეროვნების ქურდთან, რომელიც სთხოვს მას მისი მეგობარი ქურდის გვერდში დგომას და ჰპირდება, რომ ანი ყველაფერი იქნება. ვ. ბ-ა გამოთქვამს მათთან ყოფნის სურვილს.

30. №... ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ა ესწრებოდა ვინმე მ-ს თემაზე არსებულ არაერთ ქურდულ გარჩევას, სადაც საუბარი იყო თანხის მოტანაზე.

31. №... ფონოგრამაში საუბარია კონკრეტული საქმის ქურდულად გარჩევაზე. იქვე მოსაუბრე ქურდულ სამყაროში წინსვლას უწინასწარმეტყველებს ვ. ბ-ს და ეუბნება: „შენ მალე მოგიწევს იქით წასვლა. ერთი „დვიჟენია“, ერთი საქმის მოგვარება და იქ იქნები შენც, დიდი ხანი არ გჭირდება, დამშვიდდება ჯ-ი სამუდამოდ“. ვ. ბ-ა პასუხობს, რომ ამას დიდი ხანია, ელოდება. მოსაუბრე აგრძელებს: „შენს მერე ვინ იქნება ჯ-ი შენნაირი, მაგაზე თუ გიფიქრია?“ ვ. ბ-ა ახსენებს ვინმე გ-ს. მოსაუბრე პასუხობს: „მაგიც მაგარი საქმის გადამწვევტია და მერე ყველაფერი ერთად რომ არ დაიშალოს, მაგიც საფიქრალია“. ვ. ბ-ა ეთანხმება და ამბობს, რომ დიდი ხნის ნანვალეები არ უნდა დაიშალოს. იქვე გამოთქვამს სურვილს გარკვეული პირის მიმართ: „მოათავებდეს ქე მაინც, მოათავებდეს“, რაზეც მოსაუბრე პასუხობს:

„მოათავეებს ბიჭო მაგი, თვითონაც ისეთი ხასიათის არის. ეხლაც მოათავეებს მაგი უცებ. რომ იტყვის ვსიო, მე ის ვარ, ვინც... მორჩება მანდ ბაზარი. არის იქ რალაც ნიუანსები, სიტუაციები, წვრილმანები, მაგრამ მაგის მერე ჯ-ი ის ხომ არ არის, ხელნამოსაკრავი.“

32. №... ფონოგრამაში ასახულია, ვ. ბ-ს როგორ სთხოვენ საქმის ქურდულად გარჩევას, რის პასუხადაც ვ. ბ-ა ითხოვს საუბრის დაწყებით დაინტერესებულ პირებთან დალაპარაკებას და ჰპირდება, რომ ამის მერე დაიბარებს ხალხს და დაადგამს თავს ყველაფერს.

33. №... ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ა ქურდული სამყაროს წევრებს იცნობს და მათთან კონტაქტები აქვს. ამ საუბრებში ვ. ბ-ა მოსაუბრეს სთხოვს გ-ი კარცერში მოთავსებული პირის ინტერესების დასაცავად გ-ს „მაყურებლის“ ტელეფონის ნომრის გაგებას.

34. №... ფონოგრამაში ასახულია ვ. ბ-ნ საუბარი ნ-ს დაბარების და სასაფლაოზე საქმის გარჩევის თაობაზე.

35. №... ფონოგრამაში რ-ი ეკითხება ვ. ბ-ს: „იქ რალაც ქურდული რომ გაქვს, ის რატომ არ მიგაქვს ადგილზე, სადაც დასადებია?“, რაზეც ვ. ბ-ა პასუხობს: „კი, მაგი ადგილზეა, კაცო“. ამავე საუბრებში რ-ი ეუბნება ვ. ბ-ს, რომ „ძაღლები“ და სასწაული ამბავი ყოფილა, რის გამოც ურჩევს, წავიდეს და დაიმალოს.

36. №... ფონოგრამიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ა აცნობებს მოსაუბრეს, რომ მათ საერთო ძმასთან კარგი ამბავია, კერძოდ მან „დაამთავრა ლაპარაკი“, რასაც ულოცავენ. მოსაუბრე ვ. ბ-ს უსურვებს, მისთვისაც მალე მიელოცოს იგივე.

37. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ ვ. ბ-ა ესაუბრება პიროვნებას, რომელსაც ამცნობს, რომ რ-ს კარგი ამბავი შეემთხვა, კერძოდ, „ჩაჯდა ჩექმაში“, რასაც ულოცავენ. №... ფონოგრამაში გრძელდება საუბარი იმავე თემაზე, კერძოდ, ვ. ბ-ა მოსაუბრეს ეუბნება, რომ რ-ს ამბავი მართალია, რომ 2 კაცს გაუკეთეს, მეორემაც მოაგვარა, მისმა ძმამ, ი. ჯ-მ, რომელსაც სკაიპით ელაპარაკა ნინა ლამით. ვ. ბ-ა ამბობს: „ჯ-ი არ იყო ერთი სახელიანი, ყველა ჯ-ს ჩაგრაგდა, რაც დასრულდება ანი“.

38. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ რ-ი ესაუბრება ვ. ბ-ს და აძლევს დავალებას დ. ზ-ს პოვნის თაობაზე, ხოლო ვ. ბ-ა რ-ს ნათქვამს გადასცემს ო-ს და ეუბნება მისი სახელით, თუ რა გააკეთოს. კერძოდ: „კაროჩე, ჩვენმა ძმამ რ-მ, ბოზი არისო. აზრზე ხომ ხარ რა უნდა ქნა?.. თან მანქანაც ჰყოლია, მოკლედ, წაართვით რა“. იმავე თემას ეხება №... ფონოგრამა, რომლის მი-

ხედვითაც ვ. ბ-ა ო-ს ეუბნება, რომ დ. ზ-ა პირდაპირ ჯ-ი წამოიყვანოს და იქ სცემონ ერთად, 20000 \$ ჰქონია მოსატანო. №..., №... და №... ფონოგრამებიდან ირკვევა, რომ ვ. ბ-ა ო-ს ეუბნება, რომ დ-ო უნდა შემოიღყუონ და რ-ს სახელი ჯერ არ უხსენოს. №... ფონოგრამაში ასახულია, რომ ვ. ბ-ა საქმის კურსში აყენებს რ-ს დ. ზ-ს შესახებ მისი დავალების შესასრულებლად გადაცემის თაობაზე. დ. ზ-ს შესახებ დავალების შესასრულებლად მისი ვინაობისა და მისამართის დაზუსტებაზე საუბარი №... ფონოგრამაში, სადაც ვ. ბ-ა აზუსტებს, რომ ის ციხეში იჯდა და მისი აზრით, “სახელზე ფიქრობდა”.

39. №... ფონოგრამის მიხედვით, ვ-ი ესაუბრება პიროვნებას რ-ს დავალებაზე, მ-ნ არსებული პრობლემის მოგვარებამდე თანხის შეგროვების შეჩერების შესახებ. როგორც საუბრიდან ირკვევა, რ-ი დავალებას აძლევს, რაც მ-ს აქვთ მიცემული, იმ ოდენობის თანხა იშოვონ და თან ჰქონდეთ, ასევე თან ჰქონდეთ ქალაქები და თუ მ-ი „ატკაზზე წავა“, მერე თვითონ მიხედავს ყველაფერს. №... ფონოგრამის თანახმად, გრძელდება იმავე თემაზე საუბარი, სადაც ვ. ბ-ს ეუბნებიან რ-ს დანაბარებს, რომ თუ ძმაკაცები არიან, ერთად გააკეთონ ისე, როგორც საჭიროა. ამის მერე ვ. ბ-ა უხსნის, თუ რა გააკეთოს, რომ ჩამონეროს ისინი, ვინც მას ფული მისცა. აქვე აფრთხილებს, რომ ეს თამაში არ არის და რომ არავინ არ უნდა იცოდეს, რომ არავის არ უთხრას, ალალ ძმასაც კი, ჩამონეროს ეს ყველაფერი და თვითონ დაეხმარება რომელ თვეში რა როგორ გააკეთოს. მოსაუბრე ეუბნება, რომ ტელეფონით არ უნდა ამაზე საუბარი, რაზეც პასუხობს, რომ ვინ რა იცის, რაზეა საუბარი, იქნებ სულაც ორმოცის თანხაზეა ლაპარაკი. მოსაუბრე ეუბნება – ჰო, სწორედ იმ ორმოცზე ჩანერილ თანხაზე გეუბნები, ვინ რა იცის რაზე ვსაუბრობთ. შემდეგ მოსაუბრე ეუბნება, რომ გ-ს „მაყურებელი“ დაინტერესებულა ამით. ვ. ბ-ა ამბობს, რომ გ-ს „მაყურებელი“ მისი ძმაკაცია და მისი ნომერი მისცეს, ის დაელაპარაკება. იმავე თემაზე გრძელდება საუბარი №... ფონოგრამაში, სადაც ორივე მოსაუბრე, მათ შორის, ვ. ბ-ა გამოხატავენ შემფოთებას იმის თაობაზე, რომ ვიღაცა ცდილობს პასუხი მოსთხოვოს ვ-ს მაშინ, როცა ქურდები არ სთხოვენ მას პასუხს. ამ საუბრებში არის ასევე ცემისკენ მონოდებაც: „ცემე რა მაგას ვინც გეტყვის, პირდაპირ ცემე, ნუ ელოდები. ქურდი არ მისმევს შეკითხვებს და თქვენ ვინ ხართ-თქო“.

40. №... ფონოგრამაში ასახულია ქურდად ახლად მონათლული პირების შესახებ საუბარი. ვ. ბ-ა ეუბნება რ-ს ციხის „მაყურებელს“, რომ მ. ჯ-მ, მ-ს შვილმა, ი. ჯ-მ და რ-ა ერთად „დაას-

რულეს საუბარი“, რომ ი-ა და რ-ი მისი ძმები არიან და რომ რ-ი სულ ურეკავს სკაიპით. იქვე ვ. ბ-ა გამოკითხავს მოსაუბრეს სხვა ციხეების „მაყურებლების“ ვინაობას. რ-ს ციხის „მაყურებელი“ ურჩევს, დროზე წავიდეს წარმატებულად, ხოლო ახალგაზრდა ბიჭები დაახასიათოს და დატოვოს, რაზეც ვ. ბ-ა პასუხობს, რომ გარეთაც მაგარი ძებნა უნდა ისეთის პოვნას, ვინც სისტემას ნაუძღვება.

41. №... ფონოგრამის თანახმად, ლ. ჩ-ი სახელითა და გვარით ეცნობა მოსაუბრეს და მიმდინარეობს შემდეგი საუბარი: „კაი ბიჭებს ვერანაირი დრო ვერ შეეხება“, „ახლა ცოტა სვაბოდა გვაქვს“, „ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ“, „ისეთი „კრუგი“ გავაკეთოთ, რომ ჩვენი ემინოდეს ხალხს“, „ერთად უნდა ვიყოთ, ერთი საძმო ვართ“. იმავე ფონოგრამით ირკვევა, რომ ლ. ჩ-ს საქმის გარჩევა ჰქონდა დანიშნული გარკვეულ პირებთან და მივიდა კიდევ შეთანხმებულ ადგილას, თუმცა მეორე მხარის წარმომადგენლები არ მივიდნენ. ამ გარჩევაზე უნდა მომხდარიყო მათი დამტკიცება, თუმცა ლ. ჩ-ი ამბობს, რომ მისთვის დაურეკია ძმაკაცს – ლ-ს და მოუთხოვია, არ დაემტკერიათ და მხოლოდ „დაეყენებინათ“.

42. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ ლ. ჩ-ი ესაუბრება ვ. ბ-ს და ეუბნება: „გასალახად ააყენეს კაცი და არ დავარტყმევი-ნე. ჩემი ლაპარაკი იყო, მე მეხებოდა. იმ კაცს ველაპარაკე, ისე კი არა, ხელის დარტყმით და იმითი, ჩემი ძმური დავანახე. შენ ეს გეკუთვნოდა, მაგრამ მე მაინც არ ვიკადრე-თქო ეს და კრუნჩხვებში ჩავარდა ნერვიულობის ფონზე... ყველას ერთნაირად არ უნდა მოსთხოვო. ისიც უნდა იცოდე, ვის რამდენი ესმის...“ ვ. ბ-ა ლ. ჩ-ს ეუბნება: „ამას ითხოვს ჩვენი ქურდული“, რასაც ლ. ჩ-ი უდასტურებს. ამის შემდეგ საუბარი შეეხება „კაი ბიჭების“ დაყოფას „კომერსანტ კაი ბიჭებად“ და „არაკომერსანტ კაი ბიჭებად“.

43. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ ვ. ბ-ა ესაუბრება ლ. ჩ-ს ნომერზე პიროვნებას, რომელიც ეუბნება, რომ სასაფლაოზეა, ფულის ამბავზე ლაპარაკი აქვს და სთხოვს სასაფლაოზე მისვლას. საუბარი რომ ლ. ჩ-ს ტელეფონის ნომერზე მიმდინარეობს, დადასტურებულია შპს „მ-ს“ შესაბამისი სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით. ამასთან, ამავე ტელეფონის ნომრიდან განხორციელებულ სხვა საუბრებზე ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღბეჭდილია ლ. ჩ-ს ხმა.

44. №... ფონოგრამით დადგენილია, რომ ლ. ჩ-ს ტელეფონიდან განხორციელებულია ზარი ვ. ბ-ს, რა დროსაც ვ. ბ-ს ეუბნება, რომ დ. გ-ა დარეკავს „ამ ამბების გულიზა“, მის „დეფიენია-



და ვ. ბ-ს ხმის ნიმუშის ფონოგრამიდან ვ. ბ-ს ხმა და მეტყველება ერთმანეთის იდენტურია. ამავე დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილ სადავო ფონოგრამებზე საიდენტიფიკაციო კვლევის ჩატარება გ. კ-ს, გ. ქ-ს, ა. უ-ს, გ. გ-ს, დ. ქ-ს და გ. რ-ს ხმისა და მეტყველების მიხედვით ვერ მოხერხდა, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის მეთოდულ კადასტრში მითითებულ საჭირო მოთხოვნას, სადავო ფონოგრამები ვერ აკმაყოფილებდა საიდენტიფიკაციოდ ვარგისიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას – რეპრეზენტატულობას, რაც მთავარი პირობაა პიროვნების საიდენტიფიკაციოდ. ჩანანერი არ იყო რეპრეზენტატიული, ანუ არ გააჩნდა პიროვნების თავისუფალი მეტყველების ჩანერის დამაკმაყოფილებელი ხანგრძლივობა.

48. მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – თ. ბ-მ, ე. კ-ა და დ. გ-ა სრულად დაადასტურეს მათ მიერ გაცემული დასკვნის უტყუარობა და სისწორე.

49. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ სწორედ მსჯავრდებულები – თ. კ-ა, გ. ქ-ა, ვ. ბ-ა და ლ. ჩ-ი მონაწილეობდნენ ზემოთ განხილულ საუბრებში, რა დროსაც სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-ჩანერის შედეგად მოპოვებული აუდიოჩანაწერების მიხედვით, აღიარებენ ქურდულ სამყაროს, მათ ურთიერთობა ჰქონდათ ქურდული სამყაროს წევრებთან და აქტიურად მოქმედებდნენ ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გამოიკვლია საქმეში არსებული, კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული მტკიცებულებები და მსჯავრდებულების – თ. კ-ს, გ. ქ-ს, ვ. ბ-ა და ლ. ჩ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას ამ ნაწილში მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არ არსებობს მათ მიმართ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი.

50. საკასაციო პალატა ასევე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მსჯავრდებულების – დ. ქ-ს, გ. ქ-ს, ვ. ბ-ა და ლ. ჩ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვის, მსჯავრდებულების – ა. უ-ს, გ. რ-ა და გ. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვის, ასევე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვის, ხოლო მსჯავრდებულ გ. ქ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის

მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

51. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – გ. გ-ს, მ. ჯ-ა და დ. ო-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ. ს-ი, ა-ს ხეივანში, №... საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვეითად მოსიარულე გ. ქ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას, მისი მარცხენა ფეხის წინდიდან ამოღებულ იქნა ფოლგის ქალაქში შეხვეული მოყავისფრო ფხვნილისებრი მასა.

52. გ. ქ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, 20:25 საათზე, ქ. ს-ი, ა-ს ხეივანში, №... საჯარო სკოლის წინ ქვეითად მოძრაობისას პოლიციის მუშაკებმა ბრალდებულის სახით დააკავეს გ. ქ-ა, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად მისი მარცხენა ფეხის წინდიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ფოლგის ქალაქში შეხვეული მოყავისფრო ფხვნილისებრი მასა.

53. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, გ. ქ-ს ამოღებული 1 ცალად დაფასოებული ფხვნილისებრი მასა, ნონით 0,0997 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, ნონით 0,034 გრამს. აღნიშნული დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. მ-მ.

54. მოწმეების – ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ა. ა-ს, ბ. ფ-ა და ა. ჯ-ს მიერ მიცემული ჩვენებების თანახმად, 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ-ს რაიონის სოფელ წ-ი, დეიდის – მ. კ-ს საცხოვრებელ სახლში მყოფი ვ. ბ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას, მისი შორტის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ე.წ. 2 „ჩეკად“ დაფასოებული მოყავისფრო ფხვნილი, რომელიც მოთავსებული იყო პოლიეთილენის პარკში.

55. ვ. ბ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, 11:48 საათზე, ქ-ს რაიონის სოფელ წ-ი, დეიდის – მ. კ-ს საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში პოლიციის მუშაკების მიერ ბრალდებულის სახით დააკავეს ვ. ბ-ა, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად მისი შავი ფერის წითელი და თეთრი კანტებით განწყობილი შორტის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა თეთრი ფერის ქალაქში გახვეული, 2 „ჩეკად“ დაფასოებული პოლიეთილენის პარკი, მასში მოთავსებული მოყავისფრო შეფერილობის ფხვნილით.

56. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ვ. ბ-ს ამოღებული, 2 ცალად დაფასოებული ფხვნი-

ლისებრი მასა, საერთო წონით 0,515 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით 0,057 გრამი, ამავე დასკვნის თანახმად, კვლევის შემდეგ დარჩა ჰეროინის შემცველი ფხვნილისებრი მასა – 0,495 გრამი.

57. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ვ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული მოყავისფრო ფხვიერი ნივთიერება, წონით 0,495 გრამი, შეიცავს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, 0,0569 გრამის ოდენობით. აღნიშნული დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – მ. მ-მ და ნ. ლ-მ.

58. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების – ზ. ქ-ს, გ. პ-ა და ვ. ჭ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ლ. ჩ-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში დაკავებისა და პირადი ჩხრეკისას, მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული მოყავისფრო ფხვიერი მასა, ხოლო საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად საძინებელ ოთახში მდგარი სანოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებული იქნა გაზეთში გახვეული სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა.

59. დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, 01:50 საათზე, ლ. ჩ-ი პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს ქ.ზ-ი, ს-ს მე-... შესახვევი, №...-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში და ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად მისი ჯინსის შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული მოყავისფრო ფხვიერი მასა, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის №ქ/416 დასკვნის თანახმად, წონით არის 0,096 გრამი და შეიცავს 0,035 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“.

60. ლ. ჩ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკის შედეგად სახლის მეორე სართულზე მდებარე საძინებელ ოთახში მდგარი სანოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებულ იქნა გაზეთის ქაღალდში გახვეული მცენარეული, სპეციფიკური სუნის მქონე ფხვიერი მასა, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის №ქ/419 დასკვნის თანახმად, არის 13,085 გრამი ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი „მარიხუანა“. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. მ-მ.

61. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამ-



მართველოს ზ-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ა. ხ-ა და მ. შ-ს მიერ მიცემული ჩვენებების თანახმად, 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ. ზ-ი, ს-ს მეოთხე შესახვევის №...-ში მდებარე გ. ქ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სახლის მეორე სართულზე არსებული გ. ქ-ს საწოლის ქვეშ აღმოჩენილი და ამოღებული იქნა ავტომატი, რომლის მჭიდში მოთავსებული იყო 20 ცალი ვაზნა.

62. გ. ქ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩხრეკის შედეგად საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებული გ. ქ-ს ლოგინის ქვეშ, იატაკზე აღმოჩენილი და ამოღებული იქნა ავტომატი წარწერით FF8865 1992, ერთი მჭიდი და 20 ცალი ვაზნა.

63. ბალისტიკური ექსპერტიზის №...-ის თანახმად, გ. ქ-ს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებული საძინებელი ოთახიდან ამოღებული საგანი წარმოადგენს სტანდარტულ-ქარხნული წესით დამზადებულ, 1974 წლის ნიმუშის, „AK-74“ მოდელის, 5,45 მმ კალიბრიან კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატს №FF 8865, რომელიც ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. ამავ დანაკენის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი, გ. ქ-ს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებული საძინებელი ოთახიდან ამოღებული 20 ცალი ვაზნა წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ, 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრიან ვაზნებს, განკუთვნილს 1974 წლის ნიმუშის კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატებისათვის: „AK-74“, „AKC-74“, „AKC-74Y“, ტყვიამფრქვევებისათვის და სხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღებისათვის, მათ შორის, ექსპერტიზაზე წარდგენილი „AK-74“ მოდელის ავტომატისათვის №FF 8865, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. აღნიშნული დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. კ-მ.

64. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ზ. გ-ს, ა. რ-ს და რ. მ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს წ-ს რაიონის სოფელ ლ-ი მცხოვრები გ. გ-ს საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე ნაგებობებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, გ. გ-ს საძინებელ ოთახში, საწოლის ქვეშ იატაკზე აღმოჩენილ იქნა შავი პოლიეთილენის პარკში მოთავსებული მომწვანო – მორუხო ფერის მცენარეული მასა და ხელყუმბარა, ხოლო საწოლში, ბალიშის ქვეშ აღმოჩენილ იქნა თეთრ ქალაღში გახვეული მომწვანო-მორუ-

ხო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა.

65. გ. გ-ს საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე ნაგებობების ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკის შედეგად გ. გ-ს საძინებელ ოთახში მისი საწოლის ქვეშ, იატაკზე აღმოჩენილი იქნა შავი ფერის პოლიეთილენის პარკში მოთავსებული მომწვანო-მორუხო ფერის მცენარეული მასა და ხაკისფერი მომრგვალო ლითონის საგანი, ასევე გ. გ-ს საძინებელი ოთახის საწოლის ბალიშის ქვეშ აღმოჩენილ იქნა თეთრ ქაღალდში გახვეული მომწვანო-მორუხო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა.

66. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი, გ. გ-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული, 2 ცალად დაფასოებული მცენარეული მასა, საერთო წონით 171,19 გრამი, არის ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარისუანა“. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. მ-მ.

67. პიროტექნიკური ექსპერტიზის №... №... დასკვნით დადგენილია, რომ გ. გ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, მისი საძინებელი ოთახიდან ამოღებული საგნები წარმოადგენს „3ГА-5“ ტიპის ხელის მსხვერველადი ყუმბარის ერთ ცალ კორპუსს და „H33ГБ“ ტიპის ერთ ცალ ფალიას, რომლებიც საბრძოლო გააოცდის ჩატარებამდე მიეკუთვნებოდა საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისი იყო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. აღნიშნული დაადასტურა მოწმედ დაკითხულმა ექსპერტმა-ბალისტიკმა მ. კ-მ.

68. მოწმეების – ქ.ფ-ს შს საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების – ბ. კ-ს, გ. ლ-ა და ე. ძ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ. ფ-ი, გ-ს ქ. №...-ში მდებარე, გ. რ-ს დეიდის – ლ. მ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, მისაღებ ოთახში განთავსებული საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებულ იქნა შავი პოლიეთილენის პარკი, რომელშიც მოთავსებული იყო გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი „ТО3-63“.

69. ლ. მ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკის შედეგად მისაღებ ოთახში მდგარი რკინის საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოღებულ იქნა შავი პოლიეთილენის პარკი, რომელშიც მოთავსებული იყო გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი „ТО3-63“. ჩხრეკის ოქმის თანახმად, გ. რ-ს დედამ, ლ. მ-მ და დეიდამ, ლ. მ-მ განაცხადეს, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული, გადაჭრილი, ორლულიანი თოფი ეკუთვნოდა გ. რ-ს.

70. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი, გ. რ-ს დეიდის, ლ. მ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული საგანი წარმოადგენს „წ“ მოდელის, 16-კალიბრიანი, ორლულიანი, გლუვლულიანი სანადირო თოფისგან თვითნაკეთი წესით დამზადებულ ცეცხლსასროლ იარაღს, ნომერნაშლილ გადაჭრილ თოფს, რომელიც ვარგისია სროლისთვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. კ-მ.

71. მოწმეების – ფ-ს შს საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების – ე. კ-ს, ნ. ბ-ა და ზ. ბ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ. ფ-ი, მემვიდე კილომეტრის დასახლების ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა გ. რ-ი, როდესაც ის ავტომანქანით გადაადგილდებოდა. ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად გ. რ-ს ჯინსის შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა გაზეთის ქალაქში გახვეული მომწვანო-მორუხო ფერის ფხვიერი მასა, რაც ადგილზე დაილუქა.

72. დაკავების ოქმის თანახმად, 2014 წლის 10 სექტემბერს, 14:55 საათზე, ქ. ფ-ი, მემვიდე კილომეტრის დასახლების ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა გ. რ-ი, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

73. პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ფ-ი, მემვიდე კილომეტრის დასახლების ტერიტორიაზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მისი ჯინსის შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა გაზეთის ქალაქში გახვეული მომწვანო-მორუხო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე ფხვიერი მასა.

74. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, გ. რ-ნ ამოღებული, ქალაქის ერთ ნაკვეთში მოთავსებული მცენარეული მასა, წონით 15,105 გრამი, არის ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანა“. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. მ-მ.

75. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – ა. ძ-ს, გ. ფ-ა და გ. კ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ დ. ქ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, მისი შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა შავ პარკში შეხვეული მომწვანო-მორუხო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე ფხვიერი მცენარეული

მასა, რაც ადგილზე დაილუქა ერთ პაკეტად.

76. მოწმე გ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს იზოლატორში შეყვანილ იქნა ბრალდებულის სახით დაკავებული დ. ქ-ა, რა დროსაც მორიგეები იყვნენ ის და დ. ს-ა. ვიზუალური დათვალიერებისას დ. ქ-მ შარვლის უკანა ჯიბიდან ამოიღო და წარმოადგინა მწვანე ფერის მცენარეული მასა.

77. დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, 11:10 საათზე, ქ.ჯ-ი, გ-ს ქ. №3/12-ში მცხოვრები ჟ. ბ-ს ბინის გასასვლელ კარებთან დაკავებულ იქნა დ. ქ-ა, როცა იგი ცდილობდა გაქცევას. პირადი ჩხრეკის შედეგად დ. ქ-ს შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა შავ პოლიეთილენის პარკში შეხვეული მომწვანო-მორუხო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, რაც წარედგინა პირადი ჩხრეკის მონაწილეებს, რის შემდეგაც დაილუქა.

78. 2014 წლის 10 სექტემბერს ს-ს რეგიონალური ზ-ს დროებითი მოთავსების იზოლატორის პასუხისმგებელი მორიგის, დ. ს-ს მიერ, ამავე იზოლატორის მორიგის, გ. კ-ს და ბრალდებულის სახით დაკავებული დ. ქ-ს თანდასწრებით შედგენილი ოქმის თანახმად, 2014 წლის 10 სექტემბერს, 17:45 საათზე, ს-ს რეგიონალური ზ-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანილ იქნა ბრალდებულის სახით დაკავებული დ. ქ-ა, რომელმაც ვიზუალური დათვალიერებისას წარმოადგინა შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბიდან მომწვანო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, რომელიც მოთავსებულ იქნა თაბახის ფურცელში, პოლიეთილენის პარკში და შემდეგ – ქალაქის კონვერტში, რაც დაილუქა დროებითი მოთავსების იზოლატორის ბეჭდით.

79. ზ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლის – პ. დ-ს მიერ შედგენილი ამოღების ოქმით დადგენილია, რომ 2014 წლის 11 სექტემბერს მოწმე დ. ს-ნ ამოღებულ იქნა ერთი ცალი თეთრი კონვერტი დალუქულ მდგომარეობაში, რომელზეც იკითხებოდა: „2014 წლის 10 სექტემბერს, ბრალდებულ დ. ქ-ს ამოღებული მცენარეული მასა...“. ამოღებული კონვერტი მოთავსდა თეთრი ფერის კონვერტში და დაილუქა.

80. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ დ. ქ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული პოლიეთილენის ერთ პაკეტში მოთავსებული მცენარეული მასა, წონით 85,62 გრამი, არის ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი მასა.

რიხუანა.

81. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ დ. ქ-ნ დროებითი მოთავსების იზოლატორში ამოღებული მომწვანო ფერის, სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, მშრალ მდგომარეობაში წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება გამომშრალ „მარიხუანას“, წონით 0,79 გრამს. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტებმა – მ. მ-მ და დ. გ-მ.

82. მოწმის სახით დაკითხული ს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს წ-ს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების – პ. ფ-ს, დ. ჭ-ა და ა. კ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქ.თ-ი, მ-ს ქუჩაზე დააკავეს ა. უ-ა, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა და მისგან ამოღებულ იქნა პისტოლეტი ერთი ცალი ვაზნით და ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანა.

83. დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ა. უ-ა 2014 წლის 10 სექტემბერს, 18:42 საათზე, დაკავებულ იქნა ქ.თ-ი, მ-ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ა. უ-ს ჯინსის შარვალსა და მასზე შემორტყმულ ყავისფერ ქამარს შუა ჩარჭობილი პისტოლეტის მსგავსი საგანი, წარწერით „BORA Mod. SK 200“, №44790, მოყავისფრო ტარით, მასში მოთავსებული მჭიდის მსგავსი საგნით და მჭიდში მოთავსებული ერთი ცალი საგანი, ასევე მისი ჯინსის შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მოთეთრო ქაღალდში შეხვეული მომწვანო ფერის მცენარეული მასა, რაც დაილუქა ცალ-ცალკე პაკეტებად.

84. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ა. უ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული პისტოლეტი №44790, წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ 9 მმ ნომინალური კალიბრიანი პისტოლეტის მოდელს „BORA Mod. SK 200“, რომელსაც ლულის არხში არ გააჩნია საფანტის და აირის იარაღისთვის აუცილებელი, სპეციალური სტაციონარული მზღუდავი; ვარგისია სროლისთვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. 1 ცალი ვაზნა წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ 1951 წლის ნიმუშის 9,2 მმ კალიბრიან ვაზნას, რომელიც ვარგისია სროლისთვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

85. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ა. უ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული პისტოლეტი №44790, წარმოადგენს 9 მმ ნომინალური კალიბრიანი პისტოლეტის მოდელს „BORA Mod. SK 200“, რომელსაც ლულის არხში არ გააჩნია საფანტის და აირის იარაღისთვის აუცილებელი, სპე-

ციალური სტაციონარული მზლუდავი; ვარგისია სროლისთვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. აღნიშნული პისტოლეტი დამზადებულია ქარხნული წესით და თვითნაკეთი წესით გადაკეთებული არ არის. აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. კ-მ.

86. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ა. უ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული, მომწვანო-მოყავისფრო ფერის, სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, მშრალ მდგომარეობაში, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება – გამომშრალ „მარიხუანას“, წონით 15,48 გრამს. ამავე დასკვნის თანახმად, კვლევის შემდეგ საკვლევი ობიექტიდან დარჩა 15,18 გრამი.

სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ა. უ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული, თეთრ ქალღმერთს გახვეული, მომწვანო-მოყავისფრო ფერის, სპეციფიკური სუნის მქონე დაქუცმაცებული მცენარეული მასა, გამომშრალ მდგომარეობაში, წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება – გამომშრალ „მარიხუანას“, წონით 15,18 გრამს. აღნიშნული დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – მ. ჭ-მ და ნ. ნ-ა.

87. ნარკოლოგიური გამოკვლევის №... დასკვნის თანახმად, 2014 წლის 11 სექტემბერს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ა. უ-ს დაუდგინდა სწორედ იმ სახეობის ნარკოტიკული საშუალების – „მარიხუანის“ მოხმარება, რომელიც ამოღებულ იქნა მისი პირადი ჩხრეკის დროს.

88. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებმა – გ. ქ-მ, ვ. ბ-მ და ლ. ჩ-ა ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მსჯავრდებულმა თ. კ-მ – სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მსჯავრდებულმა დ. ქ-მ – სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მსჯავრდებულმა გ. ქ-მ – სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მსჯავრდებულმა გ. გ-მ – სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო მსჯავრდებულებმა – ა. უ-მ და გ. რ-ა – სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები და განსაზღვრული აქვთ სამართლიანი სასჯელები.

89. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო.

90. გასაჩივრებული განაჩენით ა. უ-ს მსჯავრი დაედო 15,18 გრამის ოდენობით, ხოლო გ. რ-ს – 15,105 გრამის ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ შეძენა-შენახვაში.

91. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ვინაიდან დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის სანქცია კი, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულები – ა. უ-ა და გ. რ-ი უნდა გათავისუფლდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, 309-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. გ-ა და მისი ინტერესების დამცველის,

ადვოკატ მ. ნ-ს, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-ს, მსჯავრდებულ ლ. ჩ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ს, მსჯავრდებულ ა. უ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ს, მსჯავრდებულ გ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ჯ-ს, მსჯავრდებულ ვ. ბ-ს, მსჯავრდებულ თ. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ბ-ა და ლ. ხ-ს, მსჯავრდებულ გ. ქ-ს, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ს-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. ა. უ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 26 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების საფუძველზე გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. ა. უ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. ა. უ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 10 სექტემბრიდან 2015 წლის 27 მაისის ჩათვლით. იგი დაპატიმრებისთანავე მოთავსებულ იქნეს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში და სასჯელის ვადის ათვლა დაენწყოს დაპატიმრების მომენტიდან.

6. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

7. გ. რ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქარ-



თველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 26 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების საფუძველზე გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. გ. რ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

9. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 (ხუთი) წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

10. დ. ქ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. დ. ქ-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 10 სექტემბრიდან 2015 წლის 27 მაისის ჩათვლით. იგი დაპატიმრებისთანავე მოთავსებულ იქნეს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში და სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაპატიმრების მომენტიდან.

12. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო)

დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

13. გ. ქ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

14. გ. გ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 13 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გ-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

15. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საქმიანობის ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

16. თ. კ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 223'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 11 სექტემბრიდან.

17. გ. ქ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 223'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 223'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზო-

მად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ქ-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

18. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექცენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

19. ვ. ბ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

20. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექცენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

21. ლ. ჩ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის

223<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ჩ-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 10 სექტემბრიდან.

22. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 10 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექცენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

23. ნივთიერი მტკიცებულებები: მსჯავრდებულების კუთვნილი მობილური ტელეფონები, სიმბარათები, კომპიუტერის პროცესორი, პორტატული კომპიუტერები (ე.წ. „ნოუთბუქები“), ID ბარათი, ID ბარათის ასლი, სასიგნალო პისტოლეტი დაუბრუნდეს მათი მესაკუთრეების ნდობით აღჭურვილ პირებს; ლაზერული, CD და DVD დისკები, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, მისი საქმის შენახვის ვადით; ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები და ვაზნები გადაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, მათი შემდგომი განკარგვის მიზნით, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

24. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

25. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სატრანსპორტო დანაშაული**  
**ავტომობილის უსაფრთხოების წესის დარღვევა,**  
**რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება**  
**და ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა**

**განაჩენი**  
**საქართველოს სახელით**

№505აპ-15

15 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე

განიხილა რ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განაჩენით რ. ჭ-ე, – ნასამართლობის არმქონე, – დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ავტომობილის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალების მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2013 წლის 24 ოქტომბერს, 11.28 საათზე, ზუგდიდში, ... ქუჩაზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ... მიმართულებით მოძრავ ავტომანქანას მართავდა რ. ჭ-ე. ამავე დროს ... ქუჩიდან ... ქუჩის მიმართულებით მოძრავ ავტომანქანას მართავდა ზ. რ-ე. რ. ჭ-მ დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რომლის შედეგად ... და ... ქუჩების მიმართულებით გამავალ თანაბარმნიშვნელოვან გზებზე არსებულ, საგზაო ნიშნებით არარეგულირებულ გზაჯვარედინზე მოძრაობისას არ დაუთმო გზა მისი მიმართულებით მარჯვენა მხრიდან მოძრავ ზ. რ-ს ავტომანქანას და შეეჯახა მას, რის შედეგადაც სხეულის მძიმე დაზიანება მი-

ილო ზ. რ-ს მგზავრმა ა. ჩ-მა, ხოლო მძლოლი ზ. რ-ე და ქვეითი ბ. ს-ა გარდაიცვალნენ.

3. აღნიშნული ქმედებისათვის რ. ჭ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი და 3 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. გ-მ, რომელმაც ითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განაჩენის გაუქმება და რ. ჭ-ს გამართლება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებული რ. ჭ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატა განაჩენის დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ ბრალდების ფორმულირებას, მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ განიხილა და არ შეაფასა; სასამართლომ არც ერთი ეჭვი არ გამართა რ. ჭ-ს სასარგებლოდ, არ გამოიკვლია არსებითი ხასიათის ისეთი გარემოებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება; გაიზიარა მხოლოდ ბრალდების ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები, რითიც, ფაქტობრივად, უარი თქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე და მსჯავრდებულს წაართვა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

7. კასატორის მითითებით ერთადერთი მტკიცებულება, რითიც დადგინდა რ. ჭ-ს ბრალეულობა, არის ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც, კასატორის აზრით, შედგენილია არაობიექტურად, ზერელედ არის აღწერილი და ზოგჯერ დამახინჯებულია ფაქტები, ცალმხრივადაა გამოყენებული საქმის მასალები, რომლებიც მიმართულია მხოლოდ რ. ჭ-ს ბრალდების დასადასტურებლად; მოწმედ დაკითხულმა ექსპერტებმა ცალსახად აღიარეს, რომ, თუ ავტომანქანა დასახლებულ პუნქტში მოძრაობს 100 კმ/სთ სიჩქარით, ეს დარღვევაა, ასევე დაადასტურეს, რომ გზაჯვარედინზე გაუჩერებლად გავლა აკრძალულია და რომ ... ქუჩიდან მომავალი მძლოლი, თუ უნდოდა ... ქუჩაზე გავლა, პირდაპირ ვერ წავიდოდა, უნდა შეესრულებინა გარკვეული მანევრი მარჯვნივ მოძრაობით; სასამართლომ არ გამოიყენა და არ შეაფასა ექსპერტთა ჩვენებები და ზ. რ-ს

ქმედება; სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ, თუ ზ. რ-ე იმოძრაებდა დასაშვები – 60 კმ/სთ სიჩქარით, არ მოხდებოდა ძლიერი შეჯახება და არ დადგებოდა ასეთი სავალალო შედეგი. არავინ დაინტერესებულა, გზაჯვარედინზე შემოსვლამდე, ... ქუჩაზე იდგა თუ არა საგზაო ნიშნები. ექსპერტი არ დაინტერესდა, ესტაკადის დასაწყისში არსებული საგზაო ნიშანი 5.20.1 თეთრ ფონზე რას ნიშნავდა და რა უპირატესობას აძლევდა რ. ჭ-ს.

8. საჩივრის ავტორის აზრით, მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, ე.ი. მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო; ნიშანი „სდექ“ დადგეს ... ქუჩაზე, ანუ ზ. რ-ს სამოძრაო მონაკვეთზე. საქმეში არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაარწმუნებდა ობიექტურ პირს რ. ჭ-ს ბრალეულობაში.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული რ. ჭ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს რ. ჭ-ს მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის თაობაზე, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება რ. ჭ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

2. 2013 წლის 24 ოქტომბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მასზე თანდართული სქემითა და ფოტოსურათებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე და წარმოადგენს ასფალტირებულ გზაჯვარედინს. ... და ... ქუჩები განკუთვნილია ორმხრივი მოძრაობისთვის. შემთხვევის ადგილზე საგზაო ნიშნები, „სდექ“ ხაზი, მთავარი გზის, ან გზის დათმობის, არ შეინიშნება. ... ქუჩაზე №...-ე სახლთან დგას თეთრი „მერსედეს

სპრინტერის“ მარკის მიკროავტობუსი, ხოლო მისგან ჩრდილოეთით, 5,6 მეტრის მოშორებით „მიცუბისის“ მარკის ავტომობილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებული გარემოებები და ოქმის, ასევე მასზე თანდართული სქემის შედგენა დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პატრულ- ინსპექტორებმა დ. ვ-მ, ი. ჯ-მ და ი. ჭ-მ, რომლებმაც ასევე განმარტეს, რომ შემთხვევის ადგილზე საგზაო ნიშნები, მათ შორის „სდექ“ ხაზი, ან მთავარი გზის, ან დათმობის, არ იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი გზაჯვარედინი ითვლება თანაბარმნიშვნელოვნად და მარჯვნიდან მოახლოებულ სატრანსპორტო საშუალებას უნდა დაუთმონ გზა. დასახელებული საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა და მისი შედეგები ასევე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტ-კრიმინალისტებმა – ი. ჯ-მ და ზ. გ-მ.

3. შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 23 იანვრის ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ კ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული გზაჯვარედინი წარმოადგენს თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთას და არის არარეგულირებადი გზაჯვარედინი, სადაც გავლისას, თანახმად „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონისა, მძღოლი გზას უთმობს მარჯვნიდან მოახლოებულ სატრანსპორტო საშუალებას, რის გამოც მძღოლ რ. ჭ-ს შეეძლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აცილება.

4. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2014 წლის 11 ივლისის დასკვნითა და ექსპერტ დ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მოცემულ საგზაო სიტუაციაში, გზაჯვარედინზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებიდან გავლის უპირატესობით სარგებლობდა შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „მიცუბისის“ მძღოლი ზ. რ-ე და მასზე არ იყო დამოკიდებული მოცემული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება, მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება დამოკიდებული იყო „მერსედეს ბენცის“ მძღოლ რ. ჭ-ს მოქმედებაზე და თუ იგი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად იმოქმედებდა, მოცემული შემთხვევა გამორიცხული იქნებოდა.

5. კასატორი აპელირებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამ-



გებლის მოვალეობის შემსრულებელ ე. თ-ს 2014 წლის 24 თებერვლის №... მიმართვაზე, საიდანაც ირკვევა, რომ ... ქუჩით გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზა საერთაშორისო მნიშვნელობისაა და წარმოადგენს მთავარ გზას. ... ქუჩით გამავალი საავტომობილო გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ... ქუჩასთან მიმართებით წარმოადგენს მეორეხარისხოვანს. ... და ... ქუჩების გადაკვეთის გზაჯვარედინი 2013 წლის 15 ოქტომბრამდე რეგულირდებოდა შესაბამისი საგზაო ნიშნებით, კერძოდ: ... ქუჩის დასაწყისში დამონტაჟებული იყო საგზაო ნიშანი 2.4 „დაუთმე გზა“, დამატებითი დაფით „ვიდეო-კონტროლი“, რომლებიც დაუდგენელი მიზეზით დაზიანებული და დემონტირებულია.

6. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამავე მიმართვიდან ირკვევა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დღეს, 2013 წლის 24 ოქტომბერს, ზემოაღნიშნული ქუჩების გადაკვეთა არ რეგულირდებოდა შესაბამისი საგზაო ნიშნებით. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ აღნიშნული წერილით დასტურდება, რომ იგი მოძრაობდა მთავარ გზაზე, და, შესაბამისად სარგებლობდა გავლის უპირატესობით, ვინაიდან „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის თანხმად, მთავარ გზად ითვლება 2.1, 2.3.1, 2.3.2, 2.3.3 ან 5.1 საგზაო ნიშნით აღნიშნული გზა გადასაკვეთ – (მიერთებულ) გზასთან შედარებით, ან გზა – მიმდებარე ტერიტორიიდან გამომავალ გამოსასვლელთან შედარებით, ან მკვრივსაფარიანი გზა -გრუნტოვანთან შედარებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

7. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მძღოლი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულია, იმოძრაოს იმ ნიშნების შესაბამისად, რომლებიც იმ კონკრეტულ შემთხვევაში არეგულირებს საგზაო მოძრაობის წესებს, როდესაც იგი გადაადგილდება და არა რაიმე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

8. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ მძღოლი ზ. რ-ე მოძრაობდა 100 კმ/სთ სიჩქარით და მას დასაშვები სიჩქარით რომ ემოძრავა, არ მოხდებოდა ძლიერი შეჯახება და არ დადგებოდა ასეთი სავალალო შედეგი, ვინაიდან საქმის მასალებით არ არის დადგენილი თუ რა სიჩქარით მოძრაობდა ზ. რ-ე. მეტიც, ექსპერტმა დ. გ-მა ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ წარმოდგენილი ვიდეომასალიდან აშკარად ჩანდა, რომ რ. ჭ-ე ზ. რ-ზე გაცილებით დიდი სიჩქარით მოძრაობდა.

9. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის

მოსაზრებას მისი უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით გამოკვლეულ უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას.

10. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის პროცენი**  
**მტკიცებულებანი და მტკიცების საბანი**  
**პრეიუდიციის უარყოფა**

**განჩინება**  
**საქართველოს სახელით**

№273აპ-15

30 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ზ. მეიშვილი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
მ. ოშხარელი**

1. ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვალი) 113-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საკითხი გამართლებულ ლ. ჭ-სა და მსჯავრდებულების – დ. გ-ის, დ. ბ-ის, თ. კ-ასა და ლ. კ-ის სისხლის სამართლის საქმეებზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის განჩინით დამტკიცდა პროკურორ ი. შ-სა და ლ. კ-ეს, დ. ბ-ეს, თ. კ-ასა და დ. გ-ეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმებები.

ლ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საარბიტრაჟო საქმიანობის უფლება. დ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 2000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დ. ბ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი და თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. თ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯა-

რიმა 10000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, თ. კ-ას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი და თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. დ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით, 7 თვითა და 20 დღით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 25,381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 10000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დ. გ-ეს სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი და თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 7 თვითა და 20 დღით. სსკ-ის 59-ე და 67-ე მუხლების თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით, 4 თვითა და 6 დღით თავისუფლების აღკვეთა და დ. გ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი და 4 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ხოლო და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით ლ. ჭ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

4. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით დაზარალებულ სს „ბაზისბანკის“ წარმომადგენლის – ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვალი) 113-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გამოთხოვილ იქნა ლ. კ-ის, დ. ბ-ის, თ. კ-ასა და დ. გ-ის სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2010 წლის 2 მარტს გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი (საპროცესო შეთანხმებით).

7. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და

## ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვალი) 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადაწყვეტილებამ ან დადგენილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში გამოძიებულსა და პროკურორს უფლება აქვთ უარყონ პრეიუდიცია და საქმე გადასცენ სასამართლოს თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე. სასამართლოს, რომელიც შინაგანი რწმენით შეაფასებს მტკიცებულებებს, უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება პრეიუდიციის მიუხედავად. ასეთი განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე საქმესთან ერთად იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც გამოითხოვს იმ საქმეს, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობაც უარყოფილია, და იმ მტკიცებულების შეფასების შემდეგ, რომელიც საფუძველად უდევს ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს, აუქმებს ან ცვლის ერთ მათგანს და ძალაში ტოვებს მეორეს.

2. მოცემულ შემთხვევაში ლ. ჭ-ის სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 5 იანვარს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი (ძალაში დარჩა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში) და ამ საქმეზე უარყოფილ იქნა პრეიუდიცია – ლ. კ-ის, დ. ბ-ის, თ. კ-ასა და დ. გ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტს გამოტანილი განაჩენი.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ბ-ეს, თ. კ-ასა და დ. გ-ეს მსჯავრი დაედოთ სსკ-ის 180-ე მუხლით – თაღლითობისათვის. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს ამ დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ დ. ბ-მ, თ. კ-ამ და დ. გ-ემ დანაშაული ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ლ. ჭ-სთან ერთად, და ეს იმ პირობებში, როდესაც ლ. ჭ-ის სისხლის სამართლის საქმე ამ დროისათვის არ იყო განხილული და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი გა-

ნაჩენით, არ დასტურდებოდა მის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა. საწინააღმდეგოდ, მოგვიანებით, ლ. ქ-ის მიმართ 2015 წლის 5 იანვარს გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკსაცო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება და უნდა ამოირიცხოს მითითება ლ. ქ-ზე, როგორც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის ჩამდენ ერთ-ერთ პირზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

4. საკსაცო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ცვლილება შევიდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 მარტის განაჩენში, რომლის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება ლ. ქ-ზე, როგორც თაღლითობის ჩამდენ პირზე.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკასაციო განაჩენი

### გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

#### განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს სახელით

№294აპ-15

30 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ რ. ა-ს ინტერესების დამცველის,  
ადვოკატ თ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სა-  
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის  
28 აპრილის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომ-  
ბრის განაჩენით რ. ა-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ  
იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-  
ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ  
იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნა-  
წილით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბ-  
რძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც  
გამოიხატა შემდეგში:

2. რ. ა-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინა-  
აღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – 126 ცალი ვაზნა, ორი  
ქარხნული წესით დამზადებული „□ -1“ ტიპის ხელის მსხვრევა-  
დი ყუმბარა და ქარხნული წესით დამზადებული „□□□□“ ტი-  
პის ხელის მსხვრევადი საბრძოლო ფალია. მან ასევე მართლსა-  
წინააღმდეგოდ შეიძინა კუსტარული წესით გადაკეთებული,  
1943 წლის, 7,62 მმ კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, რომე-  
ლიც თავდაპირველად წარმოადგენდა ქარხნული წესით დამ-  
ზადებულ, 1947 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრიან „კალაშნიკო-  
ვის“ კონსტრუქციის ავტომატის „□□□“ სასწავლო ნიმუშს. ცეც-  
ხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა რ. ა-მა მართლსაწი-  
ნააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში, მდებარე

საგარეჯოს რაიონის სოფელ ...ში, საიდანაც ამოიღეს 2014 წლის 21 იანვარს, ჩხრეკის დროს.

3. აღნიშნული ქმედებისათვის რ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 21 იანვრიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ა-მა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ რ. ა-ს კუთვნილებად ჩათვალა მისი მამის – ა. ა-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული იარაღი; არ დაუკითხავთ ამ სახლში მცხოვრები ა. ა-ი და მისი მეორე შვილი – მ. ა-ი იმის გასარკვევად, იქნებ, ეს იარაღი რომელიმე მათგანის იყო; ამოღებულ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე არ ჩატარებულა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა თითის ანაბეჭდების აღმოჩენის მიზნით.

7. ადვოკატის აზრით, რ. ა-ს დაკავებისას და ჩხრეკის ჩატარებისას დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნები.

8. გარდა ამისა, რ. ა-ი დააკავეს ჩხრეკის დაწყებამდე, ხოლო დაკავების ოქმში მიუთითეს, რომ ჩხრეკის ჩატარების შემდეგაა დაკავებული; ჩხრეკის დაწყებამდე პოლიციელებმა გარეთ გაიყვანეს სახლში მყოფი ყველა პირი, ჩადეს საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღი, ა-ს ოჯახის წევრები ისევ დააბრუნეს და ამის შემდეგ ჩაატარეს ჩხრეკა-ამოღება.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. გ-ი ითხოვს რ. ა-ს მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა თ. გ-მა ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, მასში მითითებული მოტივებით.

11. პროკურორი კ. ს-ი არ დაეთანხმა კასატორის პოზიციას და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას რ. ა-ს ბრალეულობის თაობაზე, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა რ. ა-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტს, კერძოდ:

3. საკასაციო პალატას საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით: მოწმეების – ბ. რ-ს, გ. ბ-ს, ი. შ-ს, ა. რ-ს ჩვენებებითა და რ. ა-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის ოქმით დადასტურებულად მიაჩნია, რომ რ. ა-ს საცხოვრებელი სახლიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მასზე მორგებული ერთი მჭიდით, რომელშიც მოთავსებული იყო 30 ვაზნა, ასევე – ორი ხელყუმბარა, ორი ფალია, ორი ცარიელი მჭიდი და ხუთი მუყაოს კოლოფი, რომელშიც იდო 96 ვაზნა.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას დაკავებისა და ჩხრეკის დროს კანონის დარღვევის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ დადასტურდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების არსებითი დარღვევის ფაქტი.

5. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება, რომ ბრალდების მხარეს უნდა მოეპოვებინა მტკიცებულებები, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავად დაეკითხა საკასაციო საჩივარში მითითებული მოწმეები და ჩაეტარებინა ექსპერტიზა.

6. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმ ნაწილში, რომ გამოძიებამ უტყუარად ვერ დაადგინა, თუ ვის ეკუთვნოდა რ. ა-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, კერძოდ:

7. სასამართლო სხდომაზე მოწმე მ. ქ-მ აჩვენა, რომ სახლი, საიდანაც ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, ეკუთვნის მის მე-

უღლეს – ა. ა-ს, რომელიც ცხოვრობს ხსენებულ სახლში თავის პირველ ცოლთან, მეორე ცოლთან – მ. ქ-სთან, შვილებთან – რ. და მ. ა-ებთან და უმცროს, 4 წლის გოგონასთან ერთად. მისივე განმარტებით, მ. ა-ი (რ. ა-ს ძმას) იმ ოთახში იძინებდა ხოლმე, საიდანაც ამოიღეს იარაღი და საბრძოლო მასალა.

8. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა სა-სამართლო სხდომაზე მონმე ა. ბ-მა.

9. ბრალდებულმა რ. ა-მა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ აღნიშნულ სახლში მის გარდა ცხოვრობენ მისი მამა – ა. ა-ი ცოლებთან ერთად, ძმა – მ. ა-ი და უმცროსი და. ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა არ არის მისი და მიაჩნია, რომ ისინი პოლიციელებმა ჩაუდეს.

10. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალდების მხარემ კი ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამოღებული იარაღი შეიძინა და შეინახა რ. ა-მა. ბრალდების მხარემ ასევე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რაც სასამართლოს ეჭვს შეატანინებდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მონმეთა ჩვენებებში, რომ სახლში (სა-იდანაც ამოიღეს იარაღი და საბრძოლო მასალა) რ. ა-ს გარდა კიდევ სხვა პირებიც – მათ შორის მისი მამა და ძმა ცხოვრობდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნა რომ ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა შეიძინა და შეინახა რ. ა-მა, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. ა-ი უნდა გამართლდეს საქართველოს სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებული რ. ა-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.
3. გამართლებულ რ. ა-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა**

### **განაჩენი საქართველოს სახელმწიფო**

№453აპ-15

9 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ა. ჩ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ტ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განაჩენით ა. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის.

2. იმავე განაჩენით ა. ჩ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის.

3. განაჩენით მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 27 მაისს ა. ჩ-ი და ა. ჩ-რი თბილისში, ... ქუჩა №3-დან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლნენ შპს „...-ას“ კუთვნილ – 100 ლარად ღირებულ მაგიდას.

4. აღნიშნული ქმედებისათვის:

– ა. ჩ-ს სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით გაუქმდა ა. ჩ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის განაჩენითა და იმავე სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განჩინებით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის განაჩენითა და იმავე სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 3 თვე და მსჯავრდებულს საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

– ა. ჩ-რს სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 2 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწყებულებამდე მოხდით, ხოლო დარჩენილი – 2 წელი ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

5. მსჯავრდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა. მათ სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოთ დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 27 მაისიდან.

6. ნივთმტკიცებები – ერთი მაგიდა, სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადანყევტილების მიღების შემდეგ უნდა და-

უბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, ხოლო ორი დაქტილოფირი შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

7. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ჩ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. ტ-ემ.

8. მსჯავრდებულმა ა. ჩ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. ტ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერი წინასასამართლო სხდომაზე ცნობილ იქნა დაუშვებელ მტკიცებულებად, რის გამოც იგი საქმიდან ამოიღეს; ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმში არ არის ასახული პიროვნების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემები; მოპარულ მაგიდაზე არ აღმოჩნდა ა. ჩ-ის ანაბეჭდები; საქმეში მოთავსებულია მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება – ა. ჩ-ის ჩვენება, რომელმაც საბოლოო ჩვენება მისცა მხოლოდ მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

10. მსჯავრდებული ა. ჩ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ. ტ-ე საკასაციო საჩივრებით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში.

11. საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ბ. ტ-ემ ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილება მასში მითითებული მოტივებით, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ა. ჩ-ი.

12. პროკურორი ლ. ხ-ე არ დაეთანხმა კასატორების პოზიციას და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლოში საქმის განხილვისას ა. ჩ-მა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ 2014 წლის 27 მაისს ...-ის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ა. ჩ-რს, რომელსაც ხელში ეჭირა მაგიდა. ა. ჩ-ი დაინტერესდა, თუ საიდან ჰქონდა მას მაგიდა. ა. ჩ-რმა უპასუხა, რომ აჩუქეს და სურდა მისი მიყიდვა ყვავილების ბაზრობაზე თავისი ნაცნობისათვის. ა. ჩ-მა დაიჯერა მისი ნათქვამი, რის შემდეგაც მაგიდა ერთად მიიტანეს და 5 ლარად მიჰყიდეს ა-ის ნაცნობს.

3. ბრალდებულ ა. ჩ-რის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 27 მაისს ა. ჩ-თან ერთად თბილისში, ...-ის ქუჩიდან ფარულად დაეუფლა მაგიდას, რომელიც მეორე დღეს ერთად წაიღეს და 5 ლარად მიჰყიდეს მის ნაცნობ დ. დ-ს.

4. მოწმე – გამომძიებელ მ. ა-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 27 მაისს მან დაათვალიერა შპს „...-ას“ სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ა. ჩ-ი და ა. ჩ-რი იმყოფებიან შპს „...ას“ კუთვნილ ტერიტორიაზე, რა დროსაც ა. ჩ-რი ფარულად დაეუფლა მაგიდას და ა. ჩ-თან ერთად განაგრძო გზა.

5. 2014 წლის 27 მაისის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ გამომძიებელმა მ. ა-ემ ჩაატარა შპს „...-ას“ ადმინისტრატორის მიერ წარმოდგენილი DVD-R დისკის დათვალიერება. ჩანაწერში ჩანს ორი მამაკაცის კოორდინირებული მოძრაობა შპს „...-ას“ ტერასის მიმართულებით. ერთმანეთთან გასაუბრების შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი ფარულად ეუფლება მაგიდას, რის შემდეგაც ორივე ერთად განაგრძობს გზას.

6. მოწმე – დ. დ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 27 მაისს ა. ჩ-ისა და ა. ჩ-რისაგან 5 ლარად შეიძინა მაგიდა, რომელიც მათი განმარტებით იყო ნაჩუქარი. თანხა კი გადაუხადა ა. ჩ-ს.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ჩ-ის მიერ მაგიდის ქურდობის ჩადენის ფაქტი დასტურდება მხოლოდ ბრალდებულ – ა. ჩ-რის ჩვენებით. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ა. ჩ-ის მიერ დანაშაულის ჩადენას, საქმის მასალებში არ მოიპოვება. რაც შეეხება მოწმე მ. ა-ის ჩვენებასა და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმს, საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწი-

ლის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „...-ას“ სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი სასამართლომ ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად. შესაბამისად, საკასაციო პალატა მ. ა-ის ჩვენებასა და მის მიერ შედგენილ დავალიერების ოქმს ვერ მიიჩნევს ა. ჩ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად, რადგან ეს ინფორმაცია მოპოვებულია დაუშვებლად ცნობილი ვიდეოჩანაწერიდან (დისკებიდან). გარდა ამისა, ვიდეოჩანაწერის დავალიერების ოქმში გამოძიებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩანაწერში დაფიქსირებული პირების სახის ნაკვეთისა და ვიზუალის გარჩევა ძნელია, სავარაუდოდ, ისინი უნდა იყვნენ მამაკაცები.

8. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინაარსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ა. ჩ-ის დამნაშავედ ცნობისათვის მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ჩ-ი, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

## **დაადგინა:**

1. მსჯავრდებულ ა. ჩ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ტ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი ა. ჩ-ის მიმართ და იგი გამართლდეს.
3. ა. ჩ-ი გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
4. გამართლებულ ა. ჩ-ს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
5. ნივთმტკიცებები – ერთი მაგიდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, ხოლო ორი დაქტილოფირი შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.
6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გამამართლებელი განაჩენის დადგენა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გასაღების ნაწილში, მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობის გამო**

#### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№335აპ-15

16 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
**ზ. მეიშვილი (თავმჯდომარე),  
პ. სილაგაძე,  
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ო-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემ-



ბრის განაჩენით ჯ. ო-ი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 24 ივნისიდან.

ჯ. ო-ს 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება; ხოლო 10 წლის ვადით ჩამოერთვა: საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. ამავე განაჩენით საპროცესო შეთანხმებით მსჯავრი დაედო ი. გ-ეს. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 4 წელი საქართველოს სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი.

სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ი. გ-ეს სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 4 წელი სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ივნისის განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი – 1 წელი.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ირაკლი გ-ეს სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. გ-ეს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 4 წელი სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

3. ამავე განაჩენით გადაწყდა ნივთიერი მტკიცებულებების ბედი:

ჯ. ო-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული და ექსპერტიზის კვლევის შედეგად დარჩენილი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბების ნატეხები, წონით 0,75 გრამი, „ბუპრენორფინის“ შემცველი 1 აბის ნატეხი, წონით 0,37 გრამი, კანაფის თესლები – 0,25 გრამი და 1 შპრიცი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

ი. გ-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული და ექსპერტიზის კვლევის შედეგად დარჩენილი ნარკოტიკული საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველი აბების ნატეხები, წონით 0,92 გრამი და ერთი მთლიანი აბი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

ი. გ-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული „სამსუნგის“ და

„ალკატელის“ ფირმის ორი მობილური ტელეფონი და ორი სიმბარათი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

ჯ. ო-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ტყავის საფულე, ჯ. ო-ის პირადობის მოწმობა, ორი ცალი 20 ლარიანი კუპიურა, ხურდა ფული – 4 ლარი და 65 თეთრი, 4 სავიზიტო ბარათი, საქართველოს ბანკიდან გადარიცხვის ქვითრები, ბილანის 2 სიმბარათი გაუხსნელ მდგომარეობაში, 3 ბილანის სიმბარათი გახსნილ მდგომარეობაში და ბილანის 2 პატარა სიმბარათი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

ჯ. ო-ის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული „სამსუნგის“ და „ნოკიას“ ფირმის ორი მობილური ტელეფონი და ბილანის 2 სიმბარათი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

ჯ. ო-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 7 ცალი 100 ლარიანი და 6 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

ჯ. ო-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული ერთი ერთლიტრიანი პლასტმასის ქილა, რომელიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

შპს „მოზიტელის“ სათავო ოფისიდან გამოთხოვნილი ინფორმაცია 1 ცალ დისკზე, რომელიც ერთვის საქმეს, უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, მისი შენახვის ვადით.

4. განაჩენის მიხედვით, ჯ. ო-ს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვისა

და გასაღებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ო-მა უკანონოდ შეიძინა და ინახავდა 0.0514 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“. 2014 წლის 24 ივნისს ნარკოტიკული საშუალების ნაწილი - 0.0274 გრამის ოდენობით, გაასალა ი. გ-ზე, ნაწილს - 0.016 გრამის ოდენობით, ინახავდა ტანსაცმელში, ხოლო 0.008 გრამს - ქ. ბათუმში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის განაჩენი ჯ. ო-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა რ. ხ-მა. იგი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის ნაწილობრივ უკანონო და დაუსაბუთებელი; განაჩენში მოყვანილი გარემოებები არ ეფუძნება სასამართლო სხდომაზე განხილულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს; ჯ. ო-ს ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში უკანონოდ დაედო მსჯავრი; გამოძიება დაიწყო იმ ფაქტზე, რომ ი. გ-ეს დაუდგენელ პირზე უნდა გაესაღებინა ნარკოტიკული საშუალება, ამ შემთხვევაში კი პირიქით - ჯ. ო-ს შეერაცხა ბრალად ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება; ი. გ-ის სასამართლოში მიცემული ჩვენება, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება მას ჯ. ო-მა გადასცა, არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. იგი ვერ იხსენებს ზუსტად გადაცემული თანხისა და შეძენილი ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობას; ი. გ-ემ ჯ. ო-ის მამხილებელი ჩვენება გასაღების ნაწილში მისცა იმის გამო, რომ მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; სასამართლომ არასწორად შეაფასა ჯ. ო-ის სახლიდან თანხის ამოღების ფაქტი, რადგან იგი არ ემთხვევა ი. გ-ის მიერ მსჯავრდებულისთვის სავარაუდოდ გადახდილი თანხის ოდენობას; საქმეში არ მოიპოვება არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მტკიცებულება, რომლებიც უტყუარად დაადასტურებს ჯ. ო-ის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას. სანინა-აღმდეგოდ, ი. გ-ემ გადასცა ნარკოტიკული საშუალება ჯ. ო-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ცვლილების შეტანას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში, ჯ. ო-ის გამართლებას ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში, სასჯელის შემსუბუქებას და სასჯელის ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯ. ო-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა დიდი ოდენობით, დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, საკმარისი, უტყუარი და შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით – მოწმეთა ჩვენებებით, ჩხეკის ოქმებითა და ექსპერტიზის დასკვნებით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ჯ. ო-ის მიმართ განაჩენით ამ ნაწილში შერაცხული ბრალდება. ამასთან, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ნაწილში მსჯავრდებას სადავოდ არ ხდის არც დაცვის მხარე.

3. რაც შეეხება ჯ. ო-ის მსჯავრდებას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებდა ჯ. ო-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტს, კერძოდ:

4. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლო ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტის დადასტურებისას დაეყრდნო მსჯავრდებულ ი.გ-ის ჩვენებას, რომელმაც მიუთითა, რომ ნარკოტიკული საშუალება შეიძინა ჯ. ო-საგან; შემავალი და გამავალი ზარების დეტალურ ნუსხას, რომლითაც დასტურდება, რომ ბრალდებულები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს; ი. გ-ისა და ჯ. ო-ის პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ისინი ერთად დააკავეს და ამოულეს ერთი სახეობის ნარკოტიკული საშუალება; ასევე იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ჯ. ო-ის სახლიდან ამოიღეს ფულადი თანხა – 700 ლარისა და 600 აშშ დოლარის ოდენობით.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ნუსხა არ წარმოადგენს იმგვარი ხასიათის მტკიცებულებას, რომლითაც ობიექტურად შესაძლებელია კომუნიკაციის მხარეებს შორის არსებული საუბრის შინაარსობრივი მხარის გარკვევა. იგი ადასტურებს მხოლოდ ი. გ-სა და ჯ. ო-ს შორის სატელეფონო კავშირს (შინაარსი უცნობია) და შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე იმ ფაქტის

დადგენა, რომ ჯ. ო-მა ი. გ-ზე გაასალა ნარკოტიკული საშუალება, ობიექტურად შეუძლებელია. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბრალდებულები ერთად დააკავეს, თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ რომელიმე ბრალდებულმა მეორეს გადასცა ნარკოტიკული საშუალება. აღნიშნული წარმოადგენს ვარაუდს, რომელიც უნდა დადასტურდეს სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. ამასთან, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან ფულადი თანხის ამოღება, ასევე ი. გ-ის პირადი ჩხრეკისას და ჯ. ო-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ერთი სახეობის („ბუპრენორფინი“) ნარკოტიკული საშუალების ამოღება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტის დასადაგენად უტყუარ მტკიცებულებად. რაც შეეხება ი. გ-ის ჩვენებას, რომელიც მიუთითებს, რომ ნარკოტიკული საშუალება შეიძინა ჯ. ო-საგან, ის წარმოადგენს ერთადერთ პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებას, რომელიც არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. აღსანიშნავია, რომ 24.06.2014 წლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათსა და პატაკში მითითებულია, რომ ი. გ-ე ინახავს უკანონოდ შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც უნდა გადასცეს უცნობ პირს. ამ ინფორმაციას პოლიციელებიც ადასტურებდნენ მოწმის სახით დაკითხვისას. აღნიშნული გარემოება კიდევ უფორ მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ ჯ. ო-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების ი. გ-ზე გასაღების ფაქტი, ბრალდებულ ი. გ-ის ჩვენების გარდა, საჭიროებს სხვა უტყუარი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას, რაც საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

6. საქართველოს სსკ-ის 13-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა ჯ. ო-ის მიერ ი. გ-ზე ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის №736აპ განჩინება; 2013 წლის 28 ივნისის 40აპ-132 განაჩენი) და განმარტებულია, რომ მხოლოდ ერთი მოწმის (მეორე მსჯავრდებულის) ჩვენება არ არის საკმარისი მტკიცებულება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქ-

ტის დასადასტურებლად და გამამტყუნებელი განაჩენის გამო-სატანად.

7. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯ. ო-ი უდანა-შაულოდ უნდა იქნეს ცნობილი და გამართლდეს დიდი ოდენო-ბით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში. შესაბამი-სად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრი-ლის განაჩენი უნდა შეიცვალოს: ჯ. ო-ი ცნობილ უნდა იქნეს უდა-ნაშაულოდ და გამართლდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში.

8. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯ. ო-ის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისობაში უნდა მო-ვიდეს სსკ-ის 260-ე მუხლის ახალ რედაქციასთან, შემდეგ გა-რემოებათა გამო:

9. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-მად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედე-ბის დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძა-ლა“. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივრით მოთხოვნილია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათ-ვალისწინებული სასჯელის მინიმუმი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილების მხედ-ველობაში მიღებით, ვინაიდან 2015 წლის 8 ივლისის კანონით ცვლილება შევიდა სსკ-ის 260-ე მუხლში, რითაც შემსუბუქდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვი-სათვის სანქციით გათვალისწინებული სასჯელი – შეიცვალა და-ნაშაულის კატეგორია, ჯ. ო-ის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სსკ-ის 260-ე მუხ-ლის ახალ რედაქციასთან და, შესაბამისად, ახალი სანქციის ფარგლებში უნდა განესაზღვროს მას სამართლიანი სასჯელი, კერძოდ:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სა-სამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განაჩენი უნდა შეიცვალოს და ჯ. ო-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 260-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუა-ლების შექენა-შენახვა – უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისი-დან მოქმედი რედაქცია). ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, სიმ-

ძიმის, საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, ჯ. ო-ს სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ჯ. ო-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განაჩენში:

ჯ. ო-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში.

მსჯავრდებულ ჯ. ო-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია) და მას სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. მსჯავრდებულ ჯ. ო-ს სასჯელის ვადა აეთვალოს 2014 წლის 24 ივნისიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის უფლებების ჩამორთმევისა და ნივთმტკიცების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის  
ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№510აპ-15

17 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ზ. შეიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ  
მერაბ ტყეშელაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2015 წლის 9 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენით:

- თ. ს-ია, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში,  
რომ ჩაიდინა სხვაგვარი ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარა-  
ლებულის ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის  
120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული  
ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 3 თებერვალს, დაახ-  
ლოებით 19:00 საათზე, ქ. ნ...ში, ...ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვ-  
რებელ სახლში, თ. ს-ამ ხელი დაარტყა ნ. ჩ-ე-შ-ეს, რის შედეგად  
ნ. ჩ-ე-შ-ემ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯან-  
მრთელობის მოუშლელად. ამ ქმედებისათვის თ. ს-ა ცნობილ იქ-  
ნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
125-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა ჯარიმა – 500  
ლარი;

- ნ. ჩ-ე-შ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სის-  
ხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით  
იმაში, რომ ჩაიდინა სხვაგვარი ძალადობა, რამაც გამოიწვია და-  
ზარალებულის ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კო-  
დექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნუ-  
ლი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 3 თებერვალს, და-

ახლოებით 19:00 საათზე, ქ. ნ...ში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ნ. ჩ-ე-შ-ემ ხელი დაარტყა თ. ს-ას, რის შედეგად თ. ს-ამ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ამ ქმედებისათვის ნ. ჩ-ე-შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ს-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მისი უდანაშაულოდ ცნობა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი თ. ს-ას მიმართ, იგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მასვე განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ. ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენი ნ. ჩ-ე-შ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – მ. ტ-მა, რომელმაც მოითხოვა თ. ს-ას მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, თ. ს-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქ-

ტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან – პრეიუდიცია.

3. მოცემულ საქმეზე გამართულ წინა სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე და დაცვის მხარე შეთანხმდნენ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და ამ მტკიცებულებებით დადასტურებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. აღნიშნული მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი საქმის არსებით განხილვაზე და ამ მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია.

4. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.

5. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მტკიცებულებები არ გამოკვლეულა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე იქნა მიღებული, როგორც პრეიუდიცია.

6. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს თ. ს-ამ ფაქტობრივად თავი დამნაშავედ ცნო მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ თ. ს-ამ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის გამამართლებელი განაჩენი თ. ს-ს მიმართ უნდა გაუქმდეს და მის მიმართ დადგენილ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი. თ. ს-ია ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

## დაადგინა:

1. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის გამამართლებელი განაჩენი თ. ს-ას მიმართ და მის მიმართ დადგენილ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი.
3. თ. ს-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვროს ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
4. ჯარიმის გადახდაზე კონტროლი დაევალოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის სააღსრულებო ბიუროს.
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის წესი**

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება  
სააპელაციო სასამართლოსთვის საქართველოს  
სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით  
დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№55აგ-15

1 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. შ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განაჩენით რ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ (დაუსწრებლად) საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 4.000 ლარი.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. 2015 წლის 11 მაისს მსჯავრდებულ რ. ჩ-ის ადვოკატმა ი. შ-ემ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განაჩენის (რომელიც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის განაჩენით) საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ და „ზ“ პუნქტებით გადასინჯვის თაობაზე იმ გარემოებებზე მითითებით, რომ 2006 წლის „...-ის“ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 14 ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ნ. კ-ეს. ადვოკატმა შუამდგომლობას დაურთო ასევე რ. მ-ის, ქ. უ-ისა და ნ. კ-ის 2015 წლის 5 მაისის გამოკითხვის ოქმები და სხვა მტკიცებულებები, კერძოდ: ე. ჯ-ის მიერ აჭარის უმაღლეს სასამართლოში შეტანილი სამოქალაქო სარჩელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება, 2005 წლის 3 მარტის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 7 მაისს და 2005 წლის 31 იანვარს გაცემული ცნობები, რომლებიც ადასტურებს, რომ ე. ჯ-ის სახელზე არასოდეს ყოფილა რეგისტრირებული შპს „...-ო“ და სპს „...-ა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1997–1998 წლებში და არც მას შემდეგ ოქროს ნივთები არ ყოფილა მის გამგებლობაში და შუამდგომლობის ავტორის მითითებით, განაჩენი დაფუძნებულია ე.ნ. დაზარალებულ ე. ჯ-ის ურთიერთსანინააღმდეგო და არსებითად განსხვავებულ, არადაამაჯერებელ ჩვენებებზე, რომლებიც გამყარებულია ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ირიბი მტკიცებულებებით და რომლებიც ასევე ეწინააღმდეგება დაზარალებულ ე. ჯ-ის ჩვენებებს. ამდენად, რ. ჩ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას არ არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტი, რაც გახდა კიდევ უკანონო გადანაცვტილების მიღების საფუძველი.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებად მიუთითებს „...-ის“ 2006 წლის 3 ოქტომბრის №... დასკვნასა (რომლის თანახმად, 14 ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ნ. კ-ეს) და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ ირიბ მტკი-

ცებულებებზე, რომელთა საფუძველზეც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ რ. ჩ-ის ადვოკატის – ი. შ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა ი. შ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის უკანონო განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ და „ზ“ პუნქტებით შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასანყვეტად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონაშობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ

საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საქმის მასალებით ცნობილია, რომ კასატორი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას ითხოვს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ და „ზ“ პუნქტების საფუძველზე, შესაბამისად, შუამდგომლობა ემყარება განაჩენის გადასინჯვის ორ სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს.

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის მცდელობა, ბრალდება გაექარწყლებინა მათ მიერ წარმოდგენილი „...-ის“ 2006 წლის 3 ოქტომბრის №... ექსპერტიზის დასკვნით (რომლის ჩატარება დაცვის მხარეს უფრო ადრეც შეეძლო), ვერ იქნება მიჩნეული ისეთ ახალ მტკიცებულებად, რომელიც განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდება.

შუამდგომლობაში მითითებულ, 2015 წლის 26 აპრილის – რ. მ-ის, 2015 წლის 5 მაისის – ქ. უ-ისა და ნ. კ-ის გამოკითხვის ოქ-



მებთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ განაჩენის მიხედვით, რ. ჩ-ის მიმართ შერაცხული დანაშაულის ჩადენა, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დადგენილია აღნიშნულ მონმეთა ჩვენებებით. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ არის დადგენილი, რომ მათ მიერ მიცემული ჩვენებები ყალბია ან კანონის დარღვევით არის მოპოვებული, რაც სსსკ-ის 310-ე მუხლის თანახმად, ამ საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის აუცილებელი წინაპირობაა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორმა ვერ წარმოადგინა რაიმე ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

4. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმებისა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ პუნქტით განაჩენის გადასასინჯად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლოს ამაზე საერთოდ არ უმსჯელია.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, გარდა სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ პუნქტისა, სამართლებრივად სწორად შეაფასა.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და საქმე უნდა დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ პუნქტით რ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. შ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკაცაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ რ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. შ-ის საკაცაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ნაწილობრივ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინება და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ პუნქტით მსჯავრდებულ რ. ჩ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. შ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და შუამდგომლობის განსასილველად  
დაშვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№52აგ-15

7 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. დ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 იანვრის განაჩენით მ. დ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლითა და 6 თვით, ხოლო 108-ე მუხლით – 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2011 წლის 8 მაისიდან.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ მ. დ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 2 წლით, 7 თვითა და 15 დღით, ხოლო 108-ე მუხლით – 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; დანაშაულთა ერ-

თობლიობით მ. დ-ს საბოლოოდ მოსახდელად დარჩა 12 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2011 წლის 8 მაისიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის განჩინებით შეიცვალა: მ. დ-ა თავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; მასვე საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა მ. დ-მ და მისმა ადვოკატმა თ. გ-მ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ. შუამდგომლობაში ისინი აღნიშნავენ, რომ გამოძიებისას მ. დ-საგან აღიარებითი ჩვენება მოიპოვეს ფიზიკური და ფსიქიკური იძულების შედეგად; მან სასამართლოში საქმის განხილვის დროს დააყენა არაერთი შუამდგომლობა წამების გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ, თუმცა სასამართლომ ისინი არ განიხილა და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი; გარდა ამისა, არ არსებობს პირდაპირი მონმე, ხოლო აღნიშნული ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, რაც წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას და მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის საფუძველია; მსჯავრდებულის განმარტებით, მის საქმეში რჩება მხოლოდ უკანონო პროცედურებით მოპოვებული ე.წ. „ექსპერიმენტის“ ოქმი, რომელიც საკმარისობის პრინციპითაც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განჩინებით მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული მ. დ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განჩინების გაუქმებას, შუამდგომლობის განხილვას, განაჩენის გადასინჯვას და ობიექტური ქმედებების დადგენის შემდეგ – უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანა-

ლიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული მ. დ-ა მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად, სხვა საფუძვლებთან ერთად, მიუთითებს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული საფუძველი წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ მ. დ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით და მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი, შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადასასინჯი განაჩენი. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ირიბი ჩვენებების გაუზიარებლობის შემთხვევაში საკმარისია თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს მხოლოდ შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. დ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის შესახებ იყო დასაბუთებული, რის გა-

მოცუნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განჩინება მსჯავრდებულ მ. დ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და შუამდგომლობა დაშვებულ იქნეს განსახილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განჩინება მსჯავრდებულ მ. დ-ს მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად  
დაშვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№74აგ-15

22 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
გ. შავლიაშვილი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენით:

ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ს. კ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა 2014 წლის 16 მაისს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ს. კ-ს (ზემდგომი პროკურორის გ. ვ-ს თანხმობით), ბრალდებულ შ. ბ-ა და ადვოკატ ზ. მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

შ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ორი ეპიზოდი).

საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2013 წლის 27 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), (2013 წლის 6 დეკემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 141-ე მუხლით (2014 წლის 11 იანვრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ძირითადი სასჯელიდან ნაწილი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – განესაზღვრა სასჯელაღსრულების შესაბამის დანესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების გამოყენებით, პირობით არ იქნა გამოყენებული, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ შ. ბ-ს დანაშაულთა ერთობლიობით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების შესაბამის დანესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე–64-ე მუხლების გამოყენებით, პირობით არ იქნა გამოყენებული, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 12 იანვრიდან.

2015 წლის 1 ივლისს მსჯავრდებულმა შ. ბ-ა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და მიუთითა, რომ მისი ბრალდების საქმის განხილვის დროს დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კოდექსების მოთხოვნები, ასევე საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, კერძოდ: მსჯავრდებულის განმარტებით, მას მოტყუ-

ებით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. შუამდგომლობის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორივე ეპიზოდისათვის დანიშნულ სასჯელებზე. მისთვის გაუგებარია, რატომ შეეფარდა ასეთი მკაცრი სასჯელი; შუამდგომლობის ავტორი აღნიშნავს, რომ მის საქმესთან დაკავშირებით დაკითხული მონმეებიდან 13 მონმის ჩვენება არის ირიბი, რითაც მის მიმართ დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა; მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რამდენადაც მისი დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები დაუკავშირდნენ მის ტელეფონში მითითებულ ყველა პირს და აცნობეს მისი მდგომარეობის შესახებ; შუამდგომლობაში მსჯავრდებული ასევე მიუთითებს, რომ მას სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე უარი განუცხადეს საქმის მასალების გაცნობაზე; შუამდგომლობის ავტორმა შუამდგომლობასთან ერთად წარმოადგინა ადვოკატ ზ. მ-ს მიერ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში გაკეთებული განმარტების ასლი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 იანვრის განჩინების ასლი.

აღნიშნულ ორ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მსჯავრდებულმა შ. ბ-ა მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით დანიშვნა და განაჩენის გადასინჯვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული შ. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებას განაჩენის გადასინჯვის მიზნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული შ. ბ-ი მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის საფუძველად, სხვა საფუძველებთან ერთად, მიუთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ განაჩენი ეყრდნობა 13 მონმის ირიბ ჩვენებას.

სააპელაციო სასამართლო კი მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ერთ-ერთ საფუძველად მიუ-



თითებს იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებული კონკრეტულად არ მიუთითებს, რომელი მონმის ჩვენებაა ირიბი. აქვე სასამართლო აღნიშნავს, რომ შ. ბ-ს ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის განაჩენში მითითებულია როგორც დაზარალებულების ჩვენებები, ისე თავად შ. ბ-ს ჩვენება, ასევე ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი, ვიდეორჩანანერის დათვალიერების ოქმი, ტელეფონის დათვალიერების ოქმი და სხვა არაერთი მტკიცებულება. რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, თბილისის სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტები, ინფორმაციული თვალსაზრისით, არ შეიცავს რაიმე ისეთ გარემოებას, რაც შ. ბ-ს მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდებოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული საფუძველი, რომ განაჩენში მითითებული იყო 13 მონმის ირიბი ჩვენება, წარმოდგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე უფლებამოსილი იყო, განაჩენში მითითებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ემსჯელა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კასატორის მიერ შუამდგომლობაში აღნიშნული გარემოება, რომ მისი ბრალდება ეყრდნობა 13 მონმის ირიბ ჩვენებას, გახდებოდა განაჩენის გადასინჯვის საფუძველი შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის შესახებ იყო დასაბუთებული, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და შუამდგომლობა დაშვებულ უნდა იქნეს განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## **დაადგინა:**

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება მსჯავრდებულ შ. ბ-ს მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია**

#### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№464აგ-15

20 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
ზ. მეიშვილი,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-ს სა-  
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუ-  
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნო-  
ემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ოზურ-  
გეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ჩ-სა და ბრალ-  
დებულ მ. გ-ს შორის. მ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესა-  
ჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვე-  
პუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის  
50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 3 წელი და 6 თვე განე-  
საზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხო-  
ლო 3 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით, 3 წლისა და 6 თვის

გამოსაცდელი ვადით; სსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 3 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი ჩაეთვალი პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და მ. გ-ს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 3 წელი და 6 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი და 6 თვე ჩაეთვალი პირობით, 3 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 9 სექტემბრიდან.

2. მსჯავრდებულმა მ. გ-მ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, გადასინჯულიყო მის მიმართ გამოტანილი განაჩენი და მისი ქმედება გადაკვალიფიცირებულიყო დღეის მდგომარეობით მოქმედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლზე, ამასთან, შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, ცვლილება უნდა შესულიყო მის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილშიც და უნდა განსაზღვროდა მინიმალური სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია). განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. გ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა მისთვის დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქარ-

თველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე და თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

5. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, მას უნდა განესაზღვროს მინიმალური სასჯელი.

6. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის  
ბანხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა  
თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს  
სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას**

**ბანხინება  
საქართველოს სახელით**

№69აგ-15

11 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. გ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 დეკემბრის განაჩენით მ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“, „კ“ პუნქტებით (ძველი რედაქცია) და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაენყო 2012 წლის 3 აპრილიდან.

მ. პ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაენყო დაკავების დღიდან – 2012 წლის 3 აპრილიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის ხარვეზის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბრის განაჩენში აღმოიფხვრა უზუსტობა, კერძოდ:

მ. პ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“, „კ“ პუნქტებით (ძველი რედაქცია) და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ მ. პ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. გ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივლისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

4. 2015 წლის 22 ივნისს მსჯავრდებულმა მ. პ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – ი. გ-ემ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორებმა საჩივრით ითხოვეს შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა, სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება და ხელახალი განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რის საფუძველადაც მიუთითებდნენ იმ გარემოებას, რომ მ. პ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ პუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის შესაძლებლობას ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე. კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაირღვა მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება,

ვინაიდან საქმე განხილულია მისი არჩევნის შეზღუდვით, არა-  
უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ მ. პ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. გ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულ მ. პ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ი. გ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო სასამართლოსათვის მითითებას, რომ განსახილველად დაუშვას შუამდგომლობა და საქმის არსებითი განხილვა მოხდეს ხელახლა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდა შუამდგომლობაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ

საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას შუამდგომლობასთან დაკავშირებით. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, მსჯავრდებულ მ. პ.-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 21 დეკემბერს გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ პუნქტებით (ძველი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ მ. პ.-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ გ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557-571-576 გადაწყვეტილება მოცე-



მულ შემთხვევაში არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას.

4. გარდა ამისა, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დარღვეულია მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557-571-576 გადაწყვეტილების (რომელზეც აპელირებს კასატორი) სამოტივაციო ნაწილის 96-ე პუნქტში აღნიშნულია შემდეგი: „სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების სწორად გააზრებისათვის, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ასრულებს უალტერნატივო ფუნქციას, რომელიც უპირობოდ აუცილებელია უფლებების სრულყოფილი დაცვისთვის. პრინციპულად არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისას პირებს თავისთავად ერღვევათ სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუკი მათ იმავდროულად უზრუნველყოფილი აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის შესაძლებლობა. უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა, ყველა შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერი უფლების უკეთ დაცვის შესაძლებლობას, რის გამოც, ეს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის განუყოფელი კომპონენტია და მისი არარსებობისას სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა“. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მ. პ-ს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ შეზღუდვია, იგი სრულად იყო უზრუნველყოფილი და ისარგებლა კიდევ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით, ამასთან მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე იმსჯელა სამივე ინსტანციის სასამართლომ. ამდენად, კასატორის მითითება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შესახებ უსაფუძვლოა.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა, ხოლო კასატორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალის-

წინებულ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. რაიმე ახალი გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც დააკმაყოფილებდა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის მოთხოვნებს, მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ მ. პ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ მ. პ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

### ზოგადი ნაწილი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან .....	3
დანაშაულის რეციდივის დადგენისას თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობის მხედველობაში მიღების დაუშვებლობა .....	6
ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლის საფუძვლები .....	11
გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო პირობითი მსჯავრის გაუქმება .....	14
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა-შენახვისათვის დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება .....	19
ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების („მარიხუანა“) უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის განსაზღვრის წესის თაობაზე .....	30
ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლევ პირის მიმართ სასჯელის განსაზღვრის წესის თაობაზე .....	37

### კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება .....	45
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ გაუპატიურების მცდელობა .....	51
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ქმედების გადაკვალიფიცირება ქურდობიდან ქურდობის მცდელობაზე .....	61
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ ქურდული სამყაროს წევრობა .....	69
სატრანსპორტო დანაშაული ავტომობილის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა .....	109

## სისხლის სამართლის პროცესი

მტკიცებულებანი და მტკიცების საგანი პრეიუდიციის უარყოფა .....	115
საკასაციო განაჩენი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა .....	119
გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა .....	123
გამამართლებელი განაჩენის დადგენა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გასაღების ნაწილში, მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობის გამო .....	128
გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა .....	137
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსთვის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად .....	141
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად დაშვება .....	147
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად დაშვება .....	150
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს გადასასინჯი გადანყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია .....	154
ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას .....	157